



# ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

*სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, თბილისი, 2013*

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა [www.princelibrary.ge](http://www.princelibrary.ge)

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის  
უნივერსიტეტი



**USAID**  
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა  
საქართველოში (PROLoG)

# სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

მოსამართლეთა კონფერენციის მასალები

პარასკევი/შაბათი, თბილისი  
27/28 სექტემბერი



# მოსამართლეთა კონფერენციის მასალაები

## კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

პარასკევი/შაბათი, თბილისი 27/28 სექტემბერი

დღის წესრიგი / საკითხები

### კონფერენციის ორგანიზატორები:

ევროპის საბჭო (CoE),

ევროკავშირის წარმომადგენლობა (EU Delegation),

გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ),

საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის

გერმანული ფონდი (IRZ),

ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა

მისია საქართველოში (NORLAG),

გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP),

მართლმსაუფლებლის დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი

გაძლიერების პროექტი (USAID/JILEP)

## **ბაერთიანებული და ჰარალელურად მიმდინარე სხდომების საკითხები:**

- მოსამართლის დამოუკიდებლობა
- სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა
- მოსამართლის დატვირთვა და საქმეთა განაწილება
- მოსამართლის კარიერა
- მოსამართლის ინდივიდუალური შეფასება
- მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი შედეგები
- სამოსამართლო სწავლება და სასწავლო დაწესებულებები
- მოსამართლის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები
- ზეგავლენისგან მოსამართლის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები
- მართლმსაჯულება და გენდერული ასპექტები
- სასამართლოს გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა
- მოსამართლეთა თვითმმართველობა
- მოსამართლეთა გაერთიანებები
- მოსამართლეთა საერთაშორისო ურთიერთობები
- შეჯამება

## დღის წესრიგი / საკითხები

### პარასკევი, 27 სექტემბერი

|             |  |
|-------------|--|
| გამთენიისას | უცხოელი სტუმრების ჩამოსვლა   |
| დღილით      | ქართველი მოსამართლეების ჩამოსვლა რეგიონებიდან  |
| 11:30-14:00 | რეგისტრაცია  |
| 12:00-13:00 | <p><b>წინასაკონფერენციო სხდომა</b></p> <p><b>პირობითი ნდობა</b> – როგორ გარდაიქმნა ბრანდენბურგი სამართლებრივ სახელმწიფოდ (40 წუთიანი დოკუმენტური ფილმი გერმანიის გაერთიანების შემდეგ ბრანდენბურგში/ აღმოსავლეთ გერმანია სასამართლო რეფორმების შესახებ; დისკუსია თანაავტორსა და მოსამართლესთან <b>თომას მელცერთან</b>)</p>  |
| 13:00-14:00 | სადილი   |
| 14:00-14:30 | <p><b>გახსნა: მისასალმებელი სიტყვა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პარლამენტის თავმჯდომარე <b>დავით უსუფაშვილი</b></li> <li>• ევროკავშირის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში <b>ფილიპ დიმიტროვი</b></li> <li>• ამერიკის შეერთებული შტატების სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში <b>რიჩარდ ნორლანდი</b></li> <li>• გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში <b>ორთვინ ჰენიგი</b></li> <li>• ევროსაბჭოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი <b>კატერინა ბოლონიეზე</b></li> <li>• გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელი <b>ინიტა პაულოვიჩა</b></li> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, GIZ-ის ჯგუფის ხელმძღვანელი <b>თომას მელცერი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul> |

|                           |  |
|---------------------------|--|
| <p><b>14:30-15:10</b></p> | <p><b>გაერთიანებული სხდომა 1</b> (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: სასამართლოს რეფორმის მომდევნო ეტაპზე დაგეგმილი ცვლილებების წარმოდგენა</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე<br/><i>კონსტანტინე კუბლაშვილი</i></li> <li>○ იუსტიციის მინისტრი <i>თეა წულუკიანი</i></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, GIZ-ის ჯგუფის ხელმძღვანელი <i>თომას მელცერი</i></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul> |
| <p><b>15:10-15:30</b></p> | <p>ყავის შესვენება და კონფერენციის მონაწილეთა ერთობლივი ფოტოსესია</p>  |
| <p><b>15:30-16:30</b></p> | <p><b>გაერთიანებული სხდომა 2</b> (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის დამოუკიდებლობა</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე <i>ულრიხ ჰაგენლოხი</i></li> <li>○ საერთაშორისო მოსამართლე, EUCJR-ის <i>ექსპერტი, აგნეშკა კლონოვიეჩა-მილარტი</i></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, GIZ-ის ჯგუფის ხელმძღვანელი <i>თომას მელცერი</i></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul>     |
| <p><b>16:30-16:50</b></p> | <p>ყავის შესვენება</p>   |
| <p><b>16:50-18:00</b></p> | <p><b>4 პარალელურად მიმდინარე სხდომა</b><br/>სხდომა 1 A – დარბაზი 3</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა ქცევის შეფასების კომისიის ხელმძღვანელი <i>ვიქტორია ჰენლი</i></li> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლეს სკოლის ლექტორი სამოსამართლო ეთიკის საკითხებში, <i>ლაშა კალანდაძე</i></li> </ul> </li> </ul>  |

|  |   |
|--|---|
|  | <ul style="list-style-type: none"> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, ზვოლდე-ლეიშტადის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, <b>ბერტ მანი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>JILEP</b></li> </ul>  |
|  | <p>სხდომა 1 B (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული) – დარბაზი 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის დატვირთვა და საქმეთა განაწილება</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე <b>ულრიხ ჰაგენლოხი</b></li> <li>○ თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე, <b>მამუკა ახვლედიანი</b></li> <li>○ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, <b>დავით ღიბრაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: UNDP-ის სამართლის ექსპერტი, <b>კახა ნიქარიშვილი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>UNDP</b></li> </ul> |
|  | <p>სხდომა 1 C (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული) – დარბაზი 1</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის კარიერა</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ აშშ მოსამართლე კოსოვოს მოსამართლეთა და პროკურორების დამოუკიდებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე <b>ტიმოტი ჯ. ბალანდი</b></li> <li>○ უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, <b>ლევან მურუსიძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: EWMI-JILEP დირექტორის მოადგილე, <b>გიორგი ჩხეიძე</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>JILEP</b></li> </ul>                        |
|  | <p>სხდომა 1 D – დარბაზი 4</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის ინდივიდუალური შეფასება (და დაწინაურება)</li> </ul>  |



|                              |  |
|------------------------------|--|
|                              | <ul style="list-style-type: none"> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>o <b>EUCJR</b>-ის ექსპერტი, <b>ფრანჩესკო კონტინი</b></li> <li>o თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>მაია ბაქრაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე <b>ვალერი ცერცვაძე</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>EUCJR</b></li> </ul>  |
| 18:00-19:00                  | ავტობუსებით წასვლა მთანმინდაზე, რესტორანში „ფუნიკულიორი“   |
| 19:00-21:00                  | ოფიციალური მიღება/ვახშამი რესტორანი „ფუნიკულიორი“, მთანმინდა <ul style="list-style-type: none"> <li>• მისასალმებელი სიტყვა</li> </ul>  |
| 21:00                        | დაბრუნება სასტუმროში   |
| <b>შაბათი, 28 სექტემბერი</b> |  |
| 9:00-9:30                    | რეგისტრაცია  |
| 9:30-10:45                   | <p><b>გაერთიანებული სხდომა 3</b> (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი შედეგები (დისციპლინური წარმოება და სხვა)</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>o კალიფორნიის შტატის მოსამართლეთა ქვეცის შეფასების კომისიის ხელმძღვანელი, <b>ვიქტორია ჰენლი</b></li> <li>o თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე, <b>ნათია ქუთათელაძე</b></li> <li>o უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, უზენაესი სასამართლოს დისციპლინური პალატის თავმჯდომარე, <b>მაია ვაჩაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე <b>ულრიხ ჰაგენლოხი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul> |
| 10:45-11:05                  | ყავის შესვენება  |

|                           |   |
|---------------------------|---|
| <p><b>11:05-12:15</b></p> | <p><b>4 პარალელურად მიმდინარე სხდომა</b></p> <p>სხდომა 2 A (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული) – დარბაზი 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: სამოსამართლო სწავლება და სასწავლო დაწესებულებები</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ მოსამართლე, ზვოლენ-ლეიშტადის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, <b>ბერტ მანი</b></li> <li>○ ევროპის საბჭოს ექსპერტი <b>შოთა რუხაძე</b></li> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი, <b>თამარ ზამბახიძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი, <b>ლაშა მაღრაძე</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>CoE</b></li> </ul> |
|                           | <p>სხდომა 2 B – დარბაზი 4</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ NORLAG, მოსამართლე ბერნტ კროგი</li> <li>○ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, <b>ვახტანგ თორდია</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: NORLAG, მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში <b>გიორგი გიორგაძე</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>NORLAG</b></li> </ul>  |
|                           | <p>სხდომა 2 C (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული) – დარბაზი 1</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: ზეგავლენისგან მოსამართლის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>ასტრიდ ფლური</b></li> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>ალექსანდრე იოსელიანი</b></li> </ul> </li> </ul>   |

|             |  |
|-------------|--|
|             | <ul style="list-style-type: none"> <li>• მოდერატორი: უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, <b>თეიმურაზ თოდრია</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>IRZ</b></li> </ul>  |
|             | <p>სხდომა 2 D – დარბაზი 3</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მართლმსაჯულება და გენდერული ასპექტები</li> <li>• მომხსენებლები: <ul style="list-style-type: none"> <li>○ ჰაგენის უნივერსიტეტის პროფესორი, მართლმ-საჯულებაში გენდერული საკითხების ექსპერტი, <b>ულრიკე შულცი</b></li> <li>○ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, <b>ნათია ჯორბენაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, <b>ლია ორკოდაშვილი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>JILEP</b></li> </ul>                              |
| 12:15-13:00 | სადილი   |
| 13:00-14:10 | <p><b>4 პარალელურად მიმდინარე სხდომა</b></p> <p>სხდომა 3 A – დარბაზი 3</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: სასამართლო გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა</li> <li>• მომხსენებლები: <ul style="list-style-type: none"> <li>○ აღმოსავლეთ-დასავლეთ მენეჯმენტი ინსტიტუტის ექსპერტი, <b>მარკ ვესტი</b></li> <li>○ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე, <b>მირანდა ერემაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>თამარ ალანია</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>JILEP</b></li> </ul> |
|             | <p>სხდომა 3 B მოსამართლეთა თვითმმართველობა – დარბაზი 1</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული)</li> <li>• მომხსენებლები: <ul style="list-style-type: none"> <li>○ დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე <b>საბინე შონკნეხტი</b></li> </ul> </li> </ul>  |

|                    |  |
|--------------------|--|
|                    | <ul style="list-style-type: none"> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>ლეილა მამულაშვილი</b></li> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, ზვოლდე-ლელიშტადის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე, <b>ბერტ მანი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul>  |
|                    | <p>სხდომა 3 C – დარბაზი 4</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლეთა გაერთიანებები</li> <li>• მომხსენებლები: <ul style="list-style-type: none"> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, ასოციაცია „მოსამართლეთა ერთობა“ თავმჯდომარე, <b>ნათია გუჯაბიძე</b></li> <li>○ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, მოსამართლეთა ასოციაციის გამგეობის წევრი <b>ლევან თევზაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: UNDP დემოკრატიული მმართველობის ჯგუფის ხელმძღვანელი, <b>ნათია ნაცვლიშვილი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>UNDP</b></li> </ul> |
|                    | <p>სხდომა 3 D (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული) – დარბაზი 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკითხი: მოსამართლეთა საერთაშორისო ურთიერთობები</li> <li>• მომხსენებლები: <ul style="list-style-type: none"> <li>○ GIZ, დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე <b>დიტმარ ონუსაიტი</b></li> <li>○ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, <b>ლაშა კალანდაძე</b></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: დრეზდენის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე, <b>საბინე შლოსჰანი</b></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul>                     |
| <p>14:10-14:30</p> | <p>ყავის შესვენება</p>   |

|                                    |   |
|------------------------------------|---|
| <p><b>14:30-16:00</b></p>          | <p><b>გაერთიანებული სხდომა 4</b> (სამუშაო ენები: ქართული-ინგლისური-გერმანული)</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პარალელური სხდომების შეჯამება</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ თითოეული მოდერატორი წარმოადგენს ერთ რეკომენდაციას და სამომავლო კონფერენციისთვის ერთი სურვილს</li> </ul> </li> <li>• დისკუსია</li> <li>• დასკვნითი შეჯამება</li> <li>• მომხსენებლები:             <ul style="list-style-type: none"> <li>○ იუსტიციის მინისტრი <i>თეა წულუკიანი</i></li> <li>○ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე <i>კონსტანტინე კუბლაშვილი</i></li> </ul> </li> <li>• მოდერატორი: მოსამართლე, GIZ-ის ჯგუფის ხელმძღვანელი <i>თომას მელცერი</i></li> <li>• ორგანიზატორი: <b>GIZ</b></li> </ul> |
| <p>16:00</p>                       | <p>ქართველი მოსამართლეების გამგზავრება რეგიონებში</p>   |
| <p><b>კვირა, 29 სექტემბერი</b></p> |   |
| <p>დილით</p>                       | <p>უცხოელი სტუმრების გამგზავრება</p>  |

# სასამართლო დამოუკიდებლობა და სიტყვის თავისუფლება

*აგნიეშკა კლონოვიცკა-მილარტი*

უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა იმის შესახებ, რომ აუცილებელია პოზიტიური ღონისძიებების განხორციელება სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტონომიის გასამყარებლად. მე ვფიქრობ საკითხის მრავალფეროვნებისთვის საინტერესო იქნება განვიხილოთ სასამართლოს მდგომარეობა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ავტონომიის და სიტყვის თავისუფლების ურთიერთობის ქრილში, როცა ეს ეხება სასამართლო პროცესზე კომენტარის გაკეთების შესაძლებლობას. სახეზეა მონეტის ორი მხარე: კომენტარი რომელიც კეთდება მოსამართლეების და სხვათა მიერ. როგორც ჩემთვის საკუთარი გამოცდილებიდან ცნობილია, ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში სასამართლოს არამდგრადი მდგომარეობა საკმაოდ ართულებს დისკუსიას ამა თუ იმ ნყაროს, ან კონკრეტული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის თაობაზე და სასამართლოს და მოსამართლეს აყენებს დილემის წინაშე თუ როგორ მოახერხოს ხალხის დარწმუნება იმაში თუ რატომ უნდა ენდოს ხალხი მოსამართლეს, სასამართლოს და მათ გადაწყვეტილებებს. ამავდროს თავისუფალი მედია აქცენტს აკეთებს იმ საქმეებზე, რომელიც საზოგადოებას აინტერესებს. ყველაფერ ამას თან ერთვის ჩავარდნები სასამართლოსა და მოსამართლის ფუნქციონირებაში.

სისხლის სამართალი თითქმის ყველგან იქცევა საზოგადოების ფართო და სპონტანურ ყურადღებას უფრო მეტად ვიდრე კერძო სამართალი. მათაც კი, ვისაც ჩვეულებრივ არ აინტერესებთ სამართლებრივი საკითხები, აქვთ საკმაოდ მყარი მოსაზრებები და რწმენები სისხლის სამართლის და სისხლის სამართლებრივი საქმეების მიმართ. სასამართლოს ნებისმიერი ხარვეზი, ან მედიაში გაშუქებული ნიუსი, რომელიც ეხება სასამართლო დეფექტს, შესაძლებელია გამოყენებული იქნას პოლიტიკური კრიტიკისათვის და გამოიწვიოს შენიშვნები სასამართლოს მიმართ მთლიანად ან სპეციფიურ საქმეებთან დაკავშირებით აქტივისტების და ჟურნალისტების მხრიდან. იმის საჩვენებლად თუ ეს რამდენად სენსიტიური სფეროა, მაგალითისთვის შეიძლება მო-

ვიყვანოთ პოლონეთი, სადაც იუსტიციის მინისტრის მსახურობის საშუალო ვადა ერთ წელს არ აღემატება. მეორეს მხრივ მოქმედი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა შეიძლება იჩქარონ და გამოთქვან კრიტიკა ან უპასუხონ არსებულ კრიტიკას და სისხლის სამართლებრივი საქმე წინასწარ წარმატებულად გამოაცადონ. ამ ფაქტორებმა, როგორც ეს ითქვა ჰამერბერგის ანგარიშის გავრცელებისას, შეიძლება გამოიწვიონ ად ჰოკ და კრიზისული/პოპულისტური რეაქციები.

გთხოვთ კარგად გამიგოთ. საზოგადოების ინფორმირების, საჯარო დებატებისა და განათლების საჭიროება ნამდვილად არსებობს. როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ განაცხადა, დანაშაული არის თანამედროვე ისტორიის ნაწილი და მისი ჩადენა, მისი გამომწვევი ფაქტები და საპასუხო პროცესები მნიშვნელოვან საზოგადოებრივ ყურადღებას იქცევს. მეორეს მხრივ პროფესიული ჯგუფის ინტერესების დაცვის რეალური საჭიროება არსებობს – ფაქტია, რომ იქ სადაც მოსამართლეები თავის დასაცავად ხმას ვერ იღებენ, ნაკლებად სავარაუდოა ეს სხვა ვინმემ გააკეთოს მათი სახელით, კომპეტენტურობას რომ თავი დავანებოთ. ბოლოს, არსებობენ ინდივიდუალური ინტერესები და მოტივები – მოსამართლეები ისევე როგორც სხვა საჯარო მოხელეები, ადამიანები არიან და მათ ესაჭიროებათ ისაუბრონ საკუთარ რწმენებზე და მოსაზრებებზე (განსაკუთრებით, როცა სასონარკვეთილებაში არიან), მათ ესაჭიროებათ, რომ მათი გადაწყვეტილებები საზოგადოებისთვის მისაღები იყოს და ეს ყველაფერი ქმნის კონფლიქტს ეტიკეტის დაცვის საჭიროებასა და აზრის გამოხატვის თავისუფლებას შორის. სპიკერი მოსამართლე, კომპეტენტური და დატრენინგებული მოხელე, რომელსაც ევალება საზოგადოების ინფორმირება მიმდინარე საქმეებზე, მედიაში გავრცელებული კრიტიკისათვის პასუხის გაცემა და ინსტიტუციური მოსაზრებების, როგორც წესი, იურიდიული ლაბირინთების გასაგებ ენაზე წარმოდგენა, არის ის ინსტიტუტი, რომელიც პოლონეთში შეუცვლელია მართლმსაჯულების განმახორციელებელი ყველა ინსტანციისთვის.

## შეზღუდვები მთავრობის მიერ სასამართლო საქმიანობა კომენტარის გაკეთებისას

სამართლებრივად, ევროპული კონსტიტუციების უმრავლესობაში ნორმები რომლებიც ეხება ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებებს შესაბამის სახელმწიფოებში უშუალოდ მოქმედ სამართალს წარმოადგენენ. ამგვარი ნორმებიდან ერთ ერთია აზრის გამოხატვის თავისუფლება, რომელსაც შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლი<sup>1</sup>. როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ დაადგინა, დემოკრატიულ სახელმწიფოში აზრის გამოხატვის თავისუფლების ფუნდამენტური მნიშვნელობის გამო, ეს უფლება ყოველთვის უნდა განიმარტოს ისე, რომ შენარჩუნებული იქნას მისი სპეციალური ღირებულება, რაც გულისხმობს პრეზუმფციას სიტყვის თავისუფლების სასარგებლოდ, განსაკუთრებით საჯარო სფეროში. შესაბამისად, კანონები რომლებიც ზღუდავენ სიტყვის თავისუფლებას, უნდა განიმარტოს შეზღუდულად. ნებისმიერ შემთხვევაში, კანონით დადგენილმა შეზღუდვები უნდა აკმაყოფილებდეს პროპორციულობის ტესტს: შეზღუდვა უნდა იყოს საკმარისი და აუცილებელი დასახული მიზნის მისაღწევად და კანონით დაცული ინტერესის და სიტყვის თავისუფლების დაბალანსებისას, უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვის თავისუფლებას.

განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა აზრის გამოხატვის თავისუფლება. როგორც დადგენილია კონსტიტუციის 24-ე მუხლში, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვა საშუალებით<sup>2</sup>.

თუ მხედველობაში მივიღებთ სიტყვის თავისუფლების პრეზუმფციას და ასევე იმას, რომ არ არსებობს მართლმსაჯულების განხორციელებისადმი საზოგადოების ნდობის პრეზუმფცია, რატომ არ უნდა იყოს შეზღუდულ აღ-

<sup>1</sup> კონსტიტუციის მუხლი 19 „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება“ „დაუშვებელია ამ მუხლში მითითებული უფლებების შეზღუდვა თუ მათი განხორციელება არ ხელყოფს სხვათა უფლებებს. მუხლი 24. 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.

<sup>2</sup> მუხლი 24 1. ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.



მასრულებელი ხელისუფლება ან სხვა ვინმე სასამართლოს კრიტიკის დროს მიმდინარე საქმეების კომენტირებისას.

ამის პასუხი არის ის, რომ კონსტიტუცია ზღუდავს საჯაროდ აზრის გამოხატვას მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით ინდივიდუალური უფლებების დასაცავად. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ეს უფლებებია პიროვნების განვითარების უფლება, პატივის, ღირსების უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია. საჯაროდ აზრის გამოხატვას განსაკუთრებით დიდი ეფექტი აქვს და შეიძლება დიდი ზიანი მოიტანოს როდესაც ამას თავად სახელმწიფო აკეთებს. როგორც ადამიანის საერთაშორისო უფლებათა დაცვის როგორც საერთაშორისო ასევე ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად ეს საკითხი განხილული იქნა საჯარო მოხელის მიერ მიმდინარე საქმეში ჩარევის ქრილში საჯარო გამოსვლის მეშვეობით, რაც არღვევს ინდივიდის უფლებას დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმეებზე უდანაშაულობის პრეზუმფციას.

შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღიარა რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია, როგორც ეს ფორმულირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტში მოიცავს „ვალდებულებას ყველა საჯარო ორგანოსათვის რომ თავი შეიკავონ საქმის შედეგების წინასწარი განსჯისგან, ანუ ისეთი საჯარო განცხადებების გაკეთებისგან, რომლითაც ადასტურებენ განსასჯელის ბრალეულობას“<sup>3</sup>. იმის დასადგენად, სახელმწიფო მოხელემ დაარღვია თუ არა უდანაშაულობის პრეზუმფცია, კომიტეტი მხედველობაში იღებს 1) დამაზიანებელი განცხადებების მედიაში გაშუქების მასშტაბს<sup>4</sup>

<sup>3</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი No. 32, მუხლი 14, სასამართლოსა და ტრიბუნალის წინაშე თანასწორობის უფლება და სამართლიანი პროცესის უფლება U.N. Doc. CCPR/C/GC/32 (23 აგვისტო 2007), პარაგრაფი. 30; უნინ ზოგადი კომენტარი N. 13, თანასწორობა სასამართლოების წინაშე და უფლება სამართლიან და საჯარო განხილვაზე კანონით შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ, მუხლი 14 (13 აპრილი 1984)

<sup>4</sup> *Larrañaga v. The Philippines*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/87/D/1421/2005, კომუნიკაცია N. 1421/2005 (14 September 2006), პარაგრაფი 7.4 (სადაც მრავალრიცხოვანი საინფორმაციო რეპორტაჟი მოუწოდებდა ავტორის სიკვდილით დასჯისაკენ, სანამ განაჩენი იქნებოდა გამოტანილი; *Saidova v. Tajikistan*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/81/D/964/2001, კომუნიკაცია N 964/2001 (20 აგვისტო 2004), პარაგრაფები. 3.5, 6.6 (სახელმწიფო მედია მუდმივად აწარმოებდა მასშტაბურ მედია კამპანიას, რომელიც აშკარად ეწინააღმდეგებოდა უდანაშაულობის პრეზუმფციას). იხ. ზოგადად *Mwamba v. Zambia*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/98/D/1520/2006, კომუნიკაცია N 1520/2006 (30 აპრილი 2010), პარაგრაფები. 2.4, 6.5 (სადაც მედია

2) საჯარო მოხელის მიერ შერჩეულ სიტყვებს<sup>5</sup> 3) დამაზიანებელი განცხადებების განმეორებითობას<sup>6</sup> 4) აპლიკანტის სტატუსს<sup>7</sup>. უდანაშაულობის პრეზუმფციაზე უფლების დარღვევა გასაკიცხია საჯარო მოხელის ამა თუ იმ უწყებისადმი კუთვნილების მიუხედავად<sup>8</sup>.

საქმეზე გრიდინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ, პოლიციის უფროსმა განაცხადა რომ ის დარწმუნებული იყო იმაში რომ ბრალდებული იყო მკვლეელი<sup>9</sup>. ამასთან ერთად გამომძიებელმა ბრალდებული დამნაშავედ გამოაცხადა საჯარო შეხვედრებზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდა სასამართო სხდომამდე. ეს განცხადებები ფართოდ იქნა გაშუქებული მედიაში და შექმნა საკმაოდ მყარი საზოგადოებრივი განწყობა ბრალდებულის ბრალეულობასთან დაკავშირებით, რაც აისახა სასამართო სხდომის დარბაზში შექმნილ დაძაბულ გარემოში. ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა უდანაშა-

---

გამოაქვეყნა მრავალრიცხოვანი ჩვენებები, რომლებმაც ხელყვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია); *Engo v. Cameroon*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/96/D/1397/2005, კომუნიკაცია N 1397/2005 (17 აგვისტო 2009), პარაგრაფები. 3.6, 7.6 (სადაც სახელმწიფო მედია ეწეოდა განგრძობად პროპაგანდას ავტორის წინააღმდეგ); ადამიანის უფლებათა კომიტეტი, *Gridin v. Russian Federation*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/69/D/770/1997, კომუნიკაცია N 770/1997 (18 ივლისი 2000), პარაგრაფი 3.5 (სადაც სახელმწიფო სადგურებმა და გაზეთებმა გადმოცეს რომ ავტორი იყო ცნობილი მკვლეელი და გამაუპატიურებელი).

<sup>5</sup> *Saidova v. Tajikistan*, პარაგრაფი 3.5 (სადაც სახელმწიფო მედიამ ავტორის ქმარი და თანაბრალდებული კრიმინალებად და ამბოხებულებად მოიხსენია); *Larrañaga v. The Philippines*, პარაგრაფები. 3.4, 7.4 (სადაც პრეზიდენტის მდივანმა და მაღალი თანამდებობის პირებმა განაცხადეს რომ ბრალდებულს უნდა მიესაჯოს სიკვდილი).

<sup>6</sup> *Larrañaga v. The Philippines*, პარაგრაფები. 3.4, 7.4; *Engo v. Cameroon*, პარაგრაფი 7.6 (სადაც სახელმწიფო მედიამ მრავალჯერადად მიუთითა ავტორის დამნაშავეობაზე საქმის განხილვამდე და გამოაქვეყნა სტატია ამ მიმართებით, შესაბამისად დაარღვია უდანაშაულობის პრეზუმფცია); *Saidova v. Tajikistan*, პარაგრაფი 6.6 (სახელმწიფო მედია ანარმოებდა მუდმივ კამპანიას უდანაშაულობის პრეზუმფციის საწინააღმდეგოდ).

<sup>7</sup> *Larrañaga v. The Philippines*, პარაგრაფები. 3.4, 7.4 (the Presidential Secretary, a senior official); *Ashurov v. Tajikistan*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/89/D/1348/2005, კომუნიკაცია N 1348/2005 (2 აპრილი 2007), პარაგრაფი 3.4 (presiding trial judge); *Gridin v. Russian Federation*, პარაგრაფი 8.3 (მაღალი თანამდებობის პირები – სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები); *Engo v. Cameroon*, პარაგრაფი 7.6 (State-run media); *Saidova v. Tajikistan*, პარაგრაფები. 3.5, 6.6 (State-run media).

<sup>8</sup> *Larrañaga v. Phillipines*, პარაგრაფი 3.4; *United States v. Koubriti*, 305 F. Supp.2d at 742.

<sup>9</sup> *Gridin v. Russian Federation*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/69/D/770/1997, კომუნიკაცია N 770/1997 (18 ივლისი 2000), პარაგრაფი 3.5.

ულობის პრეზუმფციის დარღვევა იმის გამო რომ მაღალი თანამდებობის პირმა „ვერ გამოიჩინა ის თავშეკავება, რაც მას ევალეზობდა მე-14 მუხლის მეორე პარაგრაფის შესაბამისად“. გარდა ამისა, თუმცა ბრალდებულმა გაასაჩივრა განაჩენი იმ საფუძველზე რომ მისი ეს უფლება დარღვეული იყო, რუსეთის ფედერაციის უზენაესმა სასამართლომ ეს კონკრეტული საკითხი განხილვის გარეშე დატოვა.<sup>10</sup>

იმ საქმეებზე, რომლებიც არ მოიცავს საჯარო მოხელეთა მიერ გაკეთებულ განცხადებებს, მიკერძოებულმა წინასასამართლო მედია კამპანიამ, რომელსაც სახელმწიფო აფინანსებს ან აკონტროლებს შეიძლება ასევე წარმოშვას სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სამართლიანი პროცესის უფლების დარღვევის გამო იმ თუ არ იქნა მიღებული საპასუხო ღონისძიებები. საქმეში მარინიხი ბელორუსიის წინააღმდეგ<sup>11</sup>, მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა პასუხისმგებლობა უდანაშაულობის პრეზუმფციაზე ბრალდებულის უფლების დარღვევის გამო, როდესაც სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ტელევიზიაში ნაჩვენები ბრალდებულის დაკითხვის ეპიზოდები ბრალდებულის დამნაშავეობაზე მიმთითებელი კომენტარებით<sup>12</sup>. საქმეში ენგო კამერუნის წინააღმდეგ, კამერუნის სახელმწიფო მედიამ განახორციელდა პროპაგანდისტური კამპანია ბრალდებულის წინააღმდეგ საგაზეთო სტატიების მეშვეობით და სადაც ის არაერთგზის წარმოაჩინა, როგორც დამნაშავე. თუმცა მომჩივანმა მიწერა წერილები პროკურორს, იუსტიციის მინისტრსა და კამერუნის რადიო ტელევიზიის მმართველ დირექტორს და მოითხოვა მათგან ამდაგვარი ინფორმაციის პუბლიკაციის შეჩერება, მან ვერასდროს მიიღო პასუხი<sup>13</sup>. სხვა მსგავსი შემთხვევები ადასტურებენ რომ სახელმწიფოს მიერ მართული მედიის მიერ ექსტენსიური და ნეგატიური გაშუქება, როდესაც ბრალდებულებს უწოდებენ „დამნაშავეებს“ და „მეამბოხეებს“, ხელყოფს უდანაშაულობის პრეზუმფციაზე უფლებას<sup>14</sup>.

<sup>10</sup> *Gridin v. Russian Federation*, პარაგრაფები. 3.5, 8.3.

<sup>11</sup> *Marinich v. Belarus*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/99/D/1502/2006, კომუნიკაცია N 1502/2006 (16 ივლისი 2010).

<sup>12</sup> *Marinich v. Belarus*, პარაგრაფები. 2.4, 10.6.

<sup>13</sup> *Engo v. Cameroon*, პარაგრაფები. 3.6, 7.6.

<sup>14</sup> *Saidova v. Tajikistan*, პარაგრაფი 6.6; იხ. აგრეთვე *Kulov v. Kyrgyzstan*, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებები, U.N. Doc. CCPR/C/99/D/1369/2005, კომუნიკაცია N 1369/2005, (26 ივლისი 2010), პარაგრაფი 8.7.

ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, რომელიც ადგენს გამოხატვის თავისუფლებას, საჯარო მოხელეებს არ ეკრძალებათ ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისთვის საქმისწარმოებასთან დაკავშირებით ან საზოგადოებრივი დებატების ხელშეწყობა საჯარო ინტერესით მოცულ საკითხებზე, თუმცა მათ ეს უნდა გააკეთონ ისეთი სიფრთხილით რომ სრულად იყოს დაცული უდანაშაულობის პრეზუმფცია<sup>15</sup>. ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ საჯარო მოხელეებმა თავი უნდა შეიკავონ<sup>16</sup> ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე განცხადებების გაკეთებისგან სანამ ის დამნაშავედ არ იქნება ცნობილი კანონის შესაბამისად. ამ ორი ურთიერთსაინანააღმდეგო ინტერესის შეჯერებისას ადამიანის უფლებათა სასამართლომ ნაბიჯ ნაბიჯ დაადგინა ის ელემენტები, რომლებიც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რათა დადგინდეს საჯარო მოხელის განცხადებამ მოახდინა თუ არა გავლენა მოსამართლეზე ისე, რომ კითხვის ქვეშ დადგა სასამართლოს მიუკერძოებლობის შთაბეჭდილება და უდანაშაულობის პრეზუმფცია. ეს ფაქტორები მოიცავს შემდეგს:

- 1) სიტყვები შერჩეული საჯარო მოხელის მიერ, მათ შორის, რამდენად მიუთითებენ ისინი ეჭვის არსებობაზე პირის მიმართ ან მის ბრალეულობაზე.
- 2) რა კონტექსტში იქნა გაკეთებული განცხადება<sup>17</sup>
- 3) განმცხადებლის სტატუსი<sup>18</sup>

---

<sup>15</sup> *Konstas v. Greece*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 53466/07, 24 მაისი 2011, პარაგრაფი 34; *Allenet de Ribemont v. France*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 15175/89, 10 თებერვალი 1995, პარაგრაფი 38; *Fatullayev v. Azerbaijan*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 40984/07, 22 აპრილი 2010, პარაგრაფი 159.

<sup>16</sup> ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით უდანაშაულობის პრეზუმფცია და სამართლიან პროცესზე უფლება შეიძლება იქნას ხელყოფილი ასევე მედიაში გაკეთებული კერძო პირების სტატიებით და განცხადებებით, რომელთა მიზანია საქმის შედეგებზე ზეგავლენა ან საქმის განმხილველი მოსამართლის პოზიციის უზურპირება). იხ. *Worm v. Austria*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 83/1996/702/894, 29 აგვისტო 1997, პარაგრაფები. 50, 54.

<sup>17</sup> *Butkevicius v. Lithuania*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 48297/99, 26 მარტი 2002, პარაგრაფი 50 (სადაც განცხადება გაკეთდა მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე, თუმცა ეს ფაქტორი უნდა იმ სიტყვებთან კონტექსტში, რომლებიც არის შერჩეული); *Daktaras v. Lithuania*, პარაგრაფი 43.

<sup>18</sup> იხ. მაგ. *Konstas v. Greece*, პარაგრაფი 43 (რომელშიც, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მხედველობაში მიიღო იუსტიციის მინისტრის კონკრეტული ფუნქცია,

4) საჯარო ინტერესი, რომელიც ახლავს სისხლის სამართლის საქმეს<sup>19</sup>

5) განცხადების მიმართება დროში საქმისწარმოებასთან<sup>20</sup>

6) საქმე იქნა განხილული პროფესიონალი მოსამართლის თუ ნაფიცი მსაჯულების მიერ<sup>21</sup>

მართლაც, მუხლი 6 (2) გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგაც, სააპელაციო საქმისწარმოებისას. მაგალითად, საქმეში კონსტასი საბერძნეთის წინააღმდეგ, პარლამენტის წინაშე პრემიერ მინისტრმა, ფინანსთა მინისტრმა და იუსტიციის მინისტრმა გააკეთეს განცხადებები ცნობილი პიროვნების, რომელსაც მსჯავრი დაედო პირველი ინსტანციით და რომელმაც გაასაჩივრა განაჩენი. ამ შემთხვევაში ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პრემიერ მინისტრს არ დაურღვევია მუხლი 6 (2) ვინაიდან მან მხოლოდ ზოგადად მიუთითა განმცხადებლის სისხლის სამართლის საქმეზე საპარლამენტო დება-

---

როგორც პოლიტიკური ფიგურისა, რომელიც თანამდებობირავად ახორციელებს ზედამხედველობას სასამართლოს ორგანიზაციასა და გამართულ ფუნქციონირებაზე); *Ergashev v. Russia*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 12106/09, 20 December 2011, პარაგრაფი 172.

<sup>19</sup> იხ. მაგ. *Burzo v. Romania*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 75109/01 and 12639/02, 30 ივნისი 2009, პარაგრაფი 160; *Tourancheau and July v. France*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 53886/00, 24 ნოემბერი 2005, პარაგრაფი 74.

<sup>20</sup> იხ. მაგ. *Butkevicius v. Lithuania*, პარაგრაფი 51 (რომელშიც განსაკუთრებით მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რომ საქმის განხილვის საწყის სტადიაზე თავიდან ყოფილიყო აცილებული, განცხადებები, რომლებიც შეიძლება განიმარტოს როგორც ბრალდებულის ბრალის დამადასტურებელი); *Allenet de Ribemont v. France*, პარაგრაფი 37 (გამოძიების საწყისი ეტაპი მიჩნეული იქნა უდანაშაულობის პრეზუმფციის დამრღვევად, ვინაიდან სადაო განცხადებები გაკეთდა განმცხადებლის დაკავების შემდეგ, მაგრამ გამოძიების დაწყებამდე); იხ. აგრეთვე *Konstas v. Greece*, პარაგრაფი 44 (სადაც დარღვევა დადგინდა იმის მიუხედავად რომ დიდი დრო იქნა გასული სადაო განცხადებებიდან სასამართლოს გადაწყვეტილებამდე). განცხადებების გაკეთების დრო როგორც ჩანს არის კრიტიკული ფაქტორი, თუმცა უდანაშაულობის პრეზუმფცია უნდა იქნას დაცული მთელი სისხლის სამართლის პროცესის მსვლელობისას.

<sup>21</sup> *Burzo v. Romania*, პარაგრაფი 166; *Craxi v. Italy*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 34896/97, 5 December 2002, პარაგრაფი 104 (დაადგინა, რომ ნაფიცი მსაჯულთა გარეშე საქმის განხილვისას, პროფესიონალ მოსამართლეებს აქვთ გამოცდილება და ტრენინგი, რათა გაანეიტრალონ გარედან ნაკარნახევი მოსაზრებანი); *Ensslin, Baader and Raspe v. Federal Republic of Germany*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 7572/76, 7586/76 & 7587/76, 8 ივლისი 1978, პარაგრაფი 15 (რომელიც ადგენს, რომ ნაფიცი მსაჯულები შეიძლება უფრო ადვილად მოექცნენ ზეგავლენის ქვეშ)

ტებისას, საჯარო დისკუსიის ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებმა დაარღვიეს ნორმა, ვინაიდან ისინი გაცდენ უბრალო მინიშნებას, მათი განცხადება შეიცავდა სარკასტულ ელემენტებს და მათ მოსაზრებებს ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე<sup>22</sup>.

ადამიანის უფლებათა ინტერამერიკულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენციის მე 8 (2) მუხლი წევრ სახელმწიფოს ავალდებულებს „არ დასდოს პირს მსჯავრი არაფორმალურად ან გაავრცელოს საჯაროდ მოსაზრება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას“ მიმდინარე საქმეზე. მან მითითება გააკეთა ევროსასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ პრინციპებზე და დაადგინა, რომ მონაწილე სახელმწიფომ დაარღვია მე-8 (2) მუხლში გადმოცემული უდანაშაულობის პრეზუმფცია, მედიის წინაშე ბრალდებულის როგორც დამნაშავის გამოძეურებით, მანამ სანამ ამ უკანასკნელს მსჯავრი დაედებოდა ინკრიმინირებული ქმედების ჩადენაში<sup>23</sup>. იგივე საქმეზე ინტერამერიკულამა სასამართლომ დააკონკრეტა რომ მოცემული უფლება უკძალავს სახელმწიფოებს „დასდოს პირს მსჯავრი არაფორმალურად ან გაავრცელოს საჯაროდ მოსაზრება, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას“ მანამ, სანამ პირს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა საბოლოოდ არ დაეკისრება კანონის შესაბამისად<sup>24</sup>. მსგავსი დარღვევა დადგინდა ერთ საქმეზე, სადაც სახელმწიფო მოხელეებმა პარადზე გაატარეს ბრალდებული, რომელსაც „დამამცირებელი ტანსაცმელი“, როგორც ღალატის ჩამდენს<sup>25</sup>.

ამის მსგავსად, ადამიანის უფლებათა აფრიკულმა კომისიამ დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა „მაღალი თანამდებობის პირე-

<sup>22</sup> *Mokhov v. Russia*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 28245/04, 4 მარტი 2010, პარაგრაფი 29; *Shuvalov v. Estonia*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 39820/08 and 14942/09, 29 მაისი 2012, პარაგრაფი 75; *Konstas v. Greece*, პარაგრაფი 33; *Daktaras v. Lithuania*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 42095/98, 10 October 2000, პარაგრაფი 41; *Fatullayev v. Azerbaijan*, პარაგრაფი 160.

<sup>23</sup> საქმე *Lori Berenson-Mejias v. Peru*, ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო, გადაწყვეტილება (არსებითი გადაწყვეტილება, რეპარაცია და ხარჯები), 25 ნოემბერი 2004, პარაგრაფები. 158-161.

<sup>24</sup> საქმე *Lori Berenson-Mejias v. Peru*, პარაგრაფი 160.

<sup>25</sup> საქმე *Cantoral Benavides v. Peru*, Series C No. 69, არსებითი გადაწყვეტილება (ადამიანის უფლებათა ინტერამერიკული სასამართლო), 18 აგვისტო 2000, პარაგრაფები. 119, 121.

ბის მიერ“ ბრალდებულის დამნაშავედ გამოცხადების და სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული ინტენსიური „წინასასამართლო გაშუქების“ გამო<sup>26</sup>. საქმეში „*Media Rights Agenda v. Nigeria*,“ ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკულმა კომისიამ დაადგინა რომ ნიგერიის მთავრობამ დაარღვია აფრიკული ქარტიის მე-7 (1) (ბ) მუხლი, როდესაც ორგანიზება გაუწია ინტენსიურ წინასასამართლო საქმის გაშუქებას, რათა დაერწმუნებინა საზოგადოება რომ საგაზეთო გამომცემლობის დაკავებული თანამშრომელი იყო დამნაშავე ლალატში.

რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, უნდა აღინიშნოს რომ აშშ სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული პრინციპით სამთავრობო უწყებას აქვს უფლება თქვას რის თქმაც მას სურს<sup>27</sup>. მთავრობას ასევე შეუძლია ისაუბროს საკუთარი სახელით<sup>28</sup> და გამოთქვას ის შეხედულებები რომლებიც სურს რომ გამოთქვას<sup>29</sup>. თუმცა, შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა ავლენს რომ სიტყვის თავისუფლების პრინციპი ვერასოდეს ვერ გადანონის ბრალდებულის უფლებას სამართლიან და მიუკერძოებელ სასამართლოზე<sup>30</sup>. მართლაც, უდანაშაულობის პრეზუმფცია უკრძალავს სამთავრობო ორგანოებს და მოხელეებს ისაუბრონ ბრალდებულის საწინააღმდეგოდ განხილვის პროცესში მყოფ სისხლის სამართლის საქმეზე<sup>31</sup>. საქმეში შეპარდი მაქს-

<sup>26</sup> *Media Rights Agenda v. Nigeria*, ადამიანის და ხალხთა უფლებების აფრიკული კომისია (კომუნიკაცია N 224/98), 6 ნოემბერი 2000, პარაგრაფები. 47, 48.

<sup>27</sup> *Rust v. Sullivan*, აშშ უზენაესი სასამართლო (1991), 500 U.S. 173, construed in *Rosenberger v. Rector and Visitors of Univ. of Va.*, აშშ უზენაესი სასამართლო (1995), 515 U.S. 819, p. 833; *Garcetti v. Ceballos*, აშშ უზენაესი სასამართლო (1999), 547 U.S. 410, pp. 421-22; *United States v. American Library Ass'n*, აშშ უზენაესი სასამართლო (2003), 539 U.S. 194; *Nurre v. Whitehead*, აშშ უზენაესი სასამართლო (2010), 130 S.Ct. 1937.

<sup>28</sup> *Pleasant Grove City v. Summum*, აშშ უზენაესი სასამართლო (2009), 555 U.S. 460, p. 468.

<sup>29</sup> *Summum*, p. 468.

<sup>30</sup> იხ. მაგ. *United States v. Koubriti*, Federal District Court, Eastern District of Michigan (2003), 305 F. Supp.2d 723, p. 760 (სადაც აღიარებულია, რომ სასამართლოს უფლებამოსილებაში არ შედის გენერალურ პროკურორის მიუთითოს თუ როგორ მოაწყოს მისი ოფისი რათა დააბალანსოს მისი ორმაგი როლი, როგორც ქვეყნის მთავარი პროკურორისა და აღმასრულებელი დეპარტამენტის ხელმძღვანელის, რომლის ვალდებულებაა საზოგადოების ინფორმირება. სასამართლოს უდაოდ ევალება მის წინაშე წარდგენილი ბრალდებულების სამართლიანი პროცესით უზრუნველყოფა კონსტიტუციის შესაბამისად, განკარგულების გაცემა ამ უფლებების დასაცავად და ზედამხედველობა, რომ ეს განკარგულებები შესრულდეს“).

<sup>31</sup> *Koubriti*, 305 F. Supp.2d 723, pp. 758 (სადაც მიჩნეულია რომ გენერალური პროკურორის კომენტარი პროცესის მსვლელობისას რომ მთავარი მოწმის ჩვენებას აქვს არსებითი ღირებულება მთავრობისთვის, შეიძლება იყოს არაჯეროვანი, და არასწორი.),

ველის წინააღმდეგ, რომელიც ფართოდ იქნა გაშუქებული მედიის მიერ და სადაც სახელმწიფო მოხელეებმა გააკეთეს ბრალდებულის საწინააღმდეგო განცხადებები, აშშ უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ „მაშინ, როცა დისკუსიას უნდა მიეცეს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება, რომელიც შესაბამისობაში იქნება მართლმსაჯულების სამართლიან და ჯეროვან განხორციელებასთან, არ უნდა დაიშვებოდეს საქმის არსებითი განხილვიდან გადახვევა, რომლის მიზანია დავის გადანყვეტა იურიდიული პროცედურების შესაბამისად ღია სხდომაზე მიღებული მტკიცებულებების საფუძველზე“<sup>32</sup>.

უფრო მეტიც, სხვადასხვა მეორადი წყარო მიუთითებს, რომ პრეზიდენტი ჯორჯ ბუშისა და თავდაცვის მდივნის დონალდ რამსფელდის მიერ გუნტანამოს ყურეში დაკავებულთა შეფასება „ცუდ ადამიანებად“, „მკვლელებად“ და „ნამდვილ, განვრნილ კრიმინალებად“ გავს იმ კომენტარს, რაც სხვა კონტექსტში მიჩნეულა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად<sup>33</sup>. ეს ყველაფერი სვამს კითხვას. როგორ უნდა იქნას დაცული უდანაშაულობის პრეზუმფცია, როდესაც სწორედ ის ინდივიდები, ვინც შექმნეს კომისიის სისტემა, დანიშნეს მისი წევრები და ვინც ითამაშებენ როლს გადახედვის პროცესში აკეთებენ ასეთ განცხადებებს“<sup>34</sup>.

ზემოთ განხილული სასამართლო პრაქტიკის შუქზე, საჯარო მოხელეთა გამოსვლები, რომლებიც აკეთებენ განცხადებებს საქმის გადანყვეტისათვის არსებით საკითხებზე შეუსაბამო სასამართლოს დამოუკიდებლობასა და ავტონომიასთან. განსაკუთრებით, განცხადებები ბრალდებულის დამნაშავეობის თაობაზე შეუსაბამო უდანაშაულობის პრეზუმფციასთან.

ჩვენ ახლა მივუახლოვდით კრიტიკულ კითხვას, იმის შესახებ თუ რა უნდა გააკეთოს სასამართლომ როდესაც ადგილი აქვს ასეთ ჩარევას. შეუძლია თუ არა სასამართლოს უბრალოდ თქვას – ძაღლები ყეფენ და ქარავანი მიდის?

---

760 („ჩვენ არ ვენიანაღმდეგებით განცხადებებს, რომლებიც ასახავენ დეპარტამენტის პოლიტიკას, ასევე განცხადებებს საქმისწარმოების ფაქტებთან დაკავშირებით, რაც შეეხება გენერალური პროკურორის განცხადებებს რომლებიც შეეხება მიმდინარე სისხლის ან სამოქალაქო საქმის პერსპექტივას, ისინი არ უნდა შეიცავდნენ იმ ფაქტების მტკიცებას, რომლებმაც შეიძლება საზოგადოებრას შეუქმნან ნეგატიური განწყობა ბრალდებულის ქმედებების მიმართ“) quoting ABA Comm. on Prof'l Ethics and Grievances, Formal Op. 199 (1940).

<sup>32</sup> *Sheppard v. Maxwell*, აშშ უზენაესი სასამართლო (1966), 384 U.S. 333, pp. 350-51.

<sup>33</sup> McCormack, T. and Avril McDonald, *Yearbook of International Humanitarian Law – 2003*, Vol. 6, (2003), pp. 420-421.

<sup>34</sup> *Ibid.*



მე პრინციპულად მივიჩნევ, რომ საქმე ეხება მოქალაქეების წინაშე სასამართლოს კონსტიტუციურ ვალდებულებას იყოს დამოუკიდებელი და თავიდან აიცილოს ასეთი ჩარევები ან მიიღოს საპასუხო კორექციული ღონისძიებები.

სისხლის სამართლის სასამართლო, რომელიც თავად წარმოადგენს საჯარო ხელისუფლების განმხორციელებელ ორგანოს პასუხობს სხვა საჯარო ორგანოების მოქმედებებს ისე, როგორც ეს საჭიროა სამართლიანი პროცესის ჩასატარებლად.

როგორც ხშირად მიუთითებენ, სასამართლო უშუალოდ ვალდებულია მიმდინარე საქმეზე უზრუნველყოს საქმის განხილვაზე იმ ზეგავლენების არიდება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს ნეგატიური გაშუქებით. სასამართლოს „უბრალო უმოქმედობა“, რომ აღკვეთოს მოსალოდნელი ზიანი შეიძლება იყოს საკმარისი სახელმწიფოს პასუხისმგებლობისათვის ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის შესაბამისად<sup>35</sup>. ამის მსგავსად საქმეზე გრიდინი რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ და ლარანაგა ფილიპინების წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა დაადგინა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა, როდესაც ეროვნულმა სააპელაციო სასამართლოებმა უარი თქვეს განეხილათ საჯარო მოხელეთა განცხადებები, რომლებიც მოსარჩელეს დამნაშავის სახით წარმოაჩენდნენ<sup>36</sup>. ამის საპირისპიროდ, თუ ეროვნული სააპელაციო სასამართლო განიხილავს და გაანალიზებს ნეგატიური გაშუქების ზეგავლენას პროცესზე, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო სავარაუდოდ არ დაადგენს მე-6 მუხლის გარანტიის დარღვევას<sup>37</sup>.

<sup>35</sup> David Harris et al., *Law of The European Convention on Human Rights*, Oxford University Press, 2<sup>nd</sup> ed., 2009, p. 266 (სადაც აღნიშნულია, რომ არ არის აუცილებელი სახელმწიფო იყოს ჩარეული პუბლიკაციის დამზადებაში და სასამართლოს, როგორც სახელმწიფო ორგანოს უმოქმედობა გაანეიტრალოს ამ გაშუქების საზიანო ეფექტები საკმარისია კონვენციის მიხედვით დასადგენად.).

<sup>36</sup> *Gridin v. Russian Federation*, პარაგრაფი 8.3. იხ. აგრეთვე *Mwamba v. Zambia*, პარაგრაფი 6.5 (რომელშიც უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა დადგინდა ასევე იმ საფუძვლით რომ „მოპასუხე სახელმწიფომ არ სადაო არ გახადა განმცხადებლის საჩივარი, რომლის თანახმადაც მისი უფლებები შეილახა საჯარო მოხელეების მიერ მედიასში გაკეთებული განცხადებებით)

<sup>37</sup> David Harris et al., *Law of The European Convention on Human Rights*, p. 266; *X v. United Kingdom*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, აპლიკაცია ნომერი 3860/68 30 CD 70, 1969 („სააპელაციო სასამართლომ სპეციალურად განიხილა აპლიკანტის საჩივარი, რომ ადგილი ჰქონდა მისი საქმის ნეგატიურ გაშუქებას და დაადგინა რომ არ არსებობდა ამ გაშუქების მხრიდან ნაფიც მსაჯულებზე ზემოქმედების რეალური რისკი“).

მართლაც, სასამართლოს ვალთა თავიდან აიცილოს პროცესის ბოროტად გამოყენება და დისკრეციულად ჩაერიოს მაშინ, როცა უმოქმედობამ შეიძლება ზიანი გამოიწვიოს<sup>38</sup>. სხვა საქმეები ადასტურებენ, რომ სასამართლოს ჩარევა შეიძლება იყოს საკმარისი გარე ზეგავლენისგან სამართლიანი პროცესის დასაცავად, თუკი დეფექტი არ არის იმდენად სერიოზული, რომ ამან სამართლიანი პროცესი შეუძლებელი გახადოს. საქართველოსთვის რელევანტურია საკითხია მედია კამპანიის მეშვეობით საქმის ნეგატიური გაშუქების შედეგების სენსიტიურობა ნაფიც მსაჯულთა პროცესში. ზოგადად, ევროსასამართლო იზიარებს ეროვნული სასამართლოების არგუმენტს, რომლის თანახმადაც სამოსამართლო დირექტივა ნაფიც მსაჯულთა მიმართ რომ ყურადღება არ მიაქციონ სასამართლოს გარეთ გაკეთებულ კომენტარებს საკმარისად მიიჩნევა უდანაშაულობის პრეზუმფციის დასაცავად<sup>39</sup>. საქმეში ადოლფი ავსტრიის წინააღმდეგ, ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ არ დარღვეულა არც სამართლიანი პროცესის, არც უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება იმდენად, რამდენადაც ეროვნულმა უზენაესმა სასამართლომ გაასწორა ქვემდგომი სასამართლოს დეფექტური მსჯელობა<sup>40</sup>. ყველა ამ საქმეზე, პროცესის სამართლიანობა შეფასებული იქნა ერთიანობაში.

სანქციები და გაფრთხილებები სასამართლოს უპატივცემულობისთვის გამოიყენება იმ მოხელეთა მიმართ, რომლებიც არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმფციას, განსაკუთრებით როცა ეს ეხება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს. საქმეში შეერთებული შტატები კუბრიტის წინააღმდეგ, გენერალურმა პროკურორმა დაარღვია სასამართლოს ბრძანება, რომელიც უკრძალავდა მხარეებს ნებისმიერი ინფორმაციის საჯარო გახმაურებას, რაც გონივრული ვარაუდით ზეგავლენას მოახდენდა საქმის განხილვაზე. შესაბამისი საკითხის

<sup>38</sup> იხ. მაგ. *R. v. Horseferry Road Magistrates Court*, [1993] 1 A.C. 42, p. 12 (ლორდ გრიფიტი მოუწოდებს სასამართლოს თავის თავზე აიღოს „კანონის უზენაესობის დაცვის ვალდებულება, რაც მოიცავს აღმასრულებლის ქმედებაზე ზედამხედველობის ნებას და უარი თქვას იმ ქმედების მონონებაზე, რომელიც ემოქრება ან ფუნდამენტურ ადამიანის უფლებებს ან კანონის უზენაესობას“).

<sup>39</sup> *Noye v. United Kingdom*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, Chamber გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 4491/02, 21 იანვარი 2003, p. 11.

<sup>40</sup> *Adolf v. Austria*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 8269/78, 26 მარტი 1982, პარაგრაფი 40; იხ. აგრეთვე *Fedorenko v. Russia*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, პალატის გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 39602/05, 20 September 2011, პარაგრაფები. 91-92 (observing, in finding a violation of the presumption of innocence, that the appellate court made no attempt to properly amend the inferior court's defective გადაწყვეტილება).

გადანყვეტისას, სასამართლომ ჩათვალა რომ იმის მიუხედავად, რომ მაღალი თანამდებობის პირის პოზიცია განმცხადებლის მიმართ ძალიან გაართულედა სასამართლოს უპატივცემლობის გამო დევნის წარმართვას ხელისუფლებათა დაყოფის კონსტიტუციური პრინციპის გამო, „სასამართლოს ვალდებულება რჩებოდა იგივე, რაც ვერ შეიცვლებოდა თანამდებობის პირის პოზიციიდან გამომდინარე“<sup>41</sup>. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, გენერალური პროკურორის განცხადებები ლეგიტიმურად იყო მიმართული „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ უახლესი მოვლენების ირგვლივ“ საზოგადოების ინფორმირებისკენ და არც მკაფიოდ პროვოკაციული იყო, და არც ყურადღების მისაქცევად გამოზნული<sup>42</sup>. მხედველობაში მიიღო რა ის ფაქტი, რომ შესაძლო ზიანი იყო „უდაო მოცემულ სიტუაციაში“ სასამართლომ „ფორმალურად და საჯაროდ“ გააკიცხა გენერალური პროკურორი თავისი საქციელისთვის.<sup>43</sup>

საერთაშორისო სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კონტექსტში, სადაც ნაფიცი მსაჯულები არ მონაწილეობენ, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლომ გამოიყენა მსგავსი სანქცია. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ საქმეში, რომელიც პროკურორის ქმედებას ეხებოდა, ICC ს სააპელაციო პალატამ ჩათვალა რომ მისი „აშკარად არაჯეროვანი საქციელი უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში“ შესაძლებელია მოითხოვდეს სხვა მოქმედებებთან ერთად „სხვადასხვა „რემედიალური ზომების განხორციელებას რათა აღმოიფხვრას მისი განცხადებებით მიყენებული ზიანი“<sup>44</sup>. მათ შორის მისი მოვალეობების ფორმალური შესხენება ან სასამართლო გაფრთხილება. აქ როგორც ჩანს, სასამართლოს ავტონომიის აღქმას და უდანაშაულობის პრეზუმფციას ზიანი მიადგა არა მოსამართლის რეალური ზემოქმედებით, არამედ პრინციპებიდან გამომდინარე და პროკურორის ჩარევის ხილვადობით.

ყველაზე უფრო რადიკალური ზომები, რომლებიც გამოიყენება ნაფიც მსაჯულთა პროცესში არის საქმისწარმოების შეჩერება ან საქმის დაბრუნება ხელახალ სასამართლო განხილვაში<sup>45</sup>. გაერთიანებულ სამეფოში თუმცა „შე-

<sup>41</sup> *Koubriti*, 305 F. Supp. 2d, p. 742 (emphasis added).

<sup>42</sup> *Koubriti*, 305 F. Supp. 2d, p. 748-752.

<sup>43</sup> *Koubriti*, 305 F. Supp. 2d, pp. 764-765.

<sup>44</sup> *Ibid.*, პარაგრაფი 35.

<sup>45</sup> *Jespers v. Belgium*, no. 8403/78, კომისია გადანყვეტილება of 15 October 1980, გადანყვეტილება და რეპორტები (DR) 22, p. 100 (რომელიც ადასტურებს, რომ ნეგატიური გამოქმედების ზეგავლენის ქვეშ ნაფიც მსაჯულთა მოქცევის შემთხვევაში შუამდგომლობა

უჩრებელი, მასშტაბური, სენსაციური, არაზუსტი და შეცდომაში შემყვანი“ გაშუქებით შესაძლებელია ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტი „არასტაბილური“ გახდეს, პრაივი კაუნსილმა გადაწყვიტა, რომ საკითხის ამდაგვარი გადაწყვეტისას ყველა გარემოება უნდა იქნას მხედველობაში მიღებული<sup>46</sup>, მათ შორის გაშუქების დრო და მისი გავრცელება; „საჯარო ინტერესი იმისა, რომ მართლმსაჯულება აღსრულდეს და გამოჩნდეს როგორც აღსრულებული“ და სამართლიანი პროცესის გარანტიები<sup>47</sup>. საბოლოო ჯამში, „გათვალისწინებული იქნა საქმის განხილვის დროს პუბლიკაციის ზეგავლენა ფიქტიურ მსაჯულის აზროვნებაზე“<sup>48</sup>.

ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ივარაუდება რომ პროფესიონალი მოსამართლეები უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან ნეგატიურ გაშუქებას, განსაკუთრებით თუ არ არსებობს ამ ზეგავლენის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება პროცესის სამართლიანობის შეფასებისას გლობალურ ქრილში<sup>49</sup>.

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ სასამართლოს კორექციული ღონისძიებების მიზანი არის არა იმდენად სახელმწიფო მოხელის დასჯა, არამედ ის რომ თავიდან იქნას აცილებული ზეგავლენა სასამართლო პროცესზე. თუმცა პრევენციისა და პრესტიჟის აღდგენის მიზნით საჯარო შენიშვნა შეიძლება

---

საქმის სხვა სასამართლოში განხილვის თაობაზე იყო ის დაცვის საშუალება რომელიც უნდა ყოფილიყო ამონურული); *Marshall v. United States*, აშშ უზენაესი სასამართლო (1959), 360 U.S. 310 (სადაც აშშ უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდებულის მოთხოვნა ახალი პროცესის გამართვის თაობაზე, მას შემდეგ რაც ჩათვალა რომ ნაფიცი მსაჯულების ინფორმირება საინფორმაციო ნიუსის მეშვეობით ბრალდებულის წინა სასამართლობის თაობაზე (დაუშვებელი მტკიცებულება პროცესზე) იყო ნეგატიური ზემოქმედება); *Boodram v. Attorney-General of Trinidad and Tobago*, [1996] A.C. 842, p. 855 (სადაც ბორდმა აღნიშნა, რომ გაშუქების წინააღმდეგ საჩივრის შესატანად შესაბამისი ფორუმი სასამართლოა და მოსამართლემ აქ შეაფასა „ნაფიც მსაჯულთა გაფრთხილება, სავალდებულო აცილებები და დასაბუთებული აცილებები შესაძლებლობას მისცემს თუ არა ნაფიც მსაჯულებს მიიღონ ვერდიქტი სუფთა გონებით, თუ ერთადერთი გამოსავალი გამონაკლისის სახით საქმის განხილვის მუდმივი ან დროებითი შეჩერება“).

<sup>46</sup> *Montgomery & Ors v. Her Majesty's Advocate and The Advocate General for Scotland*, [2000] UKHL D1, p. 38.

<sup>47</sup> *Montgomery*, p. 38-40.

<sup>48</sup> *Montgomery*, p. 31.

<sup>49</sup> იხ. *Priebke v. Italy*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო, Chamber გადაწყვეტილება, აპლიკაცია ნომერი 48799/99, 5 აპრილი 2001, p. 15 („უიურის წევრებისგან განსხვავებით ისინი როგორც წესი ფლობენ გამოცდილებას და განათლებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს თავიდან აიცილონ პროცესის გარე ზეგავლენები“).

დროდადრო საჭირო იყოს. ამდაგვარი რეაქცია ინდივიდუალური მოსამართლისგან ან სასამართლოს კოლექტივისგან ითხოვს რომ წინ აღუდგეს აღმასრულებელს, რაც შეიძლება საკმაოდ დიდი გამოწვევა იყოს სასამართლოსთვის. უფრო შორს მიმავალი ღონისძიება იქნებოდა სამოსამართლო რეაქციის ინსტიტუციონალიზაცია საკანონმდებლო გზით. ამდაგვარი ინსტიტუციური რეაქცია მინიმუმამდე დაიყვანს ზეწოლას ინდივიდუალურ მოსამართლეებზე და ემსახურება ზოგადი პრევენციის მიზნებს. როგორც ჩემთვის ცნობილია, ერთ ერთი ჩვენი სპიკერი წარმოადგენს გერმანული სისტემის გამოცდილებას ამ მიმართულებით. გმადლობთ.

# მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი გულბრილობა და მისი შედეგები

## კონფერენცია მოსამართლის პროფესიის შესახებ

*ვიქტორია ჰენლი,  
კალიფორნიის სასამართლო ქცევის კომისიის დირექტორი –  
მთავარი ადვოკატი*

### **რატომ არის საჭირო მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენება?**

კალიფორნიის სამოსამართლო ეთიკის კოდექსის 1 წესის კომენტარი განმარტავს:

სასამართლოების გადაწყვეტილებებისა და ბრძანებებისადმი განსხვავებულ დამოკიდებულებას სასამართლო ხელისუფლების ერთიანობისა და დამოუკიდებლობისადმი საზოგადოების რწმენა განაპირობებს. სასამართლო ხელისუფლების ერთიანობა და დამოუკიდებლობა კი თავის მხრივ დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად უშიშრად და მიუკერძოებლად მოქმედებენ მოსამართლეები. მართალია მოსამართლე დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ ამავდროულად ის ვალდებულია დააკმაყოფილოს კანონის და წარმოდგენილი კოდექსის მოთხოვნები. სასამართლოს მიუკერძოებლობისადმი საზოგადოების რწმენის შესანარჩუნებლად აუცილებელია თვითოეულმა მოსამართლემ შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები. კოდექსის მოთხოვნათა დარღვევა ასუსტებს სასამართლოსადმი საზოგადოების რწმენას და ამგვარად ზიანს აყენებს ქვეყნის მართლმსაჯულების სისტემას.

ეს აზრი პირდაპირ და მკაცრად იყო გამოთქმული სამხრეთ დეკოტას შტატის უზენაესი სასამართლოს მიერ ახლახან გამოტანილ გადაწყვეტილებაში. გადაწყვეტილება ამ შტატის ისტორიაში მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენების პირველ შემთხვევას ეხებოდა. მოსამართლის მიერ ჩადენილი

დისციპლინური გადაცდომით მიყენებული ზიანის განმარტებისას სასამართლომ განაცხადა:

მოსამართლე ფულერმა ზიანი მიაყენა არამხოლოდ საკუთარი, როგორც მოსამართლის რეპუტაციას, არამედ შტატის ყველა მოსამართლის რეპუტაციას. მოსამართლეთა გადაწყვეტილებების აღსრულება ჯარის, ან სხვა ძალის გამოყენებით არ ხორციელდება. ჩვენი მოქალაქეები ნებაყოფლობით აღასრულებენ ამ გადაწყვეტილებებს ვინაიდან პატივს სცემენ კანონის უზენაესობას. მოსამართლე ფულერის არაეთიკური ქცევა ამ შტატის თვითოეული მოსამართლისათვის უფრო რთულს ხდის შეინარჩუნოს საზოგადოების პატივისცემა სასამართლოებისადმი და შესაბამისად ასუსტებს ჩვენს უნარს ეფექტურად მოვაგვაროთ სამართლებრივი დავები.

### **სამოსამართლო დისციპლინური სისტემების შექმნა**

სამოსამართლო დისციპლინური სისტემები სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოებრივი რწმენის შენარჩუნების მიზნით შეიქმნა. კალიფორნიაში პირველად მსგავსი სისტემა 1960 წელს შეიქმნა. დღეისათვის კი მსგავსი დისციპლინარული სისტემები მთელს ქვეყანაში არსებობს. ბევრი მათგანი ახალხანს შეიქმნა, მაგალითად ინგლისში, სადაც სისტემა მხოლოდ 2006 წელს დაარსდა.

### **დისციპლინური ორგანოს როლი**

კალიფორნიაში და რამოდენიმე სხვა შტატში, სამოსამართლო დისციპლინური ორგანო სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებელ პირს/ერთეულს წარმოადგენს. ბევრ სხვა ქვეყანაში, დისციპლინურ ფუნქციას მოსამართლეთა უმაღლესი საბჭო, ან უზენაესი სასამართლოს ეგიდით მოქმედი კომიტეტი ასრულებს. ძირითადი განსხვავება აშშ-ს, ბევრ ევროპულ ქვეყანასა და საქართველოს შორის ის არის, რომ აშშ-ში მოსამართლეებს სასამართლო ხელისუფლება არ ირჩევს. მოსამართლეთა შერჩევაში არც კალიფორნიის კომისია მონაწილეობს და არც ჩვენი სამოსამართლო საბჭო (ჩვენი მოკავშირე მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოში). ქვეყნების უმეტესობაში მოსამართლეებს აღმასრულებელი ხელისუფლება (ზოგჯერ მათ ამისათვის საკანონმდებლო შტოს თანხმობა ესაჭიროებათ) ირჩევს, ან ორივე პროცესის კომბინაციის შედეგად ხდება არჩევა. აშშ-ში სამოსამართლო დისციპლინური

კომისია მხოლოდ მცირე შემთხვევაში იღებს მონაწილეობას და ისიც შეფასების შედეგად მსახურობის ვადაგასულ მოსამართლეთა ხელახალი დანიშვნის პროცესში. კალიფორნიაში, როგორც ამერიკის ბევრ სხვა შტატში, კომისიის უფლებამოსილება დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებით შემოიფარგლება.

### **პირველადი ძირითადი მახასიათებლები**

თავდაპირველად კალიფორნიის კომისია 9 ნევრისაგან შედგებოდა, რომელთა უმრავლესობა, ანუ 5 ნევრი მოსამართლე იყო. თავიდან კომისია მხოლოდ საგამოძიებო(მოკვლევითი) ორგანოს ფუნქციას ასრულებდა და დისციპლინური უფლებამოსილება არ გააჩნდა. მხოლოდ ერთი სანქცია არსებობდა – მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება – და ამას კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე უზენაესი სასამართლო აკეთებდა, რომელიც კალიფორნიაში უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა. ყველა სამართალწარმოების პროცესი კონფიდენციალური იყო იმ ეტაპამდე, ვიდრე მოსამართლის გადაყენების შესახებ რეკომენდაციას არ გაუგზავნიდნენ უზენაეს სასამართლოს. ნევრთა უმრავლესობის მოსამართლეობა, პროცესის თითქმის მთლიანი კონფიდენციალობა და დისციპლინურ პროცესში უზენაესი სასამართლოს ჩარევა სამოსამართლო დისციპლინური სისტემის მთავარი მახასიათებლები იყო.

### **ევოლუციური ცვლილებები**

აშშ-ს სხვა შტატებში შექმნილი თითმის ყველა კომისია კალიფორნიის კომისიის მოდელის თანახმად შეიქმნა. თუმცა, 50 წლის შემდეგაც, რამოდენიმე კომისია კვლავ ჰგავს კალიფორნიის მოდელს, ან ერთმანეთს. სხვადასხვა შტატების სასამართლო ხელისუფლებებს შორის ბევრი განსხვავებაა ზომის, მოსამართლეთა არჩევის წესის, მოსამართლედ გახდომისათვის აუცილებელი მოთხოვნების და მოსამართლეთათვის აუცილებელი ტრეინინგების თვალსაზრისით. ყველა ეს ფაქტორი ზეგავლენას ახდენს სამოსამართლო დისციპლინურ სისტემაზე. ამ განსხვავებების გამო, დღეს აშშ-ში სამოსამართლო დისციპლინური სტრუქტურის ერთი უნიკალური მოდელი არ არსებობს და არსებული გამოცდილებით სრულყოფილი არც ერთი სისტემა არ არის. მაგრამ ბევრი მოდელი და ვარიაცია აკმაყოფილებს სხვადასხვა საჭიროებებს და ასრულებს ძირითად ფუნქციებს.



ბოლო 50 წლის განმავლობაში კალიფორნიის კომისიაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. კომისიის, ან მისი მუშაობის ასპექტების შესაცვლელად 5 საკონსიტუციო ცვლილება განხორციელდა. ზოგიერთ ცვლილება წინასწარ გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოშობამ განაპირობა. სხვა ცვლილებების მიზეზი გახდა საზოგადოების სურვილი გაზრდილიყო დისციპლინური სისტემის ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა. 1994 წელს, კალიფორნიის კომისიის შემადგენლობამაც განიცადა ცვლილება და წევრთა მოსამართლე უმრავლესობა, მოქალაქე უმრავლესობამ შეცვალა. დღეისათვის კალიფორნიის კომისია 11 წევრისაგან შედგება: 6 საზოგადოების წარმომადგენელი წევრია, 3 მოსამართლე და 2 იურისტი. ეს ცვლილება საზოგადოების უკმაყოფილებით იყო განპირობებული, ვინაიდან მიაჩნდათ რომ მსგავსი შემადგენლობით მოსამართლეთა სისტემა ერთმანეთის ინტერესების დაცვას ემსახურებოდა და არა საზოგადოების ინტერესებს. საზოგადოების უნდობლობა კონფიდენციალურმა პროცესებმაც მნიშვნელოვნად გაამყარა. საბოლოო ჯამში, როდესაც კომისიის წევრთა შემადგენლობა შეიცვალა, სამართალწარმოების პროცესი საზოგადოებისათვის საჯარო გახდა. კომისიისათვის გაგზავნილი საჩივრები და გამოძიების პროცესი კვლავ კონფიდენციალურია, მაგრამ მას შემდეგ რაც ბრალის ოფიციალური წაყენება მოხდება, პროცესი ღია ხდება. საზოგადოებას საშუალება აქვს დაესწროს ფაქტების მოკვლევის სხდომას და კომისიის წინაშე წარმოდგენილ არგუმენტებს. ბრალის ოფიციალური წაყენების შემდეგ მომზადებული ნებისმიერი საქმის მოკლე აღწერა და სასამართლოს ბრძანება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ღია სასამართლო პროცესები მხოლოდ კალიფორნიაში არ არის დაშვებული. 52 შტატიდან 35 შტატში სამოსამართლო დისციპლინური მოსმენები ახლა საჯაროა; ეს ქმედება ბევრი შტატისათვის სამოსამართლო დისციპლინური პროცესის გამჭვირვალობის გაზრდისაკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო.

### **ერთდონიანი სისტემა ორდონიანი სისტემის წინააღმდეგ**

აშშ-ში სამოსამართლო დისციპლინური სისტემების უმრავლესობა ერთდონიანია, რომელშიც ერთი და იგივე ორგანო საჩივრების შემოწმებასაც აწარმოებს და გადაწყვეტილებასაც იღებს დისციპლინური ბრალის წაყენების შემთხვევაში. დაახლოებით 10 შტატში 2 დონიანი სისტემაა, რომელშიც ერთი ორგანო საჩივრების გამოძიებას აწარმოებს და ბრალის წაყენებითაა

დაკავებული, ხოლო გადაწყვეტილებას სხვა ორგანო იღებს. აშშ-ში უკანასკნელი ტენდენციით ერთი დისციპლინური ორგანოს არსებობა უფრო მიღებულია, თუმცა ეს ორგანო საკმარისად დიდია იმისათვის რომ 2 ჯგუფად გაიყოს და საჩივრებიც შესაბამისად გადანაწილდეს. თუკი ერთი ჯგუფი გამოძიებაზე და ბრალის წაყენებაზე მუშაობს, მეორე გადაწყვეტილებების მიღებაზე მუშაობს.

შტატების უმრავლესობა ან დისციპლინური ზომების გატარების რეკომენდაციას აძლევს საკუთარ უზენაეს სასამართლოს, ან კალიფორნიის მსგავსად დისციპლინური კომისია იღებს დისციპლინურ გადაწყვეტილებას, რომლის შემთხვევაშიც მოსამართლეს უფლება აქვს გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში გაასაჩივროს.

### **სამოსამართლო ეთიკის ნორმათა დარღვევის დამატებითი შედეგები**

იმ შემთხვევაში თუკი მოსამართლეს იმუნიტეტი დაიცავს, ასეთის არსებობისას, ეთიკის ნორმათა დარღვევის კიდევ ერთი შედეგი სამოქალაქო და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა. აშშ-ში მოსამართლეებს სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში იმუნიტეტი არ იცავს, ხოლო სამოქალაქო იმუნიტეტი მხოლოდ იმ სამოსამართლო ქმედებების შემთხვევაში ვრცელდება, რომლებიც მოსამართლის იურისდიქციის ფარგლებში იქნა ჩადენილი.

სამოსამართლო იმუნიტეტი მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საქმეში. როგორც ირლანდიელმა მოსამართლემ ჯონ ელ. მურეიმ განაცხადა:

„სამოსამართლო იმუნიტეტის ცნება მოსამართლეთა პირადი ინტერესების სასარგებლოდ, ან დასაცავად გამოგონილი პრივილეგია არ არის. დამოუკიდებელი სასამართლოს უფლება არის უფლება, რომელსაც საფუძვლად ხალხის ინტერესი უდევს და ხალხს ეკუთვნის. სწორედ ამიტომ ეს უფლება კონსტიტუციაშიც არის ჩადებული. მოსამართლის იმუნიტეტის მიზანია დაიცვას და უზრუნველყოს საზოგადოების უფლება ჰქონდეს დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა“.

თუმცა, როგორც პატივცემულმა მოსამართლე მურეიმ აღნიშნა, როგორც კი მოსამართლეთა იმუნიტეტი იმდენად გაფართოვდება, რომ მოსამართლეს სამართალწარმოებისას აღარ ექნება შიში, რომ მიღებული გადაწყვეტილებების გამო შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს, «წარმოიშვება

კონფლიქტი მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებთან». დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ კითხვა იმაში მდგომარეობს, მოსამართლეთა დაცვა მსუბუქი, ან კორუფციული გადაცდომებისაგან ხომ არ სცდება სასამართლოს დამოუკიდებლობის საზღვრებს და საფრთხეს ხომ არ უქნის საზოგადოების რწმენას სასამართლო სისტემისადმი.

### **საქართველოში სასამართლო ხელისუფლების დისციპლინურ საკითხებზე დაკვირვების შედეგები**

ნარსულში პატივი მქონდა ორჯერ ვწვეოდი საქართველოს – პირველად 2011 წლის ნოემბერში და მეორედ 2012 წლის მაისში.

ჩემი პირველი ვიზიტისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს შევხვდი, ასევე მთელი დღის განმავლობაში ვიმუშავე დისციპლინური დეპარტამენტის თანამშრომლებთან. შეხვედრებისას განვიხილეთ ჩვენს სამუშაოსთან დაკავშირებული ისეთ საკითხები, როგორებიცაა საჩივრების გადახედვა და შეფასება, გამოძიებასთან დაკავშირებული გამოწვევები, საზოგადებასთან კომუნიკაცია და სხვა ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები. მეორე ვიზიტისას საქართველოს უზენაეს სასამართლოში დავესწარი 2 დღიან სემინარს, რომელშიც მონაწილეობდნენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და დისციპლინური საბჭოს წევრები. დისკუსიის ძირითადი თემა იყო დისციპლინური ზომების გატარების საფუძვლები საქართველოს კანონში შესული ცვლილებების თანახმად, აშშ-ში გავრცელებულ საქმეთა ტენდენციები, საჩივრების წინასწარი შემოწმება, დისციპლინარული პროცესებისა და გამოძიებების საუკეთესო პრაქტიკები, მოსამართლესთან კომუნიკაცია და სარჩელის აღძვრა, სანქციები, საქმეთა სტატისტიკის წარმოება და სტატისტიკური ინფორმაციის პრეზენტაცია. ამასთან, თვითოეული ვიზიტისას მთხოვდნენ გადამეხედა სხვადასხვა სამართლებრივი შემთავაზებებისათვის და კომენტარი გამეკეთებინა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილ შემთავაზებას გამოეწვია, ან წარმომედგინა სასურველი ცვლილებები. როგორც უკვე ვახსენე, ჩემი აზრით ეფექტური სასამართლო დისციპლინური ორგანოს ერთი მოდელი არ არსებობს. თვითოეული ქვეყნის სისტემაში თვითოეული ასპექტი წარმოდგენილი ქვეყნის ზომის, კულტურისა და ისტორიის შესაბამისი უნდა იყოს.

ის რაც ნიუ იურკში ამართლებს, შესაძლოა უკიდურესად მიუღებელი და გაუმართლებელი იყოს საქართველოს, ინგლისის, ან თუნდაც კალიფორნიის რეალობაში. პოტენციური პრობლემების შესახებ გაკეთებული დასკვნები მეტწილად პრაქტიკულ მოსაზრებებს ეყრდნობა და არა ობიექტურ რწმენას.

### **ანგარიშგება მიღებული გადაწყვეტილებებისა და სტატისტიკური მაჩვენებლების შესახებ**

ჩემი პირველი რეოკმენდაცია სასამართლო დისციპლინური საჩივრებისა და სამართალწარმოების შესახებ საზოგადოების წინაშე ანგარიშგებას ეხებოდა. როგორც ზემოთ ავღნიშნე, სასამართლოს დისციპლინური სისტემები მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგანან გამჭვირვალობისა და ანგარიშგების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, ვინაიდან სამუშაოს უდიდესი ნაწილი კონფიდენციალურია. ორი აზრი არ არსებობს, რომ დისციპლინური სისტემის ანგარიშვალდებულების საჭიროება კიდევ უფრო დიდია იმ სასამართლო სისტემებში, სადაც მოსამართლეები უვადოდ ინიშნებიან და როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისამართლის იმუნიტეტით სარგებლობენ, ვინაიდან დისციპლინური სისტემა შეიძლება მოსამართლეთა პრობლემური ქცევის გამოსწორების *ერთადერთი* მექანიზმი იყოს. საზოგადოებამ და სასამართლო ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ დისციპლინური სისტემა არსებობს და უნდა ჰქონდეს მის მიერ შესრულებული სამუშაოს დანახვის შესაძლებლობა. ეს ნიშნავს სისტემაში შემოსული ყველა საჩივრის შესახებ ანგარიშგებას, ასევე ანგარიშგებას იმის შესახებ თუ რამდენი შემოსული საქმის გამოძიება მოხდა, რამდენი საქმე დაიხურა და რა იყო დახურვის მიზეზი. საზოგადოებრივი დისციპლინა საჯარო და ნებისმიერი კერძო გადაწყვეტილების მოკლე აღწერილობა ხელმისაწვდომი უნდა იყოს. 2012 წლიდან 2013 წლის 1 მაისამდე კანონმდებლობა მოითხოვდა მომჩივანის ინფორმირებას შემოტანილი საჩივრის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და დისციპლინური გადაწყვეტილების საჯარო გამოქვეყნებას – ანგარიშგების განხორციელების 2 მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

საქართველოში, ისევე როგორც ყველა სხვაგან, საჩივრების დიდი უმრავლესობა თავდაპირველი შემომწმების შემდეგ იხურება. მსგავსი შემთხვევების გამო, ასევე საქმეების შესაბამისი ორგანოებისათვის გადაგზავნის გამო, როგორც წესი მიღებული საჩივრებიდან 80-85% სამართალწარმოება არ ინ-

ყება და გამჭვირვალობისა და ანგარიშგებისათვის დეტალური განმარტებების გაკეთება აუცილებელი.

საქმეებზე, რომელთა შემთხვევაშიც დისციპლინური ქმედება განხორციელდა, გადაწყვეტილებების გამოქვეყნება აუცილებელია როგორც საზოგადოების, ასევე სასამართლო ხელისუფლების ინფორმირებისათვის იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი შედეგი მოაქვს არამართლზომიერ ქმედებას და სასამართლო დისციპლინური სისტემის და საზოგადოების წინაშე ანგარიშგებისათვის. კალიფორნიაში ყოველწლიურად კალიფორნიის კომისიის მიერ განხილულ საქმეთა 2% ნაკლები ხდება საჯარო, რაც იმას ნიშნავს, რომ საჩივრების და საქმეების 98% საზოგადოებრივ განხილვას არ ექვემდებარება. საქართველოშიც სანქციების დიდ უმრავლესობას – პირველადი შემონმების, ანდა მოსამართლის განმარტებების შემდეგ გაკეთებულ კერძო წერილობით რეკომენდაციებს – დისციპლინური საბჭო არ აქვეყნებს და შესაბამისად მოქმედი კანონის თანახმად ისინი არ ხდება საჯარო. მაგალითად, 2010 და 2011 წლებში, დისციპლინურმა საბჭომ გამოსცა 5 შენიშვნა, 10 საყვედური, 2 მკაცრი საყვედური და 2 თანამდებობიდან გათავისუფლების გადაწყვეტილება. 2012 და 2013 წლებში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ამ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია არ უნდა გამოქვეყნდეს. საქმის წინასწარი შესწავლის, ან მოსამართლის განმარტებების შემდეგ მომზადებული კერძო სარეკომენდაციო ბარათების შესახებ ინფორმაცია – რომელთა რაოდენობამ ამ პერიოდის განმავლობაში მთლიანდ 56 შეადგინა – არ უნდა გამოქვეყნდეს. თვითოეულ ამ საქმესთან მიმართებაში, შეიძლება მომზადდეს ქცევის ზოგადი აღწერილობა მოსამართლის იდენტიფიცირების გარეშე, რათა საზოგადოებამ და მოსამართლეებმა შეიტყონ იმ ტიპური არამართლზომიერი ქცევების შესახებ რომელიც მსგავსი არაფორმალური შედეგით მთავრდება. ვინაიდან ეს გადაწყვეტილებები საქართველოში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანაში დისციპლინური ქმედების უმრავლესობას წარმოადგენს, ამ გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება მნიშვნელოვანია დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის გამჭვირვალობისა და ანგარიშგების თვალსაზრისით.

### **დისციპლინური საჩივრის შეტანის რამოდენიმე შესაძლებლობა**

საქართველოს კანონი საჩივრის წინასწარი შესწავლისა და გამოძიების უფლებამოსილებას მოსამართლეთა უმაღლეს საბჭოს ანიჭებს. თუმცა, კა-

ნონი ამავედროულად უფლებას აძლევს უზენაესი სასამართლოს თავჯდომარეს და სააპელაციო სასამართლოს პალატების თავჯდომარეებს დაინყონ დისციპლინური სამართალწარმოება. აქედან გამომდინარე არ არსებობს მოთხოვნა, რომ ყველა საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამდივნომ განიხილოს. დისციპლინური სისტემა, სადაც საჩივრის შეტანა რამოდენიმე სხვადასხვა ადგილას შეიძლება განხორციელდეს საფრთხეს უქმნის სისტემას, ვინაიდან სხვადასხვა განმხილველი ორგანო გადანყვეტილების მიღებისას სხვადასხვა სტანდარტებით ხელმძღვანელობს თვით იმასთან დაკავშირებითაც კი თუ რა უნდა გადაეგზავნოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. უფრო მეტიც, საჩივრის შეტანის სხვადასხვაგვარი შესაძლებლობა კორუფციის უფრო მეტ რისკს უკავშირდება, ვინაიდან მრავალპუნქტიან სისტემაში დაცვის მექანიზმების შენარჩუნება უფრო რთულია. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამჟამად განხილვის პროცესში მყოფი შეთავაზების თანახმად, ყველა საჩივარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს. ჩემი აზრით ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და მისი განხილვა აუცილებელია.

### **დისციპლინური სამართალწარმოების ვადები**

დისციპლინურმა საბჭომ სამართალწარმოება საჩივრის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ გადანყვეტილების მიღების დღიდან 1 წელიწადში უნდა დაასრულოს, რასაც როგორც ჩანს საბჭო ახერხებს. თუმცა შეშფოთებას იწვევს მოთხოვნა, რომლის თანახმადაც დისციპლინური სამართალწარმოება დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღიდან 5 წელიწადში უნდა დასრულდეს, ვინაიდან ამ შეზღუდვამ შეიძლება სერიოზული საქმეების შეწყვეტა, ან ვერ დასრულება გამოიწვიოს. ადამიანები მოსამართლის არამართლობიერ ანდა კორუფციულ ქცევაზე ყოველთვის დაუყოვნებლივ არ რეაგირებენ. ხშირად ამგვარი ქმედების ამოტივტივებას საკმაოდ დიდი დრო ჭირდება. ამ დროს შეიძლება საფრთხე დაემუქროს საზოგადოებრივ რწმენას, როდესაც სერიოზული დისციპლინური გადაცდომის საქმე, რომელსაც შესაძლოა მოსამართლის გათავისუფლება გამოეწვია ვერ გრძელდება «ტექნიკურად» დისციპლინური სამართალწარმოების ვადების გასვლის გამო. შესაფერისი დისციპლინური სამართალწარმოების ვადების განსაზღვრა ინტერესთა ბალანსის დაცვას მოითხოვს ერთის მხრივ მოსამართლეთა წინაშე სამართლიანობის შესანარჩუნებლად და მეორეს მხრივ საზოგადოების ინტერესების დასაცავად. სამართლიანია თუკი ვადების შეზღუდვა იარსებებს

მსუბუქ გადაცდომებთან მიმართებაში, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დროის ფაქტორი მოსამართლისა და მონმემის მიერ დეტალების გახსენებაზე, მტკიცებულებების შენახვაზე და ა.შ. უარყოფითად მოქმედებს. საქართველოში მოსამართლეები ასევე დაცული არიან ისეთი სამართალწარმოებისაგან, რომელიც მოიცავს ხანდაზმულ ბრალდებებს სადაც მტკიცების მაღალი ტვირთია საჭირო. აქედან გამომდინარე სასურველია, თუკი ვადა ასეთი ხანმოკლე არ იქნება, ანდა ძალიან ხანგრძლივი ვადა იქნება კორუფციის, არასწორი მორალური საქციელის, ან უპატიისობის გამო.

#### • სანქციების მოხსნა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა მოსამართლისათვის დისციპლინური სანქციის მოხსნას მოითხოვს იმ შემთხვევაში, თუკი მოსამართლეს დისციპლინური გადაცდომა განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში არ ჩაუდენია: შენიშვნა 6 თვის განმავლობაში, საყვედური 9 თვის განმავლობაში და მკაცრი საყვედური 1 წლის განმავლობაში. ეს დებულებები ართულებს დისციპლინურ სისტემაში პრობლემური მოსამართლეების იდენტიფიცირებას და მათ მიმართ ეფექტური ზომების გამოყენებას. ჩვეულებრივ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება გამოუსწორებელი გადაცდომის ჩადენის, ან პრობლემათა ერთობლიობის საფუძველზე ხდება. მოსამართლის მიერ ჩადენილი რამოდენიმე დანაშაული ერთდროულად იშვიათად ამოტივტივდება და ხშირად ადამიანებიც საჩივრით დროულად არ მიმართავენ შესაბამის ორგანოს. კალიფორნიაში მოსამართლეების თანამდებობიდან გათავისუფლება უმეტესწილად მაშინ ხდება, როდესაც სხვა გზა არ არსებობს, ვინაიდან მოსამართლეს უკვე ჰქონდა დაკისრებული სხვა უფრო მსუბუქი სანქციები. მაგრამ იშვიათია, როცა უნინ ჩადენილი გადაცდომის შემთხვევები მომდევნო საქმეები თვეების, ანდა თუნდაც წლის განმავლობაში გამოვლინდება. ჩვენი წესები საშუალებას იძლევა უნინ გამოყენებული დისციპლინური ზომა მომდევნო საქმეებზეც გავრცელდეს. სანქციის მოხსნის მოთხოვნა შეიძლება გამოყენებული იქნას იმ მოსამართლეების შესანარჩუნებლად რომლებიც უნდა გაეთავისუფლებინათ თანამდებობიდან, ანდა თანამდებობაზე მათი ყოფნის გასახანგრძლივებლად. ამ თვალსაზრისით სანქციის მოხსნის მოთხოვნები არ ემთხვევა საზოგადოების დაცვის ინტერესს და შეიძლება ხელი შეუშალოს დისციპლინური სისტემის ეფექტურობასა და ეფექტიანობას, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუკი მოსამართლე უვადოდაა არჩეული და მისი საქმიანობის პერიოდული შეფასება არ ხორციელდება.

### **ჩვენების იძულებით ჩამორთმევის უფლებამოსილება**

როგორც ჩანს შეუძლებელია მოწმისაგან იძულებით ჩვენების მიღება სასამართლო მოსმენის, ან მოკვლევის პროცესში. ამის გამოსწორება შესაძლებელია დისციპლინური კომიტეტისათვის სასამართლოში გამოძახების უწყისის, ან მსგავსი მექანიზმის უფლებამოსილების მინიჭებით. არსებული მდგომარეობა ასუსტებს დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას, ვინაიდან მას არ შეუძლია უზრუნველყოს რომ მოთხოვოს მოწმეს ჩვენების მიცემა.

#### **• ანონიმური საჩივრები**

საჭიროა განიხილოთ ანონიმური საჩივრების აკრძალვის საკითხი, ვინაიდან მაგალითად კალიფორნიის კომისიამ ზოგიერთი უკიდურესად სერიოზული საქმე სწორედ ანონიმური საჩივრების მეშვეობით მიიღო. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ვალდებული არ იქნება ყველა ანონიმურ საქმეზე დაიწყოს სამართალწარმოება, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს დისკრეცია დაიწყოს სამართალწარმოება იმ საქმეებზე რომელთაც საჭიროდ ჩათვლის. ამგვარად იუსტიციის უმაღლესი საბჭო შეძლებს ანონიმური საჩივრის გზით მიღებულ სახელს ინფორმაციის გამოყენებას სერიოზული დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში.

#### **• ტრეინინგი ეთიკის საკითხებზე და რჩევები მოსამართლეებისათვის**

დისციპლინური კომიტეტის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევების გახშირების და გასაჯაროების პარალელურად მოსამართლეებს სურვილი უჩნდებათ გაიღრმავონ სამოსამართლო ეთიკის საკითხების ცოდნა. მაგრამ თუ ეს ინფორმაცია მათთვის ხელმისაწვდომი არ არის, მაშინ მოსამართლეები დისციპლინურ სისტემას არბიტრალურად და უსამართლოდ აღიქვამენ. მარტივად რომ ვთქვათ, უსამართლობაა მოსამართლეებისაგან მათალი ეთიკის სტანდარტების მოთხოვნა თუკი მათ არ მივანვდით შესაბამის ინფორმაციას ეთიკის სტანდარტებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

ნელს საქართველოში მნიშვნელოვანი ძალისხმევები განხორციელდა რათა მოქმედ მოსამართლეებს საშუალება ჰქონოდათ დასწრებოდნენ ტრეინინგებს ეთიკის საკითხებზე. 2 დღიანი ტრეინინგი რამოდენიმე ადგილზე უკვე ჩატარდა და მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ეს მეტად მნიშვნელოვანი წამოწყებაა და ვიმედოვნებთ, რომ მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს ეთიკური ქცევის მაღალი სტანდარტების დამკვიდრებას ქვეყანაში.



# გადატვირთული სამართალწარმოება და სასამართლოში საქმეთა განაწილება

*უილიამ ჰაგენლოპი*

*დრეზდენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს თავმჯდომარე*

ალბათ, არ არსებობს რომელიმე სხვა თემა, რომელიც მეტად ანუხებდეთ მოსამართლეებს მთელ მსოფლიოში: თითქმის ყველა მოსამართლე თანხმდება, რომ საქმეთა განაწილების პრინციპი უსამართლოა. ეს ერთგვარად უნივერსალური საკითხია, რომელიც სხვადასხვა ერს აკავშირებს ერთმანეთთან.

ნამდვილად არ მინდა, მწუხრის სიმღერით წარვსდგე თქვენს წინაშე. უბრალოდ, მინდა შევეცადო, მორიდებულად მივუდგე ამ მეტად ემოციურ საკითხს.

აღნიშნული დისკუსია განაპირობა სამმა ფაქტორმა:

1. რამდენი მოსამართლე სჭირდება სასამართლო სისტემას, იმისათვის, რომ არ იყოს გადატვირთული?
2. როგორა უნდა განაწილდეს საქმეები ცალკეულ სასამართლოებზე, რათა თავიდან იქნას აცილებული სასამართლოთა გადატვირთულობა?
3. როგორ ხდება ცალკეული სასამართლოების ფარგლებში საქმეთა განაწილება მოსამართლეებზე? როგორ უზრუნველვყოთ მოსამართლეთა თანაბარი დატვირთვა?

გთხოვთ, ნუ ელით ჩემგან უნივერსალურ რეცეპტს და ამომწურავ პასუხს ყველა ამ დასმულ კითხვაზე. სასამართლო საქმეთა განაწილებისას, ისევე როგორც ზოგადად დედამიწაზე, არ არსებობს საყოველთაო სამართლიანობა.

პირველი პრობლემა ობიექტურობაზე მსჯელობისას არის მოსამართლის სამუშაო სტილი: მოსამართლეს გარკვეულ ფარგლებში გააჩნია მექანიზმები, რათა რეაგირება მოახდინოს სასამართლოს გადატვირთულობაზე. როგორც სჩანს, არსებობს მოსამართლის გენი. თუ იზრდება სასამართლოთა გადატვირთულობის მაჩვენებლები, მატულობს დასრულებული სამართალწარმოებების რაოდენობაც. და პირიქით, სასამართლოში შემავალ საქმეთა

რაოდენობის კლება განაპირობებს დასრულებული სამართალწარმოებების შემცირებას. გერმანიაში ეს მაჩვენებლები მერყეობს 10-დან 20%-მდე, ცალკეულ შემთხვევებში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მატულობს.

აღნიშნულ ფარგლებში შეუძლებელია იმის ზუსტად დადგენა, თუ რამდენ საქმეს უნდა ასრულებდეს კონკრეტული მოსამართლე. აუცილებელია ამ მექანიზმების სწორად გააზრება. თუმცა, ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩემი აზრით, სასამართლო სისტემას ესაჭიროება გაანგარიშების ახალი მეთოდი:

1. თუნდაც გაანგარიშების ხარვეზებიანი მოდელის არსებობა ბევრად უმჯობესია, ვიდრე არანაირი მოდელი ან მეთოდი და „ინსტიტუტი“ გადანყვეტილების მიღება;
2. ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია (ყოველ შემთხვევაში, გერმანიაში), სამხარეო ფინანსთა სამინისტროებმა და პარლამენტებმა კარგად გააცნობიერონ, რომ მოსამართლის დატვირთვის გაანგარიშების მოდელი იქმნება მხოლოდ ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. არ მსურს იმის თქმა, რომ გერმანიაში გაანგარიშების სწორი მოდელით მიღებადია განაწილების ზუსტი სქემა. უბრალოდ: მსგავსი მოდელის არარასებობის შემთხვევაში სიტუაცია კიდევ უფრო გართულდებოდა.
3. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია შიდა სამართლიანობა: ყველაზე საუკეთესო მოდელსაც კი ვერ ხელენიფება ყველა მოსამართლის თანაბრად დატვირთვა. როგორ მივალნიოთ სამართლიანობას – თავად ეს მოსაზრებაა ძალიან ფასეული და ერთგვარად ამცირებს შურის აღმძვრელ დისკუსიას მოსამართლეთა შორის. შესაძლებელია თუ არა, უწინარეს ყოვლისა, საქმეთა განაწილების გამჭვირვალე შიდა მოდელის შექმნა? ეს არის ნდობისა და ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების წინაპირობა.

რამდენად ობიექტურად გამოიძიებადია მოსამართლის დატვირთვა? სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი მზა რეცეპტი. არსებობს ორი სრულიად განსხვავებული მიდგომა:

პირველი ეფუძნება მოსამართლის გამოცდილებით შექმნილ ფასეულობებს. ეს გზა გერმანიაში განვლო 2004 წლამდე. სასამართლო სისტემის წარმომადგენლები, რომლებიც დაკომლექტებულნი იყვნენ ძალიან რთული პროცედურების წყალობით სპეციალურ კომისიებში, შეეცადნენ, დაედგინათ სამართალწარმოების დასრულებისათვის აუცილებელი საშუალო ვადები გამოცდილებისა და ცალკეული მოსაზრებების საფუძველზე. თუმცა, ამ მიდ-

გომამ მხოლოდ უხეში კრიტერიუმების ჩამოყალიბება განაპირობა. ასევე ძალიან არასახარბიელო იყო, რომ საბოლოოდ თავად სასამართლოებმა განსაზღვრეს ცალკეული კრიტერიუმები.

2005 წლიდან საკადრო მოთხოვნილებების გაანგარიშება დაეფუძნა სამუშაო-ანალიტიკური მეთოდის საფუძველზე შექმნილ მოდელს. ე.წ. „რეფა“-მეთოდი ძალიან გავრცელებულია გერმანიის საწარმოებში სამუშაო პროცესის გასაუმჯობესებლად და ცალკეული ნაბიჯებზე დროის ფაქტორის დასადგენად. კონცეფციის ძირითადი დებულებები შეესაბამება სამრეწველო ინჟინერიის პრინციპებს, რაზეც ინფორმაცია მოპოვებადია ვიკიპედიაზე ([http://en.wikipedia.org/wiki/Industrial\\_Engineering](http://en.wikipedia.org/wiki/Industrial_Engineering)).

მონაცემთა შეგროვება ხდებოდა – მარტივად რომ ვთქვათ – შემდეგი მეთოდით:

უნინარეს ყოვლისა, თავად სასამართლო სისტემამ და საწარმოთა საკონსულტაციო ცენტრმა შეარჩიეს ე. წ. სხვადასხვა რეგიონის, ინსტანციისა და მასშტაბის სამოდელი სასამართლოები. მიზანი მდგომარეობდა სამოსამართლო ფუნქციების საშუალო სტატისტიკური პარამეტრების გამოყვანაში. ამასთან, შემუშავდა სპეციალური ფორმები, რომლებიც უნდა შეევსოთ მოსამართლეებსა და სასამართლოს სხვა თანამშრომლებს, თუ კონკრეტულად რას ასრულებდნენ ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.

გამიჯვნა ხდებოდა არა მხოლოდ პირველ, მეორე და მესამე სასამართლო ინსტანციებს შორის, არამედ კატეგორიებს – სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სხვა საქმეებს შორის, ხოლო მეორე და მესამე ინსტანციების სასამართლოებში კი განსხვავება კეთდებოდა ასევე ცალკეულ სფეროებს შორის – სამშენებლო სამართალი, ავტოსაგზაო შემთხვევები, ექიმთა პასუხისმგებლობისა თუ საკორპორაციო სამართალი. ამავე მეთოდით ხდებოდა სასამართლოს სხვა ფუნქციების ანალიზიც.

სწორედ ასე იქნა გაანალიზებული, თუ რა დრო სჭირდება მოსამართლეს საშუალოდ სამართალწარმოების ცალკეული კატეგორიის დასასრულებლად (მაგალითად, ექიმის პასუხისმგებლობის საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოში). ეს საშუალო მაჩვენებლები შეედარა მოსამართლის წლიურ დატვირთვას. ამასვე დაემატა დრო გადამზადების, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულების, დეკრეტული შვებულებისა და ავადმყოფობის გამო გამოყენებული „ბიულეტენებისთვის“.

ამ მოდელში არის 4 ძირითადი პრობლემა:

1. არსებობდნენ მოსამართლეები და სასამართლოს სხვა თანამშრომლები, რომლებიც მაინცდამაინც გულახდილნი არ იყვნენ დროის მითითების თვალსაზრისით. ზოგიერთი მათგანი ცდილობდა საკუთარი შრომისუნარიანობის დამტკიცებას ნაკლები დროის მითითებით, ვიდრე სინამდვილეში ესაჭიროებოდათ;
2. უნინარეს ყოვლისა, თავად სისტემაა პრობლემური, ვიდრე ის ადგენს დროის ფაქტობრივ დანახარჯს. ეს ზიანის მომტანი არ არის მანამ, სანამ მეტისმეტად გადატვირთული მოსამართლე ზეგანაკვეთურად მუშაობს. თუმცა სიტუაცია რთულდება მაშინ, როდესაც მოსამართლე დამატებით თავს სულაც არ იწუხებს იმასთან შედარებით, რა მოლოდინიც არსებობს მის მიმართ. ამ შემთხვევაში სტატისტიკურად აისახება ფაქტობრივი მდგომარეობა.
3. სისტემა უფრო მეტად გამოსადეგია პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებისათვის, ვიდრე განსაკუთრებულად კომპლექსურ საქმეებზე, როგორებიცაა, ეკონომიკური სისხლის სამართლის საქმეები მეორე ინსტანციის სასამართლოში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ გაანგარიშების მოდელი ეფუძნება ტიპიურ მონაცემებს, რომლებსაც მივყავართ ზოგადი სტატისტიკური პრინციპებით სწორ შედეგებამდე ანალოგიური კატეგორიის საქმეებზე.
4. სისტემა ნაკლებად დინამიური და ძალზედ ხარჯიანია. შეფასების მონაცემების დადგენა ხდება წარსულიდან, ხოლო ცვლილებების შემთხვევაში კი, როგორც საპროცესო-სამართლებრივი ახლებურად მოწესრიგების შედეგი, სახეზეა არააქტუალური სურათი. ეს კი ითხოვს დროის ფაქტობრივი დანახარჯის ახლებურად გაანგარიშებამდე არსებული კრიტერიუმებით ხელმძღვანელობას. იმავდროულად, იმდენად მაღალია სისტემის ხარჯები, რომ საჭირო დროის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ 10 წლის შემდეგ.

რა თქმა უნდა, ეს სისტემა განსჯის საგანია გერმანელ მოსამართლეთა შორის. კრიტიკის საგანია, უნინარეს ყოვლისა, გაანგარიშების მოდელი, რომელიც, მოსამართლეთა აზრით, წარმოადგენს საფრთხეს, წესად აქციონ გადატვირთულობა. ასევე ეჭვქვეშ დგება ცალკეული შედეგები, რომლებიც, როგორც წესი, მნიშვნელოვანია ცალკეული მოსამართლეებისათვის. მთლიანობაში კი გაანგარიშების მოდელი მაინც მისაღებია დაინტერესებული წრეებისათვის.

ჩემი პირადი დასკვნაა: სისტემას აქვს სუსტი მხარეები და აქვს საანგარიშო სიზუსტის პრეტენზია. ამისდა მიუხედავად, არ არსებობს უკეთესი კონცეფცია. ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ არ არსებობს მზა რეცეპტი.

### **შესაძლებელია თუ არა მსგავსი მოდელის საქართველოში დანერგვა?**

ჩემი აზრით, კი: თუმცა გერმანული მოდელის ერთგვარად გადაჭარბებული სრულყოფილება აზრსა მოკლებულია. ერთის მხრივ, საქართველოში ბევრად ნაკლები მოქმედი მოსამართლეა, რაც არ ქმნის დიდი დანახარჯების გაღების აუცილებლობას. ხოლო, მეორეს მხრივ, თქვენთან სრულიად სხვა დინამიური განვითარება მიმდინარეობს და ზედმეტია წარსულიდან რაიმე ციფრების მოშველიება.

თუმცა, ჩემი აზრით, შეგიძლიათ გამოიყენოთ ამ კონცეფციის ძირითადი მოსაზრებები ძალიან გამარტივებული სახით, როგორც გარდამავალი დეზულება. ეს დანამდვილებით გამოგადგებათ კონცეფციის საფუძვლად, თუ ცალკეული მოსამართლეები სპეციალური ფორმის მეშვეობით განერენ, რომელ დღეს კონკრეტულად რა მოვალეობები შეასრულეს. ბუნებრივია, უნდა იქნას უზრუნველყოფილი ასეთი გამოკითხვის ანონიმურობა.

როგორც უკვე აღვნიშნე, მოქმედებს ერთი ძირითადი პრინციპი: უმჯობესია თუნდაც მოუქნელი ვიდრე არანაირი სისტემა.

### **როგორია მიდგომა შედეგებისადმი?**

უშუალო მიზანი ამ მოდელისა მდგომარეობს იმაში, დავადგინოთ მოსამართლეთა და სასამართლო სისტემის სხვა თანამშრომელთა მოთხოვნილებები და წარვუდგინოთ ეს შედეგები ფინანსურ განყოფილებასა და ბიუჯეტზე უფლებამოსილ კანონმდებელს. მსგავსი მეთოდის გამოყენებით მოპოვებული მონაცემები აუცილებელია საკადრო გადანყვეტილებების მისაღებად, კერძოდ, რამდენი მოსამართლე ან იუსტიციის მუშაკი ესაჭიროება კონკრეტულ სასამართლოს, ანუ როგორია საკადრო განაწილება.

ამ ფუნქციის დანიშნულება პრაქტიკაში ძალიან დიდია და სწორედ ამ თვალსაზრისით აქვს სისტემას განსაკუთრებული ძლიერი მხარეები. შესაძლოა, ცალკეული კრიტერიუმების საანგარიშო სიზუსტე ნაწილობრივ სადავოა, მაგრამ კრიტერიუმები თანაბრად გამოიყენება ყველა სასამართლო და პროკურატურის ორგანოებისათვის, რაც უზრუნველყოფს სისტემის

საკმაოდ მაღალ შიდა სამართლიანობას. სხვა სიტყვებით: სისტემა ვერ აგვარიდებს თავიდან სასამართლო სისტემის გადატვირთულობას, თუმცა, მას ხელეწიფება (მეტ-ნაკლებად) სამართლიანი განაწილება, რითაც მინიმუმამდეა დაყვანილი ცალკეული სასამართლოების როგორც პრივილეგირება, ისე არათანაბარი მოპყრობა (ანუ „დაჩაგვრა“). შესაბამისი მონაცემები ხელმისაწვდომია ყველა მოსამართლისა თუ იუსტიციის სხვა მუშაკისათვის, რათა უზრუნველყოფილი იქნას სრული გამჭვირვალობა.

ეს ხდება შემდეგნაირად:

პირველ რიგში, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოთხოვნა არსებობს მოსამართლეებზე ამ მოდელის შესაბამისად. დრეზდენის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში სავალდებულო მაჩვენებელი შეადგენს 710 სამოსამართლო საშუალო განაკვეთს. ფაქტობრივი მაჩვენებლებით კი, დღესდღეობით ჩვენს სასამართლოში დაკავებულია 696 ადგილი, ანუ დაახლოებით 98%. იმავდროულად, მსურს აღვნიშნო, რომ აქ საუბარია არა მოსამართლეთა აბსოლუტურ რაოდენობაზე, არამედ ფაქტობრივად არსებულ სამუშაო პოტენციალზე, რაშიც არ მოიაზრება გრძელვადიან ბიულეტენზე მყოფი მოსამართლეები და შეზღუდული ვადით (საგამოცდო ვადით – 3 წელი) დასაქმებული მოსამართლეები.

შემდეგი ნაბიჯია ცალკეული სასამართლოს საანგარიშო დაკომპლექტების გამოთვლა: ლაიფციგის მეორე ინსტანციის სასამართლოში დაახლოებით 61,7 მოსამართლეა. დაკომპლექტების საშუალო მაჩვენებლების საფუძველზე (98%), ლაიფციგის მეორე ინსტანციის სასამართლომ უნდა მიიღოს 61 სამოსამართლო სამუშაო ადგილი, რათა არც ნაკლებად და არც მეტად არ დაკომპლექტდეს, ვიდრე დაკომპლექტებულნი არიან სხვა სასამართლოები. დღესდღეობით ამ სასამართლოს განკარგულებაშია 60,5 ადგილი, ანუ იდეალურამდე მას მხოლოდ 0,5 ვაკანსიაა აშორებს.

ცხადია, ყოველთვის როდია შესაძლებელი ყველა სასამართლოს ერთ საანგარიშო მოდელზე მორგება. ძირითადად, ცდომილებები ძალიან მცირეა და მხოლოდ თავად დრეზდენის მესამე ინსტანციის სასამართლო კალკულაციურად არასაკმარისად დასაქმებული 90%-ზე ნაკლები მაჩვენებლით.

და ბოლოს იბადება კითხვა: შესაძლებელია ამ მოდელის გამოყენება საქმეთა განაწილებისას, შიდა სასამართლო დონეზეც? უნინარეს ყოვლისა, მსურს აღვნიშნო, რომ გერმანიაში მოსამართლეები თავად წყვეტენ მათ მიერვე არჩეული ორგანოს, პრეზიდიუმის მეშვეობით, თუ როგორ უნდა გა-

დანაწილდეს ფუნქციები მოსამართლეთა შორის. პრეზიდიუმი ხელმძღვანელობს მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპით და აბსოლუტურად ავტონომიურია გადაწყვეტილების მიღებისას. მართალია, სასამართლოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობს პრეზიდიუმსაც და ამზადებს მის სხდომებს, თუმცა არ სარგებლობს ხმის განსაკუთრებული უფლებით.

როგორც წესი, თითქმის ყველა პრეზიდიუმი ორიენტირებულია გადაწყვეტილების მიღებისას ამ მოდელზე. იგივე ეხება მოსამართლისათვის ცალკეული კატეგორიის საქმეების მიწერას – სამოქალაქო, საოჯახო თუ სისხლის სამართლის საქმეები, ასევე ცალკეული საქმეების გადანაწილებას მოსამართლეებზე. გერმანიაში მაღალი ინსტანციის სასამართლოებში მიღებულია ვინრო სპეციალიზაცია. გასათვალისწინებელია დროის ფაქტორი, რომელიც სჭირდება ცალკეულ მოსამართლეს საქმის დასასრულებლად. სამშენებლო პროცესები უფრო შრომატევადია, ვიდრე საგზაო შემთხვევებთან დაკავშირებული სამოქალაქო დავები.

თუმცა, არც თუ იშვიათია გარკვეული გადაცდომები და განსაკუთრებული, სპეციფიკური გარემოებები, რომელთა გათვალისწინებაც არც ისე ადვილია ზოგადი მოდელის ფარგლებში. შესაძლოა, ეს იყოს ცალკეული მოსამართლის შრომისუნარიანობის შეზღუდვა ან კიდევ განსაკუთრებულად შრომატევადი სამართალწარმოებების არატიპიური მომრავლება; შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს რაციონალიზაციის ეფექტს პარალელურად მიმდინარე სამართლებრივ დავებში შინაარსობრივი თანხვედრით; თუმცა, ხანდახან პრეზიდიუმმა შეიძლება არასაკმარისად მიიჩნიოს აღნიშნული მოდელები და გამოიყენოს სრულიად განსხვავებული მიდგომები.

მხოლოდ პრეზიდიუმია უფლებამოსილი, დაადგინოს ხარვეზები მოსამართლის საქმიანობაში და მოახდინოს მათზე რეაგირება. თავმჯდომარე უფლებამოსილია, მოსამართლის მიერ თანამდებობრივი უფლებამოსილებების უხეში დარღვევის შემთხვევაში განახორციელოს დისციპლინარული და სამსახურებრივი ზომები. თუმცა ეს ხდება ძალზე იშვიათად. საბოლოოდ კი მხოლოდ პრეზიდიუმია უფლებამოსილი, გადასცეს ცალკეული საქმეები სხვა მოსამართლეს ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე.

ჩემი გამოცდილებით, ამ მოდელის შეფასების კრიტერიუმების შიდა გამოყენება მისაღებია მოსამართლეთათვის, როგორც შესაბამისი კრიტერიუმი საქმეთა გასანაწილებლად.

**რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს გერმანული გამოცდილების საფუძველზე საქართველოში?**

ვფიქრობ, საქართველოშიც შესაძლებელია ამ მოდელის დანერგვა სასამართლოში, როგორც უნივერსალური გაგებით, ისე შიდასასამართლო განაწილების დონეზეც. როგორც დასაწყისშივე აღვნიშნე, მსგავსი მოდელი ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და თავიდან აგვარიდებს უნდობლობას.

**ულრიხ ჰაგენლოხი – დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე  
გამარტივებული ამონაწერი „Pebbly“-დან**

**სამხარეო სასამართლოების მოსამართლეები**

| <b>საქმის დასახელება</b>  | <b>საბაზისო რაოდენობა<br/>(სამართალწარმოებისას<br/>საქმის საშუალო დამუშავების<br/>ხანგრძლივობა წუთებში)</b> |
|---|---|
| ექიმის პასუხისმგებლობის საქმეები, სამშენებლო-არქიტექტურული საქმეები, პირების პასუხისმგებლობის და ჰონორარის მოთხოვნები, სამენარმეო დავები, კარტელის საქმეები | 800   |
| ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საქმეები   | 430   |
| მომიჯნავე უფლებები (მაგ. პატენტი)   | 1.500   |
| ქირავნობის, კრედიტის და ლიზინგის საქმეები   | 360   |
| საგზაო შემთხვევების, დაზღვევის ხელშეკრულებების და კაპიტალდაბანდების საქმეები  | 640   |
| I ინსტანციის სხვა სამოქალაქო საქმეები   | 480   |
| <b>უმაღლესი სამხარეო სასამართლო პერსონალი (სპეციალისტები) საქმის დასახელება</b>   | <b>საბაზისო რაოდენობა</b>   |
| სამოქალაქო საქმეების აპელაცია   | 660   |
| საოჯახო სამართლებრივი საჩივრები   | 200   |
| სხვა სამოქალაქო საჩივრები და შუამდგომლობები   | 230   |



თამა

## „მოსამართლეთა დატვირთვა და საქმეთა განაწილება“

*დავით ლიბრაძე*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ასოციაცია „საქართველოს მოსამართლეთა ერთობის“ წევრი*

27 სექტემბერი, 16:50 – 18:00

### **მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო!**

უპირველესად, მადლობას მოვახსენებ კონფერენციის ორგანიზატორებს, რომელთა უშუალო მხარდაჭერით და ძალისხმევით იმართება დღევანდელი ესოდენ შინაარსიანი და საინტერესო შეხვედრა. მე ვარ დავით ლიბრაძე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე, ამავდროულად, საქართველოს მოსამართლეთა ახლადშექმნილი ალტერნატიული ასოციაცია „ერთობას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და წევრი. ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, მოგმართოთ თქვენ – კონფერენციის მონაწილეებს, ჩემს ქართველ და უცხოელ კოლეგა მოსამართლეებს, სტუმრებს და გაგიზიაროთ ჩემი ხედვა და მოსაზრება ჩვენი სამუშაო ჯგუფის განსახილველ საკითხთან მიმართებაში – „მოსამართლის დატვირთვა და საქმეთა განაწილება“.

დღეს 27 სექტემბერია – საქართველოს უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღი – სოხუმის დაცემის დღე, საიდანაც 20 წელი გავიდა. ამიტომ მინდა გულისტკივილით მოვიხსენიო საქართველოს ისტორიის მანძილზე მისი ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული გმირები, მშვიდობიანი მოსახლეობა და გამძლეობა, დიდხანს სიცოცხლე და თავიანთ ფუძეზე დაბრუნება ვუსურვო ასიათასობით დევნილს – იძულებით გადაადგილებულ პირს.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ დღევანდელი კონფერენცია და მსგავსი ფორუმები ძალზედ მნიშვნელოვანი და სასიცოცხლოდ აუცილებელია დემოკრატიული განვითარების გზაზე შემდგარი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. არავისთვის უცხო არ არის და დავას არ იწვევს, რომ სასამართლო ხელისუფლება უზრუნველყოფს ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის დაცვას. დამოუკიდებელი და მიუკეროებელი მართლმსაჯულება ნებისმიერი ქვეყნის განვითარების, წინსვლის და სტაბილურობის უმთავრესი და უპირველესი წინაპირობაა, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი მართლმსაჯულება, ანუ მართლად განსჯა, სამართლის აღსრულება ვინმეზე, თუ რაიმეზეა დამოკიდებული, ან/და ვინმეს, თუ რისამე კერძო ინტერესს ემსახურება, მაშინ იგი მართლმსაჯულება აღარ არის.

სასამართლო რეფორმა 1997 წელს დაიწყო. რეფორმის შემდგომი ეტაპი იყო – 2005 წელს, ხოლო ამჟამად კი მიმდინარეობს რეფორმის მორიგი ეტაპი. რეფორმის ყველა ეტაპის საბოლოო მიზანი და დანიშნულება იყო და არის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება, რაც გადის ამ სისტემის უმთავრესი მოქმედი პირის – ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობაზე.

რეფორმების შედეგად არაერთი კარგი და სასიკეთო საქმე გაკეთდა სასამართლო სისტემისათვის, როგორიცაა კორუფციის აღმოფხვრა, სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა, სასამართლო სისტემის კომპიუტერული ქსელის შექმნა, სასამართლოს შენობებში წესრიგის დაცვის მიზნით მანდატურის სამსახურის შემოღება და სხვა, მაგრამ, თუკი სასამართლო ხელისუფლების, ამ სისტემის სათვეში მყოფი მთავარი პერსონის – მოსამართლის დამოუკიდებლობა არ იქნება უზრუნველყოფილი, რეფორმის წარმატებულობაზე არ შეიძლება ვისაუბროთ.

„მოსამართლის დატვირთვა და საქმეთა განაწილების პრინციპი“, რაც ჩვენი სამუშაო ჯგუფის სადისკუსიო თემაა, მოსამართლის ეფექტური და ნაყოფიერი მუშაობის წინაპირობაა. თემის განხილვის მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია შევჩერდე, ჩემი აზრით, ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა – სასამართლოებში საჭირო ადამინური რესურსის (მოსამართლე – არამოსამართლე) დაანგარიშება; მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესი და ამ წესის დაუცველობის შესაძლებლობა და სასამართლოს თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როლი საქმეთა გაჭიანურებისა და განსახილველ საქმეთა დაგროვების თავიდან ასაცილებლად.

## **სასამართლოში საჭირო ადამიანური რესურსის (მოსამართლე – არამოსამართლე) დაანგარიშება**

ამჟამად მოქმედი საერთო სასამართლოების შესახებ „საქართველოს ორგანული კანონის“ მიხედვით, რაიონული, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოები და მათი სამოქმედო ტერიტორია, ასევე, ამ სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობა, აპარატის სტრუქტურა და სამტაქტო ნუსხა განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობას განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პლენუმი.

მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რასაც სხვადასხვა კატეგორიის სამართალწარმოების, ანუ საქმეთა განხილვის მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. ბუნებრივია, მოსამართლეთა და სასამართლოს არამოსამართლე მოხელეთა რაოდენობა უნდა განისაზღვროს სასამართლოში არსებულ საქმეთა რაოდენობით, ანუ დატვირთულობით. რაც მეტი ადამიანი მომართავს სასამართლოს, მით უფრო იმატებს განსახლველ საქმეთა რაოდენობა. ქვეყნის, მისი ეკონომიკის, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების კვალობაზე იზრდება სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობა, რაც სავსებით ლოგიკური და ბუნებრივი მოვლენაა. ამასთან, სასამართლო ხელისუფლების მესვეურები არაერთხელ განმარტავენ, რომ სასამართლოებში საქმეთა რაოდენობის ზრდა სასამართლოსადმი მოსახლეობის ნდობის ამალღებაზე მეტყველებს.

უდავოა, რომ ამა თუ იმ საკითხის, თუ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით ჯერ უნდა დადგინდეს ამ პრობლემის წარმოშობის მიზეზი, ხოლო შემდეგ განისაზღვროს მისი აღმოფხვრის მეთოდი.

2005 წლის მდგომარეობით საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში 300-მდე მოსამართლე იყო; ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან გამოთხოვილი ინფორმაციის მიხედვით, 2007 წლის ივნისში მოსამართლეთა რაოდენობა 264-ს შეადგენდა, ამჟამად კი მოსამართლეთა რაოდენობა 241-ია, რომელთა უმრავლესობა სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის საქალაქო და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში. მოსამართლეთა რაოდენობის ცვალებადობის ანალიზის მიხედვით, სასამარ-

თლო რეფორმის მეორე ეტაპის შემდგომ მოსამართლეთა რაოდენობა მოკლებულია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი სასამართლოში განსახილველ საქმეთა რაოდენობა მატულობს. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლოზე მოდის მთლიანად საქართველოს სასამართლო სისტემაში განსახილველ საქმეთა უმრავლესობა – დაახლოებით 41%. მაგალითისათვის შემიძლია მოგახსენოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის იანვარ-აგვისტოს თვეების სტატისტიკური მონაცემები შემოსული, განხილული და განსახილველ საქმეთა მაჩვენებლების შესახებ. კერძოდ, საქმეთა რაოდენობის დინამიკა არის ზრდადი, ყოველთვიურად იმატებს შემოსულ საქმეთა რაოდენობა, ამავდროულად იმატებს განხილულ საქმეთა რაოდენობა, თუმცა იმატებს განსახილველ საქმეთა რაოდენობაც. თუკი იანვრის თვეში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში შემოსულ საქმეთა რაოდენობა იყო – 1150, თვეში განხილულ საქმეთა რაოდენობა – 1154, განსახილველ საქმეთა რაოდენობა – 3017, აგვისტოს თვეში შემოსულია – 1469, ხოლო განსახილველია – 4328 სამოქალაქო საქმე. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, შემოსულ საქმეთა რაოდენობა ყოველთვიურად იმატებს მათი რაოდენობა აღემატება განხილულ საქმეთა რაოდენობას, რის შესაბამისადაც იმატებს განსახილველ საქმეთა რაოდენობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსახილველ საქმეთა რაოდენობის მატება არ არის მოსამართლეთა არასათანადო, თუ არანაყოფიერი მუშაობის შედეგი. ფაქტი ერთია, საქმეთა მატების კვალობაზე მატულობს მოსამართლეთა დატვირთულობა, მოსამართლეთა რაოდენობა კი არ იზრდება.

საქმეთა განხილვის და მოსამართლეთა დატვირთულობის სტატისტიკას აწარმოებს და მის ანალიზს აკეთებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ე. წ. „საქმეთა წონების პრინციპის მიხედვით“.

მინდა ყურადღება მივაქციო შემდეგ გარემოებას: დღეს მოქმედი „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განსაზღვრულია 70 მოსამართლით, მათ შორის, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია – 25 მოსამართლით, სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია – 27-ით, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია – 18-ით. ფაქტობრივი მდგომარეობით კი, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში არის სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს 31 მოსამართლე, ანუ კანონით განსაზღვრულზე 6-ით მეტი, ამას თუ დავუმატებთ 5 მაგისტრს, რომლებიც უდავო წარმოების გარკვეულ საქმეებს

იხილავენ, ჯამში გამოდის 46. სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში არის 29 მოსამართლე, ანუ კანონით განსაზღვრულზე 2-ით მეტი. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში კი – 14, ანუ კანონით განსაზღვრულზე ნაკლები. მონაცემთა ანალიზის შედეგად ჩნდება ვარაუდი, რომ არ არსებობს მწყობრი ნესი, მეთოდოლოგია, თუ პრინციპი, რომელითაც, კონკრეტულად თბილისის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში, საქმეთა რაოდენობის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს მოსამართლეთა საჭირო რაოდენობა, რათა არ დაგროვდეს განსახილველი საქმეები და, შესაბამისად, არ შეფერხდეს მართლმსაჯულების განხორციელება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ინტერნეტგვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სასამართლო რეფორმის, მათ შორის, რეფორმის განვლილი და ახალი ეტაპის შესახებ. საყურადღებოა, რომ სასამართლო რეფორმის ახალი ეტაპის ერთ-ერთ პრიორიტეტად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს დეკლარირებული აქვს მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდა არანაკლებ 400-მდე. აღნიშნულის ფონზე თქვენი ყურადღება მიინდა მივაპყრო შემდეგ ფაქტს:

ზემოთ უკვე ითქვა, რომ 2005 წლიდან დღემდე მოსამართლეთა რაოდენობა 300-დან 241-მდე შემცირდა. 2005-2007 წლების მდგომარეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადამწყვეტილებით, თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 64 მოსამართლით. მათ შორის, სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 21 მოსამართლით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – 15 მოსამართლით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 18 მოსამართლით, საგამოძიებო კოლეგიაში – 10 მოსამართლით.

ამავე პერიოდში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრებოდა 34 მოსამართლით. მათ შორის, სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 12 მოსამართლით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – 9 მოსამართლით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 9 მოსამართლით, საგამოძიებო კოლეგიაში – 4 მოსამართლით. ამასთან, გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალს: ორივე სააპელაციო სასამართლოს ყველა პალატაში მოსამართლეთა რაოდენობა 3-ის ჯერადაა, ანუ პალატის სამწევრიანი შემადგენლობები სრულად იყო დაკომპლექტებული. რაც შეეხება საგამოძიებო კოლეგიას, აქ მოსამართლე ერთპიროვნულად იხილავს საქმეს.

2012 წლის 30 ოქტომბრის და 2013 წლის 15 მარტის ცვლილებებით კი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრა 44 მოსამართლით, მათ შორის, სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 15 მოსამართლით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – 12 მოსამართლით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 11 მოსამართლით, საგამოძიებო კოლეგიაში – 6 მოსამართლით. ანუ მოსამართლეთა რაოდენობა შემცირდა 20 მოსამართლით; ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვრა 18 მოსამართლით. მათ შორის, სამოქალაქო საქმეთა პალატაში – 7 მოსამართლით, სისხლის სამართლის საქმეთა პალატაში – 7 მოსამართლით, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში – 3 მოსამართლით, საგამოძიებო კოლეგიაში – 1 მოსამართლით. ანუ მოსამართლეთა რაოდენობა შემცირდა 16 მოსამართლით. ჯამში – 36 მოსამართლით.

ზემოთ ნახსენებ ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, მაგრამ მნიშვნელოვან დეტალთან მიმართებაში მინდა გითხრათ, რომ მოსამართლეთა რაოდენობის შემცირების შედეგად თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა პალატებში მოსამართლეთა რაოდენობა გახდა კენტი, რაც ნიშნავს, რომ პალატების თითო შემადგენლობა არასრულია.

მოსამართლეთა რაოდენობის ამგვარი შემცირების მოტივაცია და დასაბუთება უცნობია, ამასთან, ამ შემცირების ხარჯზე არც სხვა სასამართლოში გაზრდილა მოსამართლეთა რაოდენობა. არადა, საქმეთა რაოდენობა, არათუ თბილისის საქალაქო, არამედ თავად თბილისის და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებშიც მომატებულია.

რაც შეეხება სასამართლოში არამოსამართლე მოხელეთა საჭირო რაოდენობის გაანგარიშებას, როგორც მოგახსენეთ სასამართლოთა აპარატების სტრუქტურას და საშტატო ნუსხას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის საბჭო. სასამართლოს აპარატის მოხელეთაგან შევჩერდები მოსამართლის თანაშემწესა და სხდომის მდივანზე, რომლებიც „საერთო სასამართლეობის შესახებ“ ორგანული კანონით და საპროცესო კოდექსებით განსაზღვრული მოხელეები არიან. კანონმდებლობით დადგენილია, რომ მოსამართლეს ჰყავს თანაშემწე, ხოლო სასამართლოში საქმეები იხილება სასამართლო სხდომის მდივნის მონაწილეობით. მოსამართლის თანაშემწე იღებს მოქალაქეებს,

მათ საჩივრებსა და განცხადებებს, ამზადებს საქმეებს სასამართლო სხდომაზე განსახილველად, მოიძიებს სათანადო სამართლებრივ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკის მასალებს, ადგენს სათანადო დოკუმენტების პროექტებს, მოსამართლის დავალებით ასრულებს საქმის განხილვასთან დაკავშირებულ სხვა მოვალეობებს. ამდენად, ნათელია, რომ მოსამართლეს თანაშემწე უნდა ჰყავდეს.

რაიონულ სასამართლოთა გაერთიანების შემდგომ რიგ რაიონულ სასამართლოში, გარდა დიდი რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა, მოსამართლის თანაშემწის შტატი აღარ არის. მაგალითად, ამბროლაურის, ახალქალაქის, ბოლნისის, ზესტაფონის, თეთრინყაროს, ოზურგეთის, სამტრედიის, საჩხერის, სენაკის, სიღნაღის, ფოთის, ცაგერის, ხაშურის სასამართლოებში და ამ სასამართლოებში არის მხოლოდ სხდომის მდივნის შტატები და სხდომის მდივნებს აქვთ დავალებული მოსამართლის თანაშემწის ფუნქციების განხორციელება, თუმცა ისინი მხოლოდ სხდომის მდივნის ანაზღაურებას იღებენ. (ზოგადად მოსამართლის თანაშემწის ანაზღაურება მეტია სხდომის მდივნის ანაზღაურებაზე. ამასთან, რეგიონებში ბევრად ნაკლები ანაზღაურება აქვთ თანაშემწეებს და სხდომის მდივნებს, ვიდრე თბილისში). გარდა ამისა, ჩამოთვლილ სასამართლოებში მოსამართლეთა რაოდენობა მეტია, ვიდრე მდივან-თანაშემწისა. ამასთან, მოსამართლის თანაშემწეთა და სხდომის მდივანთა ნაკლებობის პარალელურად ჩამოთვლილ და საერთოდ ყველა სასამართლოში გათვალისწინებულია სასამართლოს თავმჯდომარის მძღოლის შტატი.

ანალიზისათვის თქვენი ყურადღება მინდა მივაპყრო შემდეგ დეტალს:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 29 ნოემბრის გადაწყვეტილებით განისაზღვრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო და ბიუროს მოხელეთა რაოდენობა 8 შტატით: ბიუროს უფროსი 1, კონსულტანტი – 3, სპეციალისტი – 1, თავმჯდომარის თანაშემწე – 1, თავმჯდომარის პირადი მდივანი – 1, პრესმდივანი (წამყვანი სპეციალისტი) – 1. ამასთან, სხდომის მდივანი გათვალისწინებული არ არის.

2013 წლის ცვლილებებით კი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიუროს მოხელეთა რაოდენობა გაიზარდა 11-მდე, კერძოდ, კონსულტანტი ნაცვლად 3-სა, გახდა – 5, და, ასევე, დაემატა უფროსი კონსულტანტის 1 შტატი.

ეს იმ პირობებში, როდესაც ამავე პერიოდში – 2013 წელს მოსამართლეთა რაოდენობა შემცირდა, ხოლო ზოგიერთ რაიონულ სასამართლოებში მოსამართლის თანაშემწის შტატი აღარ არსებობს.

შედარებისათვის – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში თავმჯდომარის ბიუროს რგოლი არ არსებობს და, შესაბამისად, არ არის ბიუროს უფროსის შტატიც, ასევე, თავმჯდომარეს არ ჰყავს პირადი მდივანი, თუმცა გათვალისწინებულია სხდომის მდივნის შტატი.

სასამართლოს თავმჯდომარის პირადი მდივნის შტატი, გარდა თბილისის სააპელაციო სასამართლოსი, გათვალისწინებულია ზოგიერთ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში და სასამართლო კოლეგიებშიც. მაგალითად, თბილისის, ბათუმის, ქუთაისის საქალაქო სასამართლოებში. მოსამართლის უპირველესი დანიშნულება და ფუნქცია საქმეთა განხილვაა, მიუხედავად იმისა, იგი იქნება სასამართლოს, სასამართლო კოლეგიის, თუ პალატის თავმჯდომარე, თუ ე.წ. „რიგითი მოსამართლე“. ამიტომ სამოსამართლო ფუნქციების განხორციელებისათვის მოსამართლეს სხდომის მდივანი და თანაშემწე სჭირდება და არა პირადი მდივანი, ხოლო თუკი მაინცდამაინც პირადი მდივნის ყოლის საჭიროება ან სურვილი არსებობს, რატომ არ შეიძლება თავმჯდომარის სხდომის მდივანმა, თუ თანაშემწემ პირადი მდივნის ფუნქციაც შეასრულოს, ისე როგორც რიგ რაიონულ სასამართლოებში თანაშემწის ფუნქციას სხდომის მდივანი ასრულებს და, ამასთან, სხდომის მდივნის ანაზღაურებით.

აღნიშნულით იმის თქმა მსურს, რომ საჭიროა, სასამართლოში ადამიანური რესურსი გამოვიყენოთ მიზნობრივად და რაციონალურად, რაც, სასამართლოს ეფექტურად და გამართულ მუშაობას განაპირობებს და, თავის მხრივ, ფინანსური (საბიუჯეტო) რესურსის მიზნობრივ და რაციონალურ ხარჯვას გამოიწვევს.

ჩემი აზრით, სასამართლო რესურსის საჭიროების, საქმეთა ნაკადის ეფექტური მართვის და მოსამართლის დატვირთულობის შესაფასებლად აუცილებელია აშშ-ს საშტატო სასამართლოების ეროვნული ცენტრის, მართლმსაჯულების ეფექტურობის ევროპული კომისიის მიერ შემუშავებული სტანდარტების, თუ რეკომენდაციების მექანიკური გადმოღება-კოპირება, არამედ მათი იმგვარად დანერგვა, რომ იგი იყოს სანდო და დამაჯერებელი უპირველესად თავად მოსამართლისათვის.

ამასთან, აუცილებლად გასათვალისწინებელია საქმეთა განსხვავება სირთულის მიხედვით, გეოგრაფიული თავისებურება, რაც განაპირობებს



საქმეთა კატეგორიების განსხვავებულობას ქალაქისა და რეგიონის სასამართლოებში, მოსახლეობის რაოდენობა.

გარდა ამისა, მხედველობაშია მისაღები, რომ მოსამართლის სამუშაო დღის მთელი 8 საათი ობიექტურად ვერ დაეთმობა საქმისწარმოებას, ვინაიდან ამ 8 საათში უნდა გავითვალისწინოთ დრო, რასაც მოსამართლე უთმობს შემოსული კორესპონდენციის გაცნობას, სამართლებრივ კვლევას, წინასწარ გაუთვალისწინებელ გრაფიკს. საბოლოოდ საქმის წარმოებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის მოსამართლეს დარჩება 4-4,5 საათი.

ზოგიერთ სასამართლოში მოსამართლის თანაშემწის შტატის არ არსებობის და თანაშემწის ფუნქციის სხდომის მდივნისათვის დაკისრების საპირწონედ, ჩემი აზრით, ვერ გამოდგება არგუმენტი, რომ სასამართლო სხდომის მიმდინარეობა იწერება ელექტრონულად აუდიო ფორმატში და სხდომის მდივანი გამოთავისუფლდა სხდომის ოქმის ხელით წერისა, თუ კომპიუტერულად ბეჭვდისაგან. ამასთან, გაურკვეველია, რა კრიტერიუმით არ არის გათვალისწინებული მოსამართლის თანაშემწის შტატი ზესტაფონის, სამტრედიის, ფოთის თუ სხვა რაიონულ-საქალაქო სასამართლოებში, განსხვავებით ბათუმის, ქუთაისის, თუ გორის სასამართლოებისაგან.

ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა და არამოსამართლე მოხელეთა საჭირო რესურსი განისაზღვროს მათი კომბინირებული შესწავლით, არსებული და აპრობირებული გამოცდილების გაზიარებით და საქართველოს რეალობის გათვალისწინებით.

## საქმეთა განაწილება

საქმეთა განაწილების თაობაზე მოგახსენებთ, რომ რაიონულ, საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საქმეები ნაწილდება რიგითობის წესით, რასაც განსაზღვრავს კანონი „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“. რიგითობის წესი გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილებას საქმეთა შემოსვლის თანმიმდევრობის და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით. მოსამართლეთა რიგითობა კი განისაზღვრება მისი გვარის პირველი ასოს მიხედვით, რასაც ადგენს სასამართლოს თავმჯდომარე. შემოსვლის რიგით ყოველი მომდევნო საქმე გადაეცემა რიგითობით მომდევნო მოსამართლეს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქარველოს ორგანული კანონის მიხედვით, სასამართლოებში შემოსულ საქმეებს მოსამართლეებზე განსახილველად ანაწილებენ სააპელაციო და რაიონული სასამართლოების თავმჯდომარეები. ანუ, სასამართლოს კანცელარიაში მთელი დღის განმავლობაში შემოსული საქმეები საღამოთი გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს მოსამართლეთათვის განსახილველად გადასაცემად.

მიმაჩნია, რომ სასამართლოს თავმჯდომარე არ უნდა იყოს დაკავებული საქმეებზე რეზოლუციების დადებით და მათი განაწილებით. იგი უნდა გამოთავისუფლდეს როგორც ამ, ისე სხვა ზედმეტი არა თავმჯდომარის საქმიანობისაგან, ხოლო გამოთავისუფლებული დრო მოახმაროს მოსამართლისათვის უპირველეს და ესოდენ ღირსეულ საქმიანობას – საქმეთა განხილვას. საქმეები კი მოსამართლეებზე განსახილველად უნდა განაწილდეს კანცელარიაში შემოსვლისთანავე ელექტრონული პროგრამის მეშვეობით რიგითობის მიხედვით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქ. კანონის მიხედვით, განსაზღვრულია სასამართლოს თავმჯდომარეთა ფუნქციები და უფლებამოსილებები. მათ შორის, სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე თავმჯდომარეობს სასამართლოს ერთ-ერთ პალატას ან საგამოძიებო კოლეგიას; სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე მონაწილეობს საქმეთა განხილვაში და ამავდროულად თავმჯდომარეობს ერთ-ერთ პალატას ან საგამოძიებო კოლეგიას: რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე პირადად განიხილავს საქმეებს. თუკი შევადარებთ მითითებულ ნორმებს, გამოვიტანთ დასკვნას, რომ მხოლოდ რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავრე განიხილავს საქმეებს პირადად, სააპ. სასამართლოს თავრის მოადგილე მხოლოდ მონაწილეობს საქმის განხილვაში (და არა პირადად განიხილავს), ხოლო სააპ. სასა-ოს თავრე მხოლოდ თავმჯდომარეობს ერთ-ერთ პალატას, ან საგამოძიებო კოლეგიას. ანუ გამოდის, რომ სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა განხილვის ვალდებულება დამოკიდებულია სასამართლოს ინსტანციურობასა და ადმინისტრაციულ-თანამდებობრის რანგირებაზე. არადა სასამართლოს თავმჯდომარეობა არა პრივილეგია, არამედ ტვირთი და პასუხისმგებლობაა (უნდა იყოს) მოსამართლის ტვირთთან და პასუხისმგებლობასთან ერთად.

სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა უშუალოდ, პირადად განხილვა, გარდა იმისა, რომ საქმის განხილვა მოსამართლის ღვიძლი საქ-

მიანობაა, იმიტომაცაა აუცილებელი და საჭირო, რომ სასამართლოს თავმჯდომარეებმა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და, ამავდროულად, კოლეგა-მოსამართლეთა გამოცდილების გაზიარებით შეისწავლონ სასამართლოში საქმეთა დაგროვების მიზეზები და განსაზღვრონ საქმეთა ნაკადის ეფექტური მართვის ღონისძიებები. კანონმდებლობის მიხედვით ხომ თავმჯდომარეები არიან პირველი პირები საქმეთა ნაკადის მართვის პრინციპების შემუშავებაში. ამგვარად კი ისინი უფრო წარმატებულად და ნაყოფიერად უზრუნველყოფენ მოსამართლეთა დატვირთულობის, საქმეთა განაწილების და მისი ნაკადის მართვის მეთოდოლოგიის შემუშავებას.

საქმეთა რაოდენობა არ უნდა მცირდებოდეს, როგორც წინათ იყო, სალამოს 8-9-10 საათამდე სასამართლოში მოსამართლეთა ყოფნის დავალდებულებით, ხოლო აღნიშნულის გაკონტროლების მიზნით სასამართლოს შენობაში შესვლის და შენობიდან გამოსვლის დროის თითის ანაბეჭდით, თუ სპეციალური ბარათით ელექტრონულ მონყობილობაზე დაფიქსირებით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია, რომ აუცილებლობის შემთხვევაში, მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში), ასევე მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ხოლო მაგისტრატ მოსამართლეს შეიძლება დაავალოს საქმის განხილვა მისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში. ასევე, საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ კანონით განსაზღვრულია, რომ სააპელაციო და რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, თითოეულთან საქმეთა დაგროვების გამო ან სხვა მიზეზით საქმის განხილვის შეუძლებლობის შემთხვევაში მოსამართლეთა დატვირთვის გათვალისწინებით საქმეებს გადაანაწილებს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე ან სასამართლოს თავმჯდომარის დავალებით მისი მოადგილე ან/და შესაბამისი პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარე.

მიმაჩნია, რომ დასახელებული საკანონმდებლო დანაწესები იძლევიან ამ ნორმით მინიჭებული უფლებამოსილების საკუთარი შეხედულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობის საშიშროებას, რასაც არსებული გამოცდილება ადასტურებს. მაგალითისათვის შემიძლია მოგახსენოთ ისევე თბილისის საქა-

ლაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა შორის საქმეთა გადათანაბრების არაერთი შემთხვევა.

მოსამართლეთა დატვირთულობის დარეგულირების და საქმეთა ნაკადის მართვის საფუძვლით იუსტიციის უმაღლესი საბჭო აქტიურად იყენებდა „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით მინიჭებულ უფლებამოსილებას, რაც ნიშნავს მოსამართლის მივლინებას ერთი სასამართლოდან სხვა სასამართლოში. ფაქტიურად კი აღნიშნული ნორმა გამოიყენებოდა არა იმ დანიშნულებით, რასაც კანონი ამბობს, არამედ მოსამართლეთა დასჯის არაპირდაპირ მექანიზმად, როდესაც მოსამართლეს მიავლენდნენ მისი საცხოვრებელი ადგილიდან და ოჯახიდან მოშორებით არსებულ სასამართლოში და ამგვარ მოსამართლეთა რაოდენობა არა ერთი ათეულია. ანალიზისათვის შემიძლია მიგითითოთ, რომ ამგვარად მივლინებული მოსამართლეები თავიანთ სამუშაო ადგილებს დაუბრუნდნენ გასული წლის ოქტომბრის თვის შემდეგ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მიხედვით იუსტიციის უმაღლესი საბჭო განიხილავს სასამართლო სტატისტიკას ანალიზის მასალებს და, შესაბამისად, სტატისტიკის ანალიზით უნდა გამოვლინდეს სასამართლოებში საქმეთა მატების, თუ მართლმსაჯულების დროული განხორციელების შეფერხების მიზეზი, რაც შეიძლება გახდეს საფუძველი მოსამართლის სხვა სასამართლოში მივლინების, ხოლო მივლინების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება კი მოტივირებული და დასაბუთებული უნდა იყოს და არა მხოლოდ საკანონმდებლო ნორმაზე მიუთითებდეს.

მრავალთაგან მაგალითისათვის მოგახსენებთ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლის სხვა რაიონულ სასამართლოში მივლინების 2001 წლის შემთხვევას (მოსამართლის ვინაობას არ ვასახელებ, თუმცა საჭიროების შემთხვევაში შემიძლია დავასახელო):

ამ მოსამართლეს სასამართლოს თავმჯდომარემ სიტყვიერად უთხრა სხვა რაიონულ სასამართლოში მივლინების თაობაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, თუმცა გადაწყვეტილების მოტივაციის მითითების გარეშე და, ამასთან, მოსამართლისათვის მივლინების შესახებ გადაწყვეტილება არ ჩაუბარებიათ.

1 წლის გასვლის შემდეგ, 2012 წელს, ვინაიდან, კანონმდებლობის მიხედვით, მივლინების ვადის მეორე წლით გაგრძელება აუცილებლად მოსამართ-

ლის თანხმობას მოითხოვს, ამ მოსამართლემ იუსტიციის უმაღლესი საბჭოსაგან წერილობით მოითხოვა მისი მივლინების შესახებ გადაწყვეტილება და საბჭოს სხდომის ოქმი, რომელშიც აღნიშნული უნდა ყოფილიყო მივლინების საფუძველი. მოსამართლეს გადასცეს მხოლოდ მივლინების შესახებ გადაწყვეტილება, ხოლო საბჭოს სხდომის ოქმი – არა და არც ამის მიზეზი განუმარტავთ. ამ მოსამართლემ 2013 წლის სექტემბერში კვლავ გამოითხოვა საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც ამჯერად ჩააბარეს და მასში მივლინების საფუძველად მითითებულია შემდეგი: (შეიძლება ზღაპრის სიუჟეტივით მოგეჩვენოთ, მაგრამ რეალურად ისეა, როგორც მოგახსენებთ)

კონკრეტული რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლე მივლინებული იყო სხვა რაიონულ სასამართლოში, ხოლო ამ კონკრეტულ სასამართლოში მეზობელი სასამართლოდან მოვლინებული სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლე მხოლოდ ორი დღით ჩადიოდა ხოლმე ამ კონკრეტულ სასამართლოში, რის გამოც საჭირო იყო სამოქალაქო საქმის განმხილველი მოსამართლის ყოველდღიურად ყოფნა ამ კონკრეტულ სასამართლოში. ამიტომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტა, ამ კონკრეტულ სასამართლოში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან მიევლინებინათ სამოქალაქო საქმის განმხილველი გამოცდილი მოსამართლე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის ოქმის მოსამართლისათვის გადაუცემლობა ერთი წლის განმავლობაში მიზეზის მითითების გარეშე და მისი გადაცემა მხოლოდ განმეორებით მოთხოვნის შემდეგ, იძლევა ალბათობის მაღალი ხარისხით დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ მოსამართლის მივლინების საკითხზე, ან მივლინების მოტივაციის მითითებით ოქმი თავის დროზე არ შემდგარა და იგი გაფორმდა მხოლოდ მოსამართლის განმეორებით მოთხოვნის შემდეგ. ამგვარადაც რომ არ იყოს, ამ გადაწყვეტილების დაუსაბუთებლობაზე მეტყველებს ისიც, რომ ის მოსამართლე, რომელიც მეზობელი სასამართლოდან იყო მივლინებული იმ კონკრეტულ სასამართლოში და რომელიც, საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით, მხოლოდ ორი დღით ჩადიოდა კონკრეტულ სასამართლოში, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დააბრუნა არა იმ მეზობელ სასამართლოში, საიდანაც იყო მივლინებული, არამედ მიავლინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში იმ მოსამართლის ადგილას, რომელიც თბილისის საქალაქო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიიდან მივლინეს კონკრეტულ რაიონულ სასამართლოში.

ამდენად, ჭადრაკის ენაზე ფიგურალურად რომ ვთქვათ, მივლინებების შესახებ თავისი გადანყვეტილებებით იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ გააკეთა ერთგვარი „როქი“, რომლის დასაბუთებულობა, მიუხედავად საბჭოს სხდომის ოქმის დაგვიანებით გამოჩენისა, მაინც არაა დამაჯერებელი.

ცნობილია, რომ ამჟამად მომზადებულია სასამართლოების შესახებ კანონმდებლობაში ცვლილებების პაკეტი, რომელთა განხილვაში მოსამართლეთა ასოციაცია „ერთობის“ წევრები აქტიურად ვმონაწილეობთ და ვანვდით ჩვენს მოსაზრებებს და შენიშვნებს, რომელთა ნაწილს მაინც, იმედია გაითვალისწინებს კანონმდებელი.

დასასრულს გამოვთქვამ იმედს, რომ მსგავსი, თუ სხვა ფორმატის შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომით, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასამართლო სისტემის გაჯანსაღებას, განვითარებას, სრულყოფილებას და საბოლოოდ ხელისუფლების ნამდვილ. ღირსეულ, თანასწორუფლებიან შტოდ მართლმსაჯულების ჩამოყალიბებას.

**მადლობთ ყურადღებისათვის.**

## ზოგადი მონახაზი

*ინფორმაცია მომხსენებლის შესახებ* [გამოცხადდება წამყვანის მიერ]

22 წლის განმავლობაში მუშაობდა ზოგადი იურისდიქციის პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლედ მინესოტაში (აშშ)

2.5 წლის განმავლობაში მუშაობდა კოსოვოში, გაეროს მისიის საერთაშორისო მოსამართლის პოზიციაზე

2 წელი იყო სასამართლოსა და პროკურატურის საქმეების დამოუკიდებელი კომისიის (შემდგომ „კომისია“) პრეზიდენტი კოსოვოში

კომისიის მოვალეობაში შედიოდა მოსამართლეობის და პროკურორობის კანდიდატების შემოწმება და იმ პირებთან გასაუბრება, რომლებმაც სავალდებულო გამოცდები ჩააბარეს. კომისია თანამდებობაზე დანიშვნის რეკომენდაციას უწევდა კანდიდატებს, რომლებმაც კომისიის ქულებით შეფასების სისტემის მიხედვით უმაღლესი ქულები მოიპოვეს. მე ვიყავი კომისიის მიერ გამოყენებული წესების, ფორმების და პროცედურების მთავარი ავტორი.

2011 წლის ივნისში, ჩავატარე სემინარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის და ხელმძღვანელობისთვის. სემინარი კომისიის მიერ მოსამართლეობის კანდიდატების შესამოწმებლად გამოყენებულ მეთოდოლოგიას ეხებოდა.

### *მოსამართლეთა შერჩევის პროცესის მიზანი*

მართალია დეტალებში შეიძლება იყოს განსხვავებები, აშშ.–ში, ევროპაში და სხვა ქვეყნებში დამოუკიდებელ სასამართლოს მოსამართლეთა შერჩევის პროცესს ერთი რამ საერთო აქვს: მთავარი მიზანია მოსამართლეების შერჩევა მკაცრად მათი დამსახურების მიხედვით.

დამსახურების მიხედვით შერჩევის პროცესი პრაქტიკულად ნიშნავს, რომ კანდიდატების იუსტიციის უმაღლეს სკოლაში დაშვება ან მოსამართლედ დანიშვნა ხდება იმის მიხედვით თუ რა იციან მათ და არა იმის მიხედვით თუ ვის იცნობენ ისინი. ქალებს თანაბარი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ, როგორც შერჩევის პროცესში ისე დაწინაურებისას.

**დამსახურების მიხედვით შერჩევის პროცესის ძირითადი მახასიათებლები**

იმისათვის, რომ კანდიდატის შეფასებამ შესაბამისი შედეგები გამოიღოს და წარმოაჩინოს კანდიდატის დამსახურება, პროცესი სამართლიანად და ობიექტურად უნდა წარიმართოს, გარდა ამისა პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა იყოს და უნდა ითვალისწინებდეს კანდიდატის პირადი მონაცემების დაცვის მოთხოვნებს.

სამართლიანობის და ობიექტურობის მიღწევის ყველაზე საუკეთესო გზა საზოგადოებისთვის ცნობილი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და ყველა კანდიდატისთვის ერთნაირი კრიტერიუმების გამოყენებაა სტანდარტული პროცედურის დაცვის და შერჩევის ყველა შესაბამისი კრიტერიუმის მომცველი საფუძვლიანი გასაუბრების ჩატარების საშუალებით.

დამსახურების მიხედვით შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს სამართლიანობას ყველას ერთნაირად მოპყრობის საშუალებით.

დამსახურების მიხედვით შერჩევის პროცესი უზრუნველყოფს ობიექტურობას ყველა კანდიდატის მიმართ სტანდარტული პროცედურების ერთნაირად გამოყენების, ყველა კრიტერიუმის მომცველი საფუძვლიანი გასაუბრების ჩატარების და ქულებით შეფასების სისტემის (რომელიც აფასებს კანდიდატის ძლიერ და სუსტ მხარეებს და მათ კვალიფიკაციას) საშუალებით.

**საკვალიფიკაციო გამოცდა**

საქართველოში, ისევე როგორც კოსოვოში და ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში, იურიდიულ სფეროში კარიერის მაძიებელი ვალდებულია პირველ რიგში შესაბამისი მისაღები ან საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბაროს.

დამსახურების მიხედვით შერჩევის პროცესის მიზნების მისაღწევად, მისაღები გამოცდები მკაცრი და საფუძვლიანი უნდა იყოს. ტესტი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს მთავარ კომპეტენციებზე, რომელიც უკიდურესად მნიშვნელოვანია მოსამართლის მოვალეობის სათანადოდ შესასრულებლად.

გარდა კანონმდებლობის ზოგადი ცოდნისა, ამ ძირითად კომპეტენციებში შედის (1) ლოგიკურად აზროვნების უნარი, ჯანსაღი და ლოგიკური გადანწყვეტილებების მიღების უნარი და პრობლემების გადაჭრის დროს საღი აზრის გამოყენების უნარი; (2) კანონებისა და იურიდიული დოკუმენტების ანალიზის უნარი, რომლებიც ზოგჯერ საკმაოდ რთულია, და მათი შინაარსის



ჩანვდომის შესაძლებლობა; (3) ბრძანებებისა და გადაწყვეტილებების გარკვევით და თანმიმდევრულად, დამაჯერებლად დაწერის უნარი, მნიშვნელოვანი საკითხების, ფაქტების და შესაბამისი კანონების საფუძვლიანად ცოდნის დემონსტრირებით; (4) ზეპირი კომუნიკაციის უნარი, რომელიც უთანაბრდება ამ პირის წერილობითი კომუნიკაციის უნარს ან მასზე უკეთესია; (5) ქცევის მანერა, ტემპერამენტი და სამუშაო ეთიკა, რომელიც დღევანდელ საზოგადოებაში მოსამართლის მიმართ არსებულ მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდები უნდა გაძლიერდეს ამ ძირითად სფეროებში, იმისათვის, რომ უფრო საფუძვლიანად შეფასდეს გამოცდების ჩამბარებელი პირების უნარები და თვისებები.

რადგან პატიოსნება სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის და რწმენის ქვაკუთხედაა, მისაღები გამოცდა აგრეთვე უნდა შეიცავდეს კომპონენტს, რომელიც ამოწმებს აპლიკანტის მიერ მორალური ქცევის კოდექსის მთავარი პრინციპების და წესების ცოდნას, ასევე აპლიკანტის უნარს ეს წესები და პრინციპები გამოიყენოს, როდესაც ის რეალურად დადგება ეთიკურად პრობლემის წინაშე.

გარდა ამისა, საჭიროა გადანყდეს საკვალიფიკაციო გამოცდები იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიღების ექსკლუზიური თუ ძირითადი საშუალება უნდ იყოს.

### **მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების პროცესი**

#### ***ზოგადი შენიშვნები***

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება და იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმატებით დამთავრება ობიექტური და დამსახურების მიხედვით შეფასების სისტემის მხოლოდ საწყისი კრიტერიუმია, რომელსაც კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ იმისათვის, რომ მოსამართლის ვაკანტური ადგილები შეავსონ.

საზოგადოების ნდობა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, სამართლიანობის მიმართ საბოლოო ჯამში დამოკიდებულია ცალკეული მოსამართლის პატიოსნებაზე, კეთილსინდისიერებაზე და მორალურ თვისებებზე. ამის გამო, ის პირები რომელთაც მოსამართლედ სურთ მუშაობა, მზად უნდა იყვნენ, რომ მათი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტი – როგორც პირადი ისე პროფესიული – გულმოდგინედ შე-

მონმდება დამსახურების მიხედვით კანდიდატის შეფასების პროცესის ფარგლებში.

შესაბამისად, როდესაც მოსამართლის ვაკანსია ჩნდება, პოზიციები უნდა შეივსოს ობიექტური, საფუძვლიანი გასაუბრების და შეფასების პროცესის საფუძველზე, საზოგადოებისთვის ცნობილი სტანდარტული წესების და პროცედურების თანმიმდევრულად გამოყენებით მთელი პროცესის განმავლობაში. ეს პროცედურები უნდა მოიცავდეს (ა) კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სისწორის და სისრულის შემოწმებას; (ბ) როგორ პირადი მონაცემების ისე სამუშაო გამოცდილების შემოწმებას; და (გ) პირადად კანდიდატთან საფუძვლიანი გასაუბრების ჩატარებას.

***დამსახურების მიხედვით შესაფასებლად კანდიდატთან ჩასატარებელი გასაუბრების კომპონენტები და შეფასების პროცესი***

ობიექტური გასაუბრებისა და შეფასების პროცესის აუცილებელი კომპონენტებია:

- გასაუბრების და შეფასების პროცესისთვის ერთიანი პროცედურის წესების შემუშავება და გამოქვეყნება
- შიდა წესების შემუშავება გასაუბრების კომისიის წევრებისთვის
- ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკის შემუშავება და მისი მკაცრად გატარება
- პირადი მონაცემების კონფიდენციალურობის პოლიტიკის შემუშავება და მისი მკაცრად გატარება
- დეტალური განაცხადის ფორმის შემუშავება
- კანდიდატის მიერ უზრუნველყოფილი ინფორმაციის სისწორისა და სისრულის შემოწმება
- კანდიდატის მონაცემებისა და სამუშაო გამოცდილების პროფესიონალურად შემოწმება
- კანდიდატის დახასიათების ან რეკომენდაციის სტანდარტული ფორმის გამოყენება
- ყოვლისმომცველი, საზოგადოებისთვის ცნობილი, მკაფიოდ განსაზღვრული შერჩევის კრიტერიუმები
- სამი წევრისგან შემდგარი კომისიის მიერ კანდიდატთან პირისპირ გასაუბრება

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

- გასაუბრების დროს როგორც სტანდარტული ისე ინდივიდუალურ კანდიდატზე მორგებული შეკითხვების გამოყენება
- გასაუბრების კითხვებზე მიღებული პასუხების შესაფასებლად ქულების სისტემის გამოყენება
- სტანდარტული, წინასწარ ამობეჭდილი შეფასების ფორმის გამოყენება გასაუბრების დროს კანდიდატის მიერ მიღებული ქულების ჩასანიშნად
- კანდიდატის მიერ მიღებული ქულების დამოუკიდებლად გამოთვლა
- კომისიის წევრების მიერ ინტერვიუს შემდგომი განხილვის მექანიზმის შექმნა, შეფასების შედეგებში მნიშვნელოვანი განსხვავებების განხილვის მიზნით
- შეფასების შედეგების კანდიდატის მიერ გასაჩივრების მექანიზმის შექმნა

### ***გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურის ერთიანი წესები***

საჭიროა ინტერვიუს ჩატარების პროცედურის წესების შემუშავება და გამოქვეყნება. ამ წესებს, რომლებიც ინტერესთა კონფლიქტის შესახებ დებულებებს უნდა შეიცავდნენ, მინიმუმ სამი მიზანი აქვს: (1) ყველა კანდიდატისთვის ზუსტად ერთნაირი ინფორმაციის მიწოდება მათ უფლებებსა და მოვალეობებზე; აგრეთვე იმის შესახებ თუ როგორ ჩატარდება გასაუბრება; (2) კომისიის წევრების მიერ გასაუბრების თანმიმდევრულად და ერთნაირად ჩატარება; (3) საზოგადოებაში შეფასების პროცესის სამართლიანობის და ობიექტურობის მიმართ ნდობის და რწმენის გაჩენა.

მოთხოვნის შემთხვევაში შემიძლია ამ წესების ნიმუში მოგაწოდოთ.

### ***ინტერესთა კონფლიქტი***

დამსახურების მიხედვით შეფასების და შერჩევის პროცესის დროს კანდიდატებს აფასებენ იმის მიხედვით თუ რა იციან მათ და არა იმის მიხედვით თუ ვის იცნობენ ისინი.

მოსამართლეობის კანდიდატების შეფასების პროცესი მაქსიმალურად ობიექტური რომ იყოს, ინტერვიუს ჩატარების პროცედურის წესები უნდა შეიცავდეს შეფასების კომისიის მუშაობაში ცხადი ან რეალური ინტერესთა

კონფლიქტის მქონე პირის მონაწილეობის ამკრძალავ დებულებებს. ტერმინი „ინტერესთა კონფლიქტი“ უნდა განისაზღვროს და განიმარტოს; კომისიის წევრები ვალდებულები უნდა იყვნენ პირველივე შესაძლებლობისთანავე განაცხადონ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის შესახებ; უნდა შეიქმნას და არსებობდეს წინასწარ დაბეჭდილი ინტერესთა კონფლიქტის ანგარიშგების ფორმა პოტენციური კონფლიქტის სწრაფად გამოვლენის მიზნით; საჭიროა ასევე პროცედურების დადგენა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შესახებ გაურკვევლობის სწრაფად მოსაგვარებლად.

### ***კანდიდატის მიერ კომისიის წევრებთან კომუნიკაციის აკრძალვა***

გასაუბრების ჩატარების პროცედურის წესები აგრეთვე უნდა შეიცავდეს დებულებებს, რომლებიც კრძალავს (ა) კანდიდატის ცალმხრივ კომუნიკაციას გასაუბრების კომისიის ნებისმიერ წევრთან; (ბ) კომისიის წევრის ცალმხრივ კომუნიკაციას კანდიდატთან.

### ***კომისიის წევრების მიერ გასაუბრების ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურის წესები***

საჭიროა გასაუბრების კომისიის მუშაობასთან დაკავშირებით პროცედურის წესების შემუშავება. ეს წესები განსაზღვრავენ და განმარტავენ ინტერესთა კონფლიქტის მოგვარების გზებს, დაადგენენ გასაუბრების კომისიის შემთხვევითობის პრინციპით დაკომპლექტების პროცედურებს და განმარტავენ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კანდიდატის შეფასების ფორმა სწორად.

მოთხოვნის შემთხვევაში შემიძლია ამ წესების ნიმუში წარმოგიდგინოთ.

### ***განაცხადის ფორმა***

საჭიროა ისეთი განაცხადის ფორმის გამოყენება, რომელიც კანდიდატის პირადი და პროფესიული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას მოითხოვს. კერძოდ კანდიდატები ვალდებულები იქნებიან წარმოადგინონ ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ოჯახის წევრები და ნათესავები; განათლება; სამუშაო გამოცდილება; სამხედრო სამსახური; პოლიტიკურ პარტიებთან კავშირი; ბიზნეს- და სოციალური საქმიანობა, ურთიერთობები და კავშირები; შემოსავალი, აქტივები

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

და ვალდებულებები; ინფორმაცია კანდიდატის მიერ ან მის წინააღმდეგ აღძრულ სასამართლო საქმეებსა და სხვა საჩივრებზე (მათ შორის დისციპლინარულ სასჯელზე); კანდიდატის ფიზიკური და გონებრივი ჯანმრთელობა.

### **კანდიდატის სტანდარტული რეკომენდაციის ფორმა**

საჭიროა კანდიდატის სტანდარტული რეკომენდაციის ფორმის შემუშავება. პირებს, რომელთაც სურთ კანდიდატს რეკომენდაცია გაუწიონ ან მასზე კომენტარები გააკეთონ ვალდებულებები იქნებიან ეს ინფორმაცია სტანდარტული ფორმის გამოყენებით წარმოადგინონ.

კოსოვოში გამოყენებული რეკომენდაციის სტანდარტული ფორმა განსახილველად ხელმისაწვდომია.

### **კანდიდატის პირადი ინფორმაციის და სამუშაო გამოცდილების შემოწმება**

მოსამართლეობის კანდიდატის თვისებების და კვალიფიკაციის ობიექტური, საფუძვლიანი შეფასება დამოუკიდებელია კანდიდატის შესახებ არსებული ინფორმაციის მოცულობასა და ხარისხზე. შესაბამისად გამართლებულია ყოვლისმომცველი და დეტალური განაცხადის ფორმის გამოყენება.

დამოუკიდებლად უნდა შემოწმდეს რამდენად ზუსტია და სრული კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. გარდა ამისა, საჭიროა გონივრული ძალისხმევის მიღება კანდიდატის პიროვნებაზე და სამუშაო გამოცდილებაზე ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების მიზნით. ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს კანდიდატის რეპუტაციაზე, პატიოსნებაზე და ხასიათზე, ასევე მის ტემპერამენტზე, სამუშაო ეთიკაზე და შრომისმოყვარეობაზე.

კანდიდატის მიერ მოწოდებული ინფორმაციის სიზუსტის და სისრულის დამოუკიდებლად შემოწმების და აგრეთვე მასზე ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვების ერთ-ერთი ეფექტიანი გზა სპეციალურად მომზადებული, გამოცდილი გამოძიებლების გამოყენებაა, რომლებიც ფრთხილად მოიპოვებენ ინფორმაციას [“მოკლე სიაში“ შემავალი] პირების პირადი ცხოვრებისა და პროფესიული საქმიანობის შესახებ. შესაძლებელია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პერსონალის აყვანა კანდიდატების პროფესიული გამოცდილების, კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და მუშაობის ხარისხის შესახებ

ინფორმაციის მოპოვების, ანალიზისა და შეფასების მიზნით. პირები, რომლებიც კანდიდატების პირადი ცხოვრების და სამუშაო გამოცდილების შესახებ ინფორმაციას მოიპოვებენ, მოამზადებენ კონფიდენციალურ ანგარიშს, რომელიც თავის მხრივ კანდიდატის ფაილის ნაწილი ხდება.

პირადი ინფორმაციის და პროფესიული გამოცდილების შესახებ ინფორმაციის შემოწმება კონფიდენციალურობის, ინტერესთა კონფლიქტის წესების და სტანდარტული პროცედურების საფუძველზე უნდა მოხდეს, იმისათვის, რომ დაცული იქნას სამართლიანობის, ერთიანობის და გამჭვირვალობის პრინციპები.

შემიძლია ამ მიზნით კოსოვოში შემუშავებული და გამოყენებული წესების მაგალითები წარმოგიდგინოთ.

### **კონფიდენციალურობა**

რამდენადაც კანდიდატის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად პირად ინფორმაციად მიიჩნევა, საჭიროა ზომების მიღება რათა კანდიდატთან გასაუბრების და შეფასების დროს დაცული იყოს ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მაგრამ, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შეიძლება კანდიდატის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის უფლებაზე უარის თქმის შესაძლებლობა გამოიკვლიოს. კანდიდატს შეიძლება ჰქონდეს ამის გაკეთების სურვილი, რათა დაამტკიცოს, რომ არაფერი აქვს დასამალი. კონფიდენციალურობის დაცვის უფლებაზე უარის თქმის თხოვნით კანდიდატს გასაუბრებამდე უნდა მიმართოთ.

### **კრიტერიუმები**

საჭიროა ამჟამად კანონით დადგენილი შერჩევის კრიტერიუმების და შესაბამისი განსაზღვრებების ხელახლა შემოწმება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგს: (ა) კანდიდატთა შეფასების კრიტერიუმების ნუსხას დაემატოს დამოუკიდებლობა და პატიოსნება; და (ბ) გადაიხედოს და დაზუსტდეს ზოგიერთი განსაზღვრება იმისათვის, რომ ისინი უფრო ნათელი და ადვილად გასაგები გახდნენ.

ზოგადად, შერჩევის ყველა კრიტერიუმი ძირითადად ერთ ან ორ ფართო კატეგორიაში ხვდება: პატიოსნება ან კომპეტენცია. შეფასების პროცესის ფარგლებში კოსოვოში, კანდიდატებს აფასებდნენ და ცალკე ქულას უწერ-

დნენ პატიოსნების შემადგენელ ყველა ხუთ ფაქტორში და კომპეტენციის რვავე ფაქტორში. შემიძლია კოსოვოში შეფასების პროცესის ამ ასპექტზე მოთხოვნისთანავე დამატებითი ინფორმაცია მოგაწოდოთ.

### **კრიტერიუმების ერთნაირად აღქმა**

იმისათვის, რომ კანდიდატთან გასაუბრების კომისიის ყველა წევრს ერთნაირად ესმოდეს შეფასების თითოეული კრიტერიუმი და მათი მნიშვნელობა, საჭიროა ყველა კრიტერიუმის განმარტების მოპოვება და კომისიის წევრებისთვის გადაცემა, შემდეგ მათი განხილვა, როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად კომისიის ყველა წევრის მიერ.

შემიძლია მოგაწოდოთ კოსოვოში კრიტერიუმების შესახებ გამოყენებული მასალები.

### **გასაუბრება**

მოსამართლეობის კანდიდატების ობიექტურად და დამსახურების მიხედვით შეფასების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი გასაუბრებაა. კოსოვოში კანდიდატთან გასაუბრება მეთოდურად მოიცავდა კანონმდებლობით განსაზღვრულ თითოეულ კრიტერიუმს. გასაუბრებაში, რომელიც დაახლოებით 1.4 საათი გრძელდებოდა, კანდიდატის ვერბალური კომუნიკაციის უნარის ცალკე ანალიზი შედიოდა. გარდა ამისა კანდიდატებს ევალუბოდათ წერილობითი სავარჯიშოს გაკეთება განსაზღვრულ დროში გასაუბრების დასრულებისთანავე. ნაწერის ნიმუშის ანალიზი და შეფასება ცალკე ხდებოდა.

მოთხოვნის შემთხვევაში შემიძლია კოსოვოში გასაუბრების პროცესის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოგაწოდოთ.

### **სტანდარტული კითხვების გამოყენება**

სტანდარტული კითხვები კრიტიკული მნიშვნელობისაა ორი ცალკეული მიზეზის გამო, როდესაც სასამართლოში კონკრეტული თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატებთან გასაუბრების დროს გამოიყენება დამსახურებაზე დამყარებული მიდგომა.

პირველი, სტანდარტული კითხვები მნიშვნელოვანია თანმიმდევრულობისთვის და გასაუბრების ჩატარების გარკვეული ერთგვაროვანი ხასი-

ათისათვის. ისინი აუცილებელია ყველა პოზიციაზე კანდიდატის მიმართ ერთნაირი დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად, მათთვის ერთნაირი შესაძლებლობების მისაცემად თითოეულ კრიტერიუმზე საკუთარი შეხედულებების, ცოდნის და დამოკიდებულების გამოსახატავად. მოკლედ, სტანდარტული კითხვები ეხმარება თითოეულ კანდიდატს, ჰქონდეს სხვების თანაბარი შესაძლებლობა, რომ კონკრეტულ პოზიციაზე შეფასების თითოეულ კრიტერიუმში დააგროვოს შესაბამისი ქულები.

მეორე, სტანდარტული კითხვები ასევე აუცილებელია კანდიდატების შეფასების სამართლიანობისა და ობიექტურობისათვის. იმისათვის, რომ სამართლიანად შეფასდეს ერთი კანდიდატის ძლიერი მხარეები და შედარებულ იქნეს სხვა კანდიდატების მიერ გასაუბრების დროს დასმულ კითხვებზე გაცემულ პასუხებთან. ყველა კანდიდატს აუცილებლად უნდა დავუსვათ იდენტური შეკითხვები.

სტანდარტული კითხვები არ მოითხოვს/გულისხმობს, რომ ყოველ კანდიდატს დავუსვათ ზუსტად ერთი და იგივე შეკითხვა. რეალურად თითოეულ კრიტერიუმთან დაკავშირებით იდენტური კითხვების შერჩევის მრავალი გზა არსებობს. გასაუბრების ჩატარების პროცედურების წესები კანდიდატს უნდა აწვდიდეს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მას დაუსვამენ სხვადასხვაგვარ სტანდარტულ შეკითხვას. შემდგომ კომისიის წევრები დასვამენ უფრო დეტალურ კითხვებს კანდიდატის მიერ გაცემული პასუხების საფუძველზე და ასევე, კონკრეტულ კანდიდატზე ფოკუსირებულ კითხვებს (მის ფაილში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე საჭიროებიდან გამომდინარე).

### ***ქულებით შეფასების სისტემის გამოყენება***

ქულებით შეფასების სისტემა ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კანდიდატის შეფასების პროცესის სამართლიანობის და ობიექტურობის მიღწევა. ის განსაზღვრავს თითოეული კანდიდატის პასუხების საკმარისობას გასაუბრების სტანდარტულ შეკითხვებზე. ამგვარი სისტემის გამოყენება მაქსიმალურად ზრდის კანდიდატის შეფასების პროცესის ობიექტურობას და ხელს უწყობს მის წარდგენას გარკვეულ თანამდებობაზე მხოლოდ საკუთარი დამსახურების საფუძველზე. მარტივად რომ ვთქვათ, ქულებით შეფასების სისტემის პირობებში კანდიდატებს, რომლებიც დააგროვებენ მაქსიმალურ ქულას, მიეცემათ რეკომენდაცია დასანიშნად.



### ***ქულების სისტემის დანერგვა კანდიდატების შესაფასებლად***

კანდიდატების ქულებით შეფასების სისტემის დანერგვა მიიღწევა შეფასების ფორმის გამოყენებით. შეფასების ფორმა ასრულებს ერთგვარი ქულების ბარათის როლს.

შეფასების ბარათში ჩამოთვლილია სხვადასხვა კრიტერიუმები, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანდიდატების შეფასებისას. მასში ჩამოთვლილია ქულების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიანიჭებულ იქნეს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით და მასში გამოყოფილია ადგილი კომისიის თითოეული წევრისთვის იმ ქულების ინდივიდუალურად ჩასაწერად, რომლებიც წევრის აზრით კანდიდატმა თითოეულ კრიტერიუმში დაიმსახურა.

მინიჭებული ქულების რაოდენობა შეფასების ფორმაში მითითებულ თითოეულ კრიტერიუმში იქნება სამი ძირითადი მოსაზრების ფუნქცია:

ა) ქულების მაქსიმალური რაოდენობა, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს ამ კრიტერიუმში;

ბ) ინფორმაცია კანდიდატის ფაილში, რომელსაც აქვს დატვირთვა კრიტერიუმთან დაკავშირებით;

გ) კანდიდატის პასუხების საკმარისობა გასაუბრების დროს კრიტერიუმთან დაკავშირებით დასმულ კითხვებზე.

### ***გასაუბრებისთვის მზადება***

კომისიის წევრები ემზადებიან გასაუბრებისთვის კანდიდატის ფაილში წარმოდგენილი ინფორმაციის და იმ ანგარიშის საფუძველზე, რომელიც მომზადებულია ადრე განხილული ძირითადი შემონიშვნების და პროფესიული შეფასების დასრულების შედეგად. კანდიდატის ფაილის განხილვისას და ძირითადი და პროფესიული შეფასების ანგარიშების გაცნობისას, კომისიის წევრები ინიშნავენ ნებისმიერ პრობლემურ საკითხს, რომელიც განსაკუთრებული ინტერესის საგანია და რომლის გარკვევაც მათ სურთ კანდიდატთან გასაუბრების დროს.

სტანდარტული კითხვების გაცნობის გარდა, რომლებიც შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გასაუბრების დროს, კომისიის წევრები კარგად უნდა იცნობდნენ შერჩევის ყველა კრიტერიუმს, განსაკუთრებით თითოეული კრიტერიუმის განსაზღვრებებს და დაკავშირებულ ძირითად მასალებს.

კანდიდატთან გასაუბრებისთვის მზადებისას კოსოვოში კომისიის თითოეულმა წევრმა გარკვეული დრო დაახლოებით ერთი საათი დაუთმო კანდიდატის ფაილის შესწავლას.

### **გასაუბრება და ჩანაწერების წარმოების მნიშვნელობა**

გასაუბრებას წარმართავს კომისიის თავმჯდომარის სტატუსის მქონე წევრი, რომელიც წარმოთქვამს სტანდარტულ დასაწყის და დასკვნით სიტყვას. ისმება როგორც სტანდარტული, ისე ინდივიდუალური კითხვები წინასწარ განსაზღვრული თანმიმდევრობით და ამასთანავე, კითხვების დასმის მიმდევრობა შეესაბამება შეფასების ფორმაში ჩამოთვლილი კრიტერიუმების მიმდევრობას.

როდესაც დღეში რამდენიმე გასაუბრებას ატარებთ, შესაბამისი ჩანაწერების წარმოების გარეშე შეუძლებელია ზუსტად დაიმახსოვროთ, რა თქვა თოთოეულმა კანდიდატმა. თუ თითოეული გასაუბრების დროს ჩანაწერებს სათანოდ არ აწარმოებთ, რა თქმა უნდა, დაგავიწყდებათ კანდიდატის ნათქვამი ან ერთის ნათქვამი მეორის პასუხში აგერევათ. კომისიის შემადგენლობაში საკუთარი როლის ეფექტიანად შესასრულებლად ჩანაწერების წარმოებას ალტერნატივა არ აქვს.

### **შეფასების ფორმის შევსება და გამოყენება**

გასაუბრების კომისიის წევრის უპირველესი მოვალეობაა, გასაუბრების დასრულების შემდეგ შეავსოს შეფასების ფორმა. თითოეული კანდიდატი ფასდება ცალკე კომისიის თითოეული წევრის მიერ. დასმულ კითხვებზე კანდიდატების პასუხების მაქსიმალურად ზუსტად აღნუსხვის მიზნით შეფასების ფორმა უნდა შეივსოს გასაუბრების დღესვე.

შეფასების შევსებული ფორმა უბრუნდება პერსონალს, რომელიც ცალკეული კანდიდატის მონაცემებს შეიტანს ცხრილში. ცხრილში ჩანს თითოეული კანდიდატის ქულა თითოეული კრიტერიუმისთვის და ასევე, ცალკე შეჯამებული შედეგი ყველა კომპლექსური კრიტერიუმისთვის და კომპეტენტურობის ყველა კრიტერიუმისთვის. კონკრეტული პოზიციისთვის ყველა გასაუბრების დასრულებისა და ქულების ცხრილში შეტანისთანავე მზადდება რეიტინგის ცხრილები.

გასაუბრების შემდგომი განხილვა შეფასებაში არსებულ განსხვავებებთან დაკავშირებით

გასაუბრების კომისიის სამუშაოს მიმართ გამოყენებული პროცედურების წესები უნდა მოიცავდეს დებულებებს, რომლებიც განმარტავს, თუ როგორ უნდა დარეგულირდეს მნიშვნელოვანი განსხვავებები კანდიდატის შეფასებაში ერთი ან მეტი შეფასების კრიტერიუმის მიხედვით. შიდა წესები ასევე ითვლისწინებს გასაუბრების შემდგომი მოკვლევის შესაძლებლობას გადაუჭრელ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც წამოიჭრა გასაუბრების განმავლობაში და შეიძლება განხორციელდეს და დასრულდეს ხანმოკლე ვადაში.

### **გასაჩივრების პროცესი**

ქულებით შეფასების სისტემით სარგებლობა სასამართლოში არსებულ პოზიციებზე მნიშვნელოვნად ამცირებს (თუ არ გამორიცხავს) სუბიექტურობას კანდიდატების შეფასებისას. კანდიდატებს, რომლებიც მიიღებენ უმაღლეს ქულას, ჩვეულებრივ გაეწევთ რეკომენდაცია თანამდებობაზე დასანიშნად. ამ დროს გასაჩივრების საფუძვლები მნიშვნელოვნად შეზღუდულია. მიუხედავად ამისა, შესაბამისი პროცესი მიგვითითებს, რომ შეფასების შედეგების გასაჩივრების ლიმიტირებული შესაძლებლობა უნდა არსებობდეს. უნდა შეიქმნას წესები, რომლებიც მიუთითებს გასაჩივრების ვადებს და საფუძვლებს. წესები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს დამოუკიდებელი სააპელაციო კომისიის შექმნას, ასევე უნდა ითვალისწინებდეს მოკლე წერილობითი განმარტების გაცემას საჩივართან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

მოთხოვნის შემთხვევაში შემიძლია მოგანოდოთ კოსოვოში ამ მიზნით გამოყენებული წესების ასლი.

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# შეფასების პროცესის მიზანი

კანდიდატების შერჩევა მათი  
დამსახურებიდან/უნარებიდან  
გამომდინარე



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*



# კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია მოსამართლეთა ინდივიდუალური შეფასება

თბილისი, 27/28 სექტემბერი, 2013  
francesco.contini@irsig.cnr.it  
მართლმსაჯულების სისტემების კვლევითი ინსტიტუტი  
იტალიის ეროვნული კვლევითი საბჭო  
IRSiG-CNR

National Institute of Justice, Sofia  
Wednesday, 10 October 2012

## ინდივიდუალური შეფასების ფარგლები

- რა არის შეფასება?
  - ლეგიტიმურობა... კანონის შეფარდება  
თანმიმდევრულად
  - ეფექტიანობა... სასამართლოს რესურსების  
ოპტიმალური გამოყენება
  - დემოკრატია... გადაწყვეტილებები ნათელია,  
მხარეებს ეპყრობიან პატივისცემით
- რატომ არის საჭირო სასამართლოს შეფასება?
  - ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა
  - ცალკეული პირების და ორგანიზაციების  
გაუმჯობესება და მათი საქმიანობა

## გერმანია:

- ამომწურავი, “ჰუმანური გადაწყვეტილება”
- ზოგადი (ყოველ 4-5 წელში ერთხელ) ან კონკრეტულ დანიშვნასთან მიმართებით
  - შემფასებელი: რეგიონული ან უმაღლესი სასამართლოს **თავმჯდომარე**
  - მეთოდი: შესაფასებელი საკითხების ჩამონათვალი + ზოგადი შეფასების ანგარიში + საბოლოო შეფასება (მოსამართლეთა რანჟირებისთვის)
  - სანდო მონაცემები

## გერმანია:

### ინდივიდუალური შეფასება

- განყოფილების უფროსი:
  - ანგარიში საქმიანობის შესახებ
- სასამართლოს თავმჯდომარე:
  - 10-20 საქმის შეფასებები
  - ეფექტიანობა, მომზადება, ვადები + სასჯელის ტექნიკური მხარეები და არა შინაარსი
  - სასამართლო განხილვებზე დაკვირვება (კომუნიკაციის უნარები...)
- ანგარიში, მოსამართლისთვის მიწოდება, მოსამართლის კომენტარები, საბოლოო ანგარიში, გასაჩივრების შესაძლებლობა

## ესპანეთი:

### ობიექტური ღონისძიებები: *modulos*

- თითოეული მოსამართლის პროდუქტიულობის ინდიკატორები
  - პროდუქტიულობა: გადაწყვეტილებათა რაოდენობა თითოეულ მოსამართლეზე
  - შეფასებული დატვირთვა საქმეებზე
  - ასევე გასათვალისწინებელია “სხვა ამოცანები, რომლებიც არ უკავშირდება საქმეებს”
- შედეგები
  - მოსამართლეთა ანაზღაურებაზე (გაზრდა ან შემცირება)
  - მკაცრი კრიტიკა: დამოუკიდებლობის დარღვევა
  - ეს სისტემა შეიქმნა 2006 და 2012 წლებში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით

### პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოები “Modulos”

|   |                         |
|---|-------------------------|
| მოსამართლეთა საკმების მოდული (გადაცემულ საქმეებზე დაყრდნობით) | 850 სამოქალაქო მიმართვა |
| დატვირთვის მოდული (დასრულებული საქმეების რაოდენობის მიხედვით) |                         |
| წამოწყებული სამოქალაქო მიმართვები                             | ნიშნული                 |
| სამართალწარმოება რთულ სარჩელებზე                              | 12                      |
| სამართალწარმოება ნაკლებად რთულ სარჩელებზე                     | 3.25                    |
| დეკლარაციული სამართალწარმოება                                 | 2                       |
| ზეპირი მოსმენები  | 1.4                     |
| შემაჯამებელი სააღსრულებო წარმოება                             | 1.25                    |
| იპოთეკასთან დაკავშირებული სამართალწარმოება                    | 1                       |
| ქონების ჩამორთმევის განხილვა                                  | 1.25                    |
| ვალუვალად გამოცხადების წარმოება                               | 12                      |
| სხვა სამოქალაქო წარმოება                                      | 1                       |
| საქმეები, რომლებიც საჭიროებს საგამონაკისოდ დიდ დროს           | 130-მდე                 |

წლიურად ნამუშევარი საათების ჯამი **1,650** საათი  
 დრო რომელიც იხარჯება საქმიანობისთვის, რომელიც არ არის ცხრილში მოცემული (წლიური  
 ნამუშევარი დროის 20% - 7.5 საათი კვირაში) **330** საათი  
 პირველი ინსტანციის სამოქალაქო სასამართლოების მოდული **1,320** საათი/ნიშნული

## სისტემის ცვლილება

- 2003 საქმიანობის ეფექტიანობისთვის ანაზღაურების არ ქონა
- 2005 საქმიანობის ეფექტიანობისთვის ანაზღაურება
  - მოსალოდნელი/საშუალო ეფექტიანი საქმიანობა 100%
  - ეფექტიანი საქმიანობა < 80% --- ანაზღაურების შემცირება
  - ეფექტიანი საქმიანობა > 120% --- ანაზღაურება + 5%
- 2008 საქმიანობის ეფექტიანობისთვის ანაზღაურება
  - ეფექტიანი საქმიანობა < **80%** --- **ანაზღაურების შემცირება: გაუქმდა**
  - ეფექტიანი საქმიანობა 100% -დან120%-მდე – ანაზღაურება + 3%
  - ეფექტიანი საქმიანობა > 120% --- ანაზღაურების გაზრდა + 5

## ინდივიდუალური დატვირთვა

### 2003 -2005

- იმ მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა, რომელთაც 120%-იანზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ
- იმ მოსამართლეთა რაოდენობის შემცირება, რომელთაც 160%-იანზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ
- იმ მოსამართლეთა რაოდენობის ზრდა, რომელთა 100%-მდე მაჩვენებელი აქვთ

### 2005 – 2008

- უფრო მეტი მოსამართლის მაჩვენებელია 80%-ზე ნაკლები
- 100%-ზე მეტი მაჩვენებლის მქონე მოსამართლეების რაოდენობის ზრდა
- 120%-ზე მეტი მაჩვენებლის მქონე მოსამართლეების შემცირება

### 2003 -2008

- პროდუქტიულობა + 7% **“ცალკეული საქმეები”? ხელშემშლელი ეფექტები?**
- ხარჯი + 2,6%

## საქართველო 2011 წელი, საქმიანობის შეფასების წესები

- მოსამართლეთა წახალისება საქმიანობის გაუმჯობესებისკენ
- უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ესპანური modulus მაგრამ მაინც ვიწრო:
  - ეფექტიანობა, პროდუქტიულობა, ვადები,
  - + კანონის ერთგვაროვანი შეფარდება
- არ მოიცავს ეფექტიანი საქმიანობის ისეთ სფეროებს, როგორცაა კომუნიკაციის უნარები, მხარეების მიმართ მოპყრობა...
- კონკურენცია რანჟირებისთვის და დანამატებისთვის?
- ხელშემშლელი ეფექტები როგორც ესპანეთში?

## საქართველო 2011 წელი, საქმიანობის შეფასების წესები

- მოსამართლე როგორც გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიმღები და არა როგორც “ორგანიზაციული საქმიანობის მონაწილე” (ქოუჩინგი, ჩანაცვლება, ინოვაცია..)
- მოითხოვს დეტალურ და სანდო მონაცემებს და რეგულარულ მორგებას
- ცალკეული მოსამართლის კონტროლს გარეთ არსებული ფაქტორები: ვადები
- “გადაწყვეტილების მიღების სტაბილურობამ” შესაძლოა შექმნას ნეგატიური ცვლილებები
- ეფექტიანი საქმიანობის საკვანძო ელემენტები არ არის გათვალისწინებული: სამართლიანობა, მხარეთა მიმართ მოპყრობა

## დასკვნა

- გაუმჯობესებაზე ზეგავლენა
  - ცალკეული მოსამართლე, სასამართლოს ორგანიზება, მომსახურების მიწოდება
- ხელშემშლელი ფაქტორები
- გამოწვევები
  - ობიექტური კრიტერიუმი - საკმარისია შეფასების სრულად განსახორციელებლად?
  - “ჰუმანური გადაწყვეტილებ” აუცილებელია სასამართლოს ყოვლისმომცველი შეფასებისთვის?
  - თუ ასეა, როგორ ავირიდოთ დისკრეციული უფლებამოსილება და უფლებამოსილების გადამეტება?

## სასამართლოს შეფასების დილემა

ობიექტური(რაოდენობრივი) კრიტერიუმი  
სუბიექტური(ღირებულებებზე დაფუძნებული) შეფასებები

- ობიექტური კრიტერიუმი შეიძლება განვითარდეს მართლსაჯულების ეფექტიანი განხორციელების ვიწრო სფეროში და განვითარებულ ადამიანს შეუძლია ამ კრიტერიუმის გამოყენება
- მართლსაჯულების ყოვლისმომცველი შეფასებისთვის სუბიექტური შეფასებებია საჭირო, მაგრამ ამან შესაძლოა მიგვიყვანოს დისკრეციულობამდე და სწრაფად გადაიზარდოს უფლებამოსილების გადამეტებაში.

## სასამართლოს შეფასების დიღემა

კვლევაშ შესაძლოა ხელი შეუწყოს სანდო მონაცემების შეფასებას სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე და გაზარდოს ობიექტურობა

დისკრეციულობა და უფლებამოსილების გადამეტება შესაძლოა გაკონტროლდეს სათანადო ინსტიტუციური მოწყობით:

სასამართლოთა სენატები, მმართველობითი საბჭო, მოსამართლეთა შეხვედრები, კოლეგების ჯგუფები, მიმართვები ადმინისტრაციული ორგანოებისადმი, ეფექტიანი ანგარიშვალდებულების მექანიზმები.

## ნიდერლანდები

- დატვირთვის საზომი: “Lamicie”
  - Lamicie მოდელი
  - დრო თითოეულ საქმეზე
  - ბიუჯეტირება
- ხარისხის გაუმჯობესება “RechtspraakQ”
  - უფრო დაბალანსებული და ყოვლისმომცველი
  - მიზნების ერთობლიობა და მართლმსაჯულების ხარისხის გაზომვა
  - “Lamicie” მოდელი
- შედეგები
  - პროდუქტიულობა “მართლმსაჯულობის ხარისხის” პირისპირ
  - როგორ მოხდეს ბიუჯეტირება ხარისხის კრიტერიუმზე დაყრდნობით?

# მოსამართლის ინდივიდუალური შეფასება და დაწინაურება

*მაია ბაქრაძე*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

მოსამართლის შეფასება ძალიან **ფრთხილი და დელიკატური თემაა**, დეტალები ამ საკითხზე ყოველთვის დელიკატურია, რადგან მოსამართლეებს არ გვიყვარს ჩვენი საქმიანობის შედარება მაგალითად რომელიმე სამინისტროში, ან დეპარტამენტში განხორციელებული საქმიანობასთან. მოსამართლის საქმიანობის მიმართ გადაჭარბებულმა და არასწორი ვექტორით მიმართულმა ყურადღებამ მოსამართლის საქმიანობის მიმართ შესაძლოა გამოიწვიოს ცხარე დისკუსია მოსამართლის დამოუკიდებლობის თემაზე, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ, სასამართლო ხალხს ეკუთვნის, იგი ხალხისგან ფინანსდება, მისი მომხმარებელიც საზოგადოების წევრები არიან, ალბათ უნდა შეფასდეს მოსამართლის და ზოგადად სასამართლოს საქმიანობა, ანუ მის მიერ მიწოდებული მომსახურების, სერვისის ხარისხი და ამგვარი შეფასების, ისევე როგორც ზოგადად შეფასების შედეგი უნდა იყოს სუსტი რგოლების აღმოჩენა და გაუმჯობესების გზების მოძებნა. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ შეუძლებელია მოსამართლის შეფასება განხორციელდეს დამოუკიდებლად და არა როგორც სისტემასთან ერთობლიობაში, ანუ გათვალისწინებული უნდა იქნეს აუცილებლად მისი საქმიანობის გარემო, პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა, ასევე მისთვის საქმეზე ანგარიშის მოთხოვნა დაუშვებელია. ამდენად, **შეფასება ისე უნდა ხდებოდეს, რომ საფრთხე არ დაემუქროს მოსამართლის დამოუკიდებლობის** და მიუყვებლობის პრინციპს.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 1994 წლის 13 ოქტომბერს მიღებული რეკომენდაცია N R (94)12 განმარტებითი მემორანდუმით (მოსამართლეთა დამოუკიდებლობა, ეფექტიანობა **დაროლი**) „**მოსამართლეთა დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, არსებითია მოსამართლეთა საქმიანობის დაქვემდებარება კონტროლისა და შეფასების ისეთი სისტემისადმი,**



**რომელიც სარწმუნოს გახდის, რომ მათი უფლება-მოვალეობანი უზრუნველყოფილია.**

2011 წლის 27 დეკემბერს იუსტიციის საბჭომ დაამტკიცა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა საქმიანობის ეფექტურობის წესი, რომლიც განისაზღვრა მოსამართლის სეფასების კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტებს ამ წესის მიხედვით წარმოადგენს

- 1, განხილულ საქმეთა კოეფიციენტების რაოდენობა
- 2, დასრულებულ საქმეთა სირთულე
- 3, საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა
- 4, გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვა,
- 5, გადაწყვეტილების სტაბილურობა

ამ სისტემით შეფასებისას ხდება მოსამართლის დატვირთულობის განსაზღვრა მის წარმოებაში არსებულ საქმეთა სირთულის მიხედვით, სხვა მოსამართლესთან შედარების თვალსაზრისით, შესაბამისი სირთულის საქმეთა რაოდენობის მიხედვით, მისი დასრულების ოდენობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების დადგენა, საპროცესო ვადების დაცვით საქმეთა განხილვა და გადაწყვეტილებების შესაბამისობის დადგენა იმავე საქმეზე ზემდგომი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან (სტაბილურობა).

შეფასების შედეგების მიხედვით ხდება მოსამართლეთა დაყოფა გარკვეულ რეიტინგულ ჯგუფებად (კატეგორიებად) და ამ შედეგების მიხედვით მოსამართლეთა ნახალისება.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული სისტემით შეფასება არის გადასახედი, უფრო მეტიც შესაცვლელი, ვინაიდან პირველ რიგში ის არ ემსახურება თავად შეფასების მიზანს, და მეორეც, გამორიცხულია თავად მოსამართლის აქტიური როლი, ანუ მოსამართლე ვერ ახდენს ზეგავლენას თავისი საქმიანობის შეფასების შედეგებზე, არამედ ინერციით მოქმედებს და გამოდის რომ მხოლოდ ექვემდებარება ამ სისტემას. ასევე, შედეგი შეფასების სიტემის მუშაობის, არის მოსამართლეთა ნახალისება, რაც არწარმოადგენს ზოგადად შეფასების მიზანს, და აყენებს მოსამართლეს იმ „ცდუნების“ წინაშე, რომ რაც შეიძლება სწრაფად რაც შეიძლება მეტი საქმე განხილოს, რომ მოხვდეს ე.წ. ა+, ანუ უმაღლეს კატეგორიაში და მიიღოს რაიმე საჩუქარი ან, დანამატი ხელფასზე. მე არ მაქვს იმის განცდა, რომ საქართველოში მოსამართლეები იოლად ექვემდებარებიან ამ ცდუნებას, ეს არ მინდა ასე იქნეს გაგებული, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ მოსამართლის მიუკერძოებლობას არ შეიღე-

ბა რაიმე დანაწესით მინიმალური საფრთხეც რომ შევუქმნათ. ამიტომ თავად ნახალისება, სხვა მოსამართლისგან განსხვავებული შემოსავლის არსებობა ერთ-ერთი ასეთი საფრთხეა, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც, ქვეყანაში *მოსამართლის სოციალური გარანტიები არ არის უზრუნველყოფილი*, შეუსაბამოა მისი ხელფასი მოსამართლის სტატუსთან, მის პასუხისმგებლობასთან, განუღ შრომასთან და ყველა ის გარანტია, რასაც კანონმდებლობა ითვალისწინებდა 2005 წლამდე, მხედველობაში მაქვს დანამატი სამუშაო სტაჟის მიხედვით, ვადის გასვლის შემდეგ ხელფასის შესაბამისი კომპენსაცია პენსიამდე და მაღალი პენსია, რატომღაც მიზანმიმართულად იქნა ამოღებული კანონიდან და მოსამართლეები დარჩნენ არაადეკვატური ხელფასის ამარა, რომლის ოდენობამ 2005 წლიდან დღემდე მხოლოდ 2-ჯერ განიცადა ცვლილება მატების კუთხით და ამასთან უმნიშვნელოდ – 10%-ით.

ამდენად, მოსამართლის არსებული სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით, საპროცესო ვადაში რაც შეიძლება ბევრი საქმის დასრულების მოთხოვნამ სერიოზული დარტყმა შეიძლება მიაყენოს მოსამართლის დამოუკიდებლობას და ამავე დროს შესაძლოა გამოიწვიოს ხარისხის შემცირება, რაც საბოლოოდ სასამართლოსადმი საზოგადოების ნდობაზე უარყოფითად იმოქმედებს.

მიმაჩნია, რომ შეფასების სისტემის არსებობა კეთილშობილ მიზანს – საზოგადოების ინტერესს უნდა ემსახურებოდეს და თუკი შედეგი იქნება მართლმსაჯულების ხარისხის დაქვეითება ეს ნამდვილად არ წარმოადგენს მოქალაქეთა მიზანს და საერთო ჯამში მოქალაქეებს არ ექნებათ სასამართლოსადმი ნდობა და პატივისცემა.

კერძოდ, შეფასების მიზანი უნდა იყოს მოსამართლის სამუშაო პირობების გაუმჯობესება, მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების ხელისშემშლელი პირობების გამოვლენა, და მათ დასაძლევად მიზნების დასახვა და გზების ძიება, როგორც მოსამართლის სწავლების, სუსტ სფეროებში დატრენინგების სახით, ასევე ორგანიზაციული და ტექნოლოგიური თვალსაზრისითაც.

მოსამართლის შეფასება მაშინ არის სანდო და სწორი ვექტორით მიმართული, თუკი არსებობს რალაც სამართლიანი სანყისი მოცემულობა, რაც მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ობიექტური შედეგის მისაღებად. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო არის ყველაზე დიდი და დატვირთული სასამართლო იქედან გამომდინარე, რომ 2005 წლიდან აღარ არსებობს თბი-

ლისის რაიონული სასამართლოები და ყველა რაიონის საქმემ ერთ სასამართლოში მოიყარა თავი. თბილისი არის ასევე ადმინისტრაციული ორგანოების აგილმდებარეობის ქალაქი, თბილისზე მოდის საქართველოს მოსახლეობის თქმის 70% (უდიდესი ნაწილი) და ამ სასამართლოში სამივე დარგში მოღვაწეობს სულ 70 მოსამართლე. საერთოდ საქართველოში (4,5 მილიონიანი მოსახლეობის ქვეყანაში), სულ 242 მოსამართლეა, თუმცა ყველა არ მონაწილეობს საქმეთა განხილვაში, ანუ დაახლოებით 230 მოსამართლე ახორციელებს მარლმსაჯულებას. შედარებისთვის უნდა ითქვას, რომ ხორვატიაში, რომლის მოსახლეობის რიცხვი დაახლოებით უტოლდება საქართველოს მოსახლეობის რიცხვს, 1700 მოსამართლეა, 1,3 მილიონიან ესტონეთში – 1200, გერმანიაში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა 81 მლნ–ს აღწევს 20 000 მოსამართლე მოღვაწეობს.

ასეთ ვითარებაში, ჩვენს ქვეყანაში მოქმედებს შეფასების სისტემა, რომლის პრინციპი ასეთია, რაც უფრო მეტი საქმე შემოდის მეტი საქმე უნდა განიხილოს. საუბარია 120% იან მაჩვენებელზე. ანუ მაგალითისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიაში, სადაც ერთ მოსამართლეს ყოველთვიურად ეწერება დაახლოებით 70–80 საქმე, მოსამართლემ უნდა განიხილოს თვეში 85–100 საქმე (არსებით განხილვაზეა საუბარი), ანუ დღეში (20 სამუშაო დღეა თვეში) 5 საქმე, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსამართლემ შეუსვენებლად რომ იმუშაოს 8 საათი, თითო საქმის განხილვას უნდა დაუთმოს სულ ჯამში 1,5 საათი. წინააღმდეგ შემთხვევაში ის არ მოხვდება ე.წ. ა+ კატეგორიაში. თუმცა ზოგიერთი რაიონული სასამართლოში, დატვირთვის გათვალისწინებით, შესაძლებელია მოსამართლემ ყოველთვიურად აჩვენოს 120%–იანი განხილვის შედეგი, რაიმე ზედმეტი ძალისხმევის გარეშე. გამოდის რომ ვერცერთი წლის განმავლობაში თბილისის სამოქალაქო საქმეთა განმხილველი მოსამართლე ვერ მოხვდება ა+ კატეგორიაში და ვერასოდეს ვერ მიიღებს საჩუქარს ან დანამატს ხელფასზე, მაშინ, როდესაც პირობითად ლენტეხის ან ახალციხის მოსამართლემ შეიძლება სისტიმატიურად აჩვენოს წარმატებული შედეგი. დამეთანხმებით რომ ამგვარი მიდგომა არის სრულიად არასამართლიანი და არაეფექტურიც.

მიმაჩნია, რომ იმისთვის, რათა სწორად ამუშავდეს შეფასების ესა თუ ის სისტემა, აუცილებელია, რომ მოსამართლეთა რაოდენობა იყოს შესაბამისი და ადექვატური. მოსამართლეებს ქონდეთ თანაბარი სამუშაო პირობები. ბევრ საქმეს დამატებითი ძალისხმევა და ფორსირებული მუშაობა, დღე და

ლამის გასწორება ვერ გადაწყვეტს, ბევრ საქმეს სჭირდება შესაბამისი მოსამართლეთა რაოდენობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს მოსამართლეთა რაოდენობას. ამ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება აქვს მინდობილი იუსტიციის საბჭოს. წინა საბჭოს შემადგენლობას საერთოდ არ უმსჯელია ამ საკითხზე, უფრო მეტიც არც კი შემუშავებულა რაიმე კრიტერიუმი თუ როგორ უნდა იქნეს განსაზღვრული მოსამართლეების რაოდენობა, რაც ქვეყანას ესაჭიროება, არ ჩატარებულა ამ მიზნით არანაირი კვლევა. ძალიან დასანანი და გულდასაწყვეტია, რომ მოქმედი საბჭოც თავის გეგმებში და პრიორიტეტებში საერთოდ არ ახსენებს ამ საკითხს და არ ანიჭებს ამას გადამწყვეტ მნიშვნელობას. ბოლოდროინდელი მონაცემებით, ყოველგვარი კვლევის და დასაბუთების გარეშე, საბჭოს გადაწყვეტილებით ხდება მოსამართლეთა რაოდენობის შემცირება (2012 წლის განმავლობაში მოხდა საშტატო ერთეულების შემცირება 44 საშტატო ერთეულით) თუმცა ამ გადაწყვეტილებებში სართოდ არ არის დასაბუთებული თუ რატომ მივიდა საბჭო ამ დასკვნამდე რით იხელმძღვანელა საბჭომ როდესაც გადაწყვიტა, რომ საკმარისზე მეტია მოსამართლეთა საშტატო ერთეულები და მათი შემცირებაა საჭირო. ამ მხრივ საინტერესეოა ჩვენი უცხოელი კოლეგების გამოცდილება, თუ როგორ ხდება მათ ქვეყნებში მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის განსაზღვრა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი რომ თუკი დიდ ქალაქებში მოსამართლეს ყავს აპარატი მდივნის და თანაშემნის შემადგენლობით, რაიონულ სასამართლოებში ერთი ადამიანი ასრულებს სხდომის მდივნის და მოსამართლის თანაშემნის ფუნქციებს, უფრო მეტიც, ერთი მოსამართლე ახორციელებს რაიონული სასამართლოს მოსამართლის და რაიონული სასამართლოებიდან რამდენიმე ათეული კილომეტრით დაშორებულ მაგისტრატ სასამართლოებში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას. ესეც მოსამართლის შეფასების დროს მნიშვნელოვანი გარემოებაა, რათა გაირკვეს თუ რა საქმიანობას ახორციელებს მოსამართლე. ამ საკითხების მონესრიგების შემდეგ ალბათ უკეთესი და პროდუქტიული იქნება მოსამართლის შეფასება და ვფიქრობ, რომ ეს პირველი მნიშვნელოვანი საკითხია მოსამართლის არა მარტო შეფასების მიზნით, არამედ დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის, დასაბუთებულობის ხარისხის გაუმჯობესების და მოსამართლის განვითარების თვალსაზრისით. მოსამართლეს საერთოდ არ რჩება დრო საკუთარ

თავზე მუშაობისა და განვითარებისთვის, თავის მხრივ, არც შეფასების სისტემა ავლენს იმ სფეროებს სადაც საჭიროა დამატებითი ტრენინგის ჩატარება. რაც დროთა განმავლობაში მართლმსაჯულების ხარისხზე იქონიებს გავლენას.

გავლენას მოსამართლის შეფასების სისწორეზე და დამოუკიდებლობაზე ახდენს გაუმართლებელი *საპროცესო ვადების* არსებობა. ამ მხრივაც კანონმდებლობა გადასახედია, რადგან არასაკმარისი მოსამართლეების რაოდენობა, არაგონივრულ საპროცესო ვადებთან ერთობლიობაში მოსამართლეებს უქმნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფრთხეს. მოსამართლე თუკი ეცდება ფეხი აუნყოს არსებულ შეფასების სისტემას, მაშინ დაზარალებდა საზოგადოება, რადგან იგი ვერ მიიღებს ხარისხიან მართლმსაჯულებას. სწორედ ამიტომ, მოსამართლეები არჩევენ, რომ კეთილსინდისიერად და პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ საქმიანობას, თუმცა ამის საფასურად მათ აქვთ პრობლემა შეფასების პარამეტრების დაცვაში. ანუ, ფაქტობრივად, მოსამართლეთა შეფასების შედეგი არ არის ობიექტური და სამართლიანი.

მნიშვნელოვანი ხარვეზი, რაც ჩვენთან არსებულ მოსამართლეთა შეფასების სისტემას ახასიათებს, ეს არის მისი გავრცელება მხოლოდ პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებზე. იგი არ ეხება უზენაესი სასამართლოს წევრებს. აღნიშნული მიდგომა დაუსაბუთებელია. უზენაესი სასამართლო საერთო სასამართლოების სისტემის ნაწილია და სისტემის მოსამართლეთა დიფერენცირება რაიმე კუთხით დაუშვებელია.

როდესაც საქმე ეხება მოსამართლეების დანინაურებას, სტრატეგიის მთავარი პრიორიტეტი უნდა მდგომარეობდეს სასამართლოს ხელმძღვანელობაში გენდერული მრავალფეროვნების ხელშეწყობაში. მაშინ, როდესაც ამჟამად საქართველოს მოსამართლეების 47%-ია ქალი, გასაკვირია, რომ მხოლოდ ორი სასამართლოს თავმჯდომარეა ქალი მოსამართლე და მხოლოდ ორი ქალია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი. აქვე ციტატად მოვიყვანდი ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის განცხადებას ამასთან დაკავშირებით: „ქვეყნები უფრო მშვიდი და წარმატებულია, როდესაც ქალებს მინიჭებული აქვთ სრული და თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები. როდესაც ეს უფლებები და შესაძლებლობები უარყოფილია, ქვეყნები ბევრად ჩამორჩებიან.“

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 37-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია მოსამართლის დანინაურება კონკურსის გარეშე და არ არის

გათვალისწინებული რაიმე ვადა, რომლის განმავლობაშიც მოსამართლე უნდა საქმიანობდეს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებში და მხოლოდ ამის შემდეგ იყოს შესაძლებელი მისი დანიშნაობა. რადგან ეს წესი პრაქტიკით ვერ დაინერგა, ვფიქრობ, კანონმდებლობით უნდა დაწესდეს განსაზღვრული ვადა, რომლის გავლის შემდეგაც იქნება შესაძლებელი მოსამართლის დანიშნაობა ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში.

საერთო ჯამში მოსამართლის შეფასების გლობალური მაჩვენებელია საზოგადოებრივი აზრი, ყველაზე დიდი და წარმატებული მოსამართლე არის ის, ვინც თავისი საქმიანობით საზოგადოებაში ტოვებს განცდას, რომ სამართალი აღსდგა, სამართალი ზეიმობს.

# მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი შედეგები

*ნათია ქუთათელაძე*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე*

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, დისციპლინური სახდელის სახეებს, დისციპლინური სამართალწარმოებისა და მოსამართლეთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს, საერთო სასამართლოებში დისციპლინური საქმეების განხილვისა და მათზე გადაწყვეტილების მიღების წესს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 2000 წლის 23 თებერვალს და ამოქმედდა იმავე წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ დისციპლინურ საქმეებს განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგია.

სადისციპლინო კოლეგიამ თავისი საქმიანობა უნდა წარმართოს იმგვარად, რომ იგი არ უნდა იქნეს ალქმული, როგორც მოსამართლის დამოუკიდებლობის შემლახველი საქმიანობა. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს. ამიტომ, სადისციპლინო კოლეგიამ კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით უნდა მოახდინოს რეაგირება მოსამართლის მიერ დისციპლინურ გადაცდომაზე.

შესაბამისად, კანონმდებლობაც იმგვარად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ არც დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უფლებამოსილ ორგანოს და შემდეგ, არც სადისციპლინო კოლეგიას არ მიეცეს კანონის ფართო ინტერპრეტირების შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევაში, შევჩერდები დისციპლინური გადაცდომის სახეებზე, რომელთა ამომწურავ

ჩამონათვალს შეიცავს კანონის მეორე მუხლის მეორე პუნქტი, კერძოდ ესენია:

ა) ამოღებულია (27.03.2012. N5922)

ბ) კორუფციული სამართალდარღვევა ან თანამდებობრივი მდგომარეობის მართლმსაჯულებისა და სამსახურებრივი ინტერესების საზიანოდ გამოყენება. კორუფციულ სამართალდარღვევად ჩაითვლება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დარღვევა, თუ იგი არ იწვევს სისხლის-სამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;

გ) მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა;

დ) მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას;

ე) საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება;

ვ) მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

ზ) მოსამართლეთა თათბირის ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება;

თ) დისციპლინური უფლებამოსილების მქონე ორგანოს საქმიანობისათვის ხელის შეშლა ან მისდამი უპატივცემულობა;

ი) სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა;

კ) ამოღებულია (27.03.2012. N5922)

მოგეხსენებათ, 2012 წლის 27 მარტს, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, კანონის მეორე მუხლიდან ამოღებულ იქნა „ა“ ქვეპუნქტი, რომლითაც დისციპლინურ გადაცდომად ითვლებოდა საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევა.

აღნიშნული ცვლილება განაპირობა იმ გარემოებამ, რომ დიდ აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა, თუ რა იგულისხმებოდა საქმის განხილვისას მოსამართლის მიერ კანონის უხეშ დარღვევაში.

ამ კონტექსტში, ყურადღება მინდა გავამახვილო დღეს მოქმედი კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტზე, რომლის მიხედვითაც დისციპლინური გადაცდომის სახედ მიჩნეულია მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. თუ გადავხედავთ ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ სადისციპლინო კოლეგიის მიერ 2012-2013 წლებში



მიღებულ გადაწყვეტილებებს, ვნახავთ, რომ უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითაა დისციპლინური საქმეები აღძრული.

აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება გამოიწვიოს, თუ რა იგულისხმება მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობასა ან არაჯეროვნად შესრულებაში.

კონკრეტული განმარტება, თუ როგორი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობად ან არაჯეროვნად შესრულებად, არსად არ არის მოცემული.

აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით შეიძლება დაისვას შეკითხვა, ხომ არ შეიძლება ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად მოსამართლის მიერ სამართლებრივი შეცდომის დაშვება. მოგესხენებათ, შეცდომის გამოსწორების უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს გადაწყვეტილების გასაჩივრება, უსწორობის გასწორება, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრა, დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა. გადაწყვეტილების გასაჩივრებით შესაძლებელია, ზემდგომმა სასამართლომ აღმოფხვრას ქვემდგომი სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომა. უსწორობის გასწორებით, ბუნდოვანება-უზუსტობის აღმოფხვრით ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანით კი, უშუალოდ შეცდომის დამშვები სასამართლო ასწორებს შეცდომას.

ამ მიმართულებით საინტერესო ცვლილებაა შემოთავაზებული „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, დისციპლინური გადაცდომის სახედ განისაზღვრება მხოლოდ სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევა, შესაბამისად, შეწყდება კანონში ამოქმედებამდე დაწყებული დისციპლინური სამართალწარმოებები, თუ ისინი არ არის დაწყებული სამოსამართლო ეთიკის წესების დარღვევის საფუძვლით.

აღნიშნული კანონპროექტის შემუშავება განპირობებულია მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიების შექმნის აუცილებლობითა და დისციპლინური სამართალწარმოების პროცესის დახვეწისა და სრულყოფის აუცილებლობით.

# მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი შედეგები

*მაია ვაჩაძე*

*საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე*

## შესავალი:

კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის საქმეში უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად სწორედ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა მიიჩნევა. სასამართლო ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი როლი განერილია კონსტიტუციაში. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. არავის არა აქვს უფლება, მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. ბათილია ყველა ქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE – ევროპის საბჭოს მრჩეველი ორგანო) რეკომენდაციით, გამომდინარე იქიდან, რომ სწორედ მართლმსაჯულების ორგანოებმა უნდა ითამაშონ უმნიშვნელოვანესი როლი დემოკრატიის აღმშენებლობის საქმეში, მათი საქმიანობა უნდა იყოს გამჭვირვალე, რაც გადამწყვეტია მოქალაქეთა ნდობის ასამაღლებლად, მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების მიმართ.

1997 წლის 13 ივნისს საქართველოს პარლამენტის მიერ „საერთო სასამართლო ების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მიღებით დაიწყო სასამართლო რეფორმა საქართველოში. რეფორმის მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის კონსტიტუციით განმტკიცებული ხელისუფლებათა დანაწილების პრინციპის რეალიზება და ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსის უზრუნველსაყოფად დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება. 1997 წლიდან დღემდე უწყებაში პერიოდულად ხორციელდება რეფორმები. საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმა მასშტაბურია და მოიცავს სასამართლო სისტემის მოწყობასა და გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, მათ შორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და სადისციპლინო სამართალწარმოების ს დახვეწას.

სასამართლო რეფორმა ამჟამად კიდევ ერთ გარდამავალ პერიოდს გადის და ბუნებრივია, გარდამავალი პერიოდისთვის დამახასიათებელი სამართლებრივი შუქ-ჩრდილებით ხასიათდება.. როგორც ექსპერტი და ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი იურიდიულ, საკონსტიტუციო რეფორმებისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში, თომას ჰამერბერგი აცხადებს, ასეთ ვითარებაში საერთაშორისო გამოცდილება ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ მთელ რიგ საკითხებში საჭირო იქნება საქართველოს მიერ ორიგინალური გამოსავლის მოძებნა, რომელიც ადეკვატური იქნება იმ გამოწვევებისა, რომელთა წინაშეც დღეს ჩვენი ქვეყანა დგას.

უამრავ საერთაშორისო ექსპერტთან და კომისიასთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრების შემდეგ, აღმასრულებელმა და საკანონმდებლო ხელისუფლებამ შემოგვთავაზა საკანონმდებლო ცვლილებების ახალი რედაქცია, რომლის მიღებაც საკმაოდ დაძაბულ გარემოში მიმდინარეობდა. ცვლილებები საერთო ჯამში პოზიტიურია და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდისკენ არის მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მთავრობამ ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია არ გაითვალისწინა, რამდენიმეთვიანი დაძაბული განხილვების შემდეგ პარლამენტმა კომპრომისული ვერსია მიიღო. კანონპროექტი, მიუხედავად გარკვეული შენიშვნებისა, დადებითად შეაფასა სასამართლო ხელისუფლებამაც. „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების პაკეტი შემუშავდა, რომელიც 2013 წლის 21 მაისს შევიდა ძალაში. კანონი მრავალ პროგრესულ დებულებას შეიცავს და სასამართლოს გამჭვირვალობის, მოსამართლის როლის გაზრდასა და მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის გაძლიერებისკენ არის მიმართული.

რეფორმის ერთ-ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიმართულებაა დისციპლინური სამართალწარმოების მოდელი. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მექანიზმი, ფაქტობრივად, სასამართლოს სისტემის შიდა მონიტორინგის ერთადერთი მექანიზმია. სადისციპლინო კოლეგია, პირობითად რომ ვთქვათ, მოსამართლეთა პროფესიული საქმიანობის კუთხით შემსწავლელი სასამართლოს როლს ასრულებს. ეს არის ინსტიტუტი, სამართლებრივ აქტებში დეკლარირებული ბერკეტი, რომლის საშუალებითაც მოსამართლეებს და ადვოკატებს შეიძლება დაეკისროთ დისციპლინური პა-

სუბსიდებლობა. ამ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭო გამოდის ე.წ. „ბრალმდებლის“ როლში და სადისციპლინო კოლეგია იხილავს მოსამართლის შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს ამ საკითხის მიმართ უფლებადაცვით საერთაშორისო ორგანიზაციებსაც. მაგალითისთვის მოვიყვანთ ევროსასამართლომ 2013 წლის 9 იანვარს გამოტანილ განჩინებას საქმეზე *Oleksandr Volkov vs. Ukraine*. ამ საქმეში ევროსასამართლომ ზუსტად ანალოგიური მიდგომა აირჩია და მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესი სამოქალაქო სამართლებრივ საკითხად მიიჩნია, რითაც ეს უკანასკნელი გაუთანაბრა სასამართლო სამართალწარმოებას. მამასადამე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო და სადისციპლინო კოლეგია, გამოდიან რა როგორც მოსამართლეთათვის შრომით სამართლებრივი საკითხების გადწყვეტის მიზნით მოქმედი სასამართლო ინსტიტუციები, დაცვის მაღალ სტანდარტს საჭიროებენ. სწორედ მაღალი სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით, სადისციპლინო სამართალწარმოების აქამდე არსებული მოდელი რამდენჯერმე შეიცვალა.

1997 წლიდან დღემდე, სწორედ ამ მიდგომას იზიარებს მიმდინარე რეფორმის ფარგლებში განხორციელებული ცვლილებები, რომლითაც მნიშვნელოვნად შეიცვალა, დაიხვენა და მიღებულ იქნა დისციპლინური სამართალწარმოების არსებული მოდელი. ეტაპობრივი ცვლილებების შედეგად, დადგინდა მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დანებისა და წინასწარი შემონმების პროცედურა. ამასთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ განმტკიცდა დისციპლინურ სამართალწარმოებაზე სასამართლო ზედამხედველობის პრინციპი: სადისციპლინო კოლეგიის გადანყვეტილება საჩივრდება უზენაეს სასამართლოში, საქმეზე საბოლოო გადანყვეტილებას უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა იღებს. იგი შედგება სამი მოსამართლისაგან, რომელიც აირჩევა უზენაესი სასამართლოს პლენუმის მიერ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით. აქ უნდა აღინიშნოს ის, რომ სადისციპლინო პალატა კოლეგიის გადანყვეტილებას ამონმებს როგორც საჩივრის ფარგლებში – ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით, ასევე დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისითაც.

საგულისხმოა, რომ ვენეციის კომისიის დასკვნაში (2007წ.) რეგლამენტირებული იყო რეკომენდაცია, რომ კანონიდან ამოგველო პუნქტი, რომელიც

დისციპლინური წარმოების აღძვრას მოსამართლის მიერ კანონის უხეში დარღვევის შემთხვევაშიც ითვალისწინებდა. არგუმენტაცია, რომელიც, მდგომარეობდა იმაში, რომ მოსამართლის მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება გასწორდეს ზემდგომი ინსტანციაში. გარდა ამისა, კანონის უხეში დარღვევა, რომელიც თავისთავად განიხილება, როგორც სამსახურებორივ მოვალეობის არაჯეროვანი შესრულება, შესაბამის კანონში ისედაც იყო განერილი, როგორც დისციპლინური სახდელის დადების საფუძველი. ვენეციის კომისიის და ჩვენი უცხოელი პარტნიორების რეკომენდაცია გაზიარებული იქნა ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების მიერ და მოხდა შესაბამისი ქვეპუნქტის ამოღება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია სასამართლოს დამოუკიდებლობის განმტკიცების მიმართულებით.

საინტერესოა, რომ კანონის უხეში დარღვევის საფუძველით 2011 წელს მხოლოდ ერთ მოსამართლე იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული. ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები თითქმის არ გვაქვს და მისი კანონიდან ამოღების მიზანშეწონილობა პრაქტიკამაც დაადასტურა. აღნიშნული ცვლილება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლიდან 2012 წლის გაზაფხულზე იქნა ამოღებული.

მოკლედ მიმოვიხილავ ცვლილებათა იმ პაკეტს, რაც მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დარღვევებზე კონტროლს და პრევენციას ეხება.

### **ცვლილებები:**

- სადისციპლინო კოლეგიის წევრი ველარ იქნებიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, იუსტიციის საბჭოს წევრები, სასამართლოების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები, ასევე სასამართლო კოლეგიების თავმჯდომარეები და მათი მოადგილეები. (24-ე მუხლის მე-4 პუნქტი.)
- სადისციპლინო კოლეგიის 3 მოსამართლე წევრს აირჩევს მხოლოდ მოსამართლეთა კონფერენცია. კანდიდატის დასახალების უფლება ენიჭება კონფერენციაზე დამსწრე ნებისმიერ მოსამართლეს. მოსამართლეთა კონფერენციის ადმინისტრაციული კომიტეტს აღარ ექნება 3 მოსამართლე წევრის არჩევის უფლება. (24-ე მუხლის I-ლი პუნქტი).
- სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე 2 წევრს იუსტიციის საბჭოს ნაცვლად აირჩევს საქართველოს პარლამენტი. აღნიშნული პირები შეირ-

ჩვეიან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოღვაწე სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისგან, ადვოკატთა ასოციაციისგან ან იურიდიული პროფილის მქონე არასამეწარმეო იურიდიული პირების წარმომადგენლებისგან. (24-ე მუხლის I-ლი, მე-2, მე-3 პუნქტები).

- სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესი განისაზღვრება კანონით და მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დადგენილი წესებით (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ნაცვლად). (21-ე მუხლის მე-2 პუნქტი).
- სადისციპლინო კოლეგიის და სადისციპლინო პალატის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები ქვეყნდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. კანონპროექტის მიხედვით უქმდება ჩანაწერი, რომელიც აწესებდა აღნიშნული გადაწყვეტილებების პერსონალური ინფორმაციის გარეშე გამოქვეყნებას. (81-ე მუხლის I-ლი პუნქტი).

### **დასკვნა:**

როგორც ვხედავთ, საერთო სასამართლოების სადისციპლინო კოლეგია ნაწილობრივ გამოდის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გავლენის სფეროდან, რაც პირველ რიგში გამოწვეულია კოლეგიის დაკომპლექტების წესში ცვლილებით. აღნიშნული ცვლილება მიგვაჩნია, (ან იმედს გამოვთქვამთ) რომ დადებითი ეფექტის მქონე იქნება და ხელს შეუწყობს სადისციპლინო კოლეგიის დამოუკიდებლობის ამაღლებას. კოლეგიის საქმიანობის წესების დადგენის უფლების მოსამართლეთა კონფერენციისთვის მინიჭება დადებითად იმოქმედებს მოსამართლეთა თვითმმართველობის ამაღლების საქმეში. ლოგიკურია, რომ თავად მოსამართლეებმა დაადგინონ მათი დისციპლინური წარმოების მნიშვნელოვანი დეტალები. ამ კუთხით მიზანშეწონილია, რომ არსებობდეს თავად მოსამართლეთა მიერ შეთანხმებული წესები და პროცედურები.

### **ხარვეზები საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის საქმიანობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებში:**

1. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ასეთი ხარვეზები კანონში ნორმების დაზუსტებების ტექნიკურ მხარეს უკავშირდება და არავითარ შემთხვევაში პრიციპიალურ საკითხებს. ერთ-ერთი ხარვეზი უკავშირდება იმ საკითხს, რომელიც ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას ეხება. „ადვოკატთა შესახებ“, საქართველოს კანონ-

ნის 35-ე მუხლის მე-6 პუნქტი ამბობს, რომ ადვოკატს უფლება აქვს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია უზენაეს სასამართლოში. ნორმა არ აზუსტებს, უზენაესი სასამართლოს თუ რომელ პალატაში უნდა მოხდეს ამ გადაწყვეტილებათა გასაჩივრება. აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას სასამართლოს მიერ კანონის ლოგიკური ინტერპრეტაციის საფუძველზე: ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ განიხილება, რის მიზანშეწონილობაზეც უზენაესმა სასამართლომ გააკეთა სამართლებრივი განმარტება, რომელსაც საფუძველად დაუდო შემდეგი გარემოებანი: საქართველოს უზენაესი სასამართლოს პალატა, გარდა სადისციპლინო პალატისა, არის საკასაციო ინსტანციის სასამართლო, რომელიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით განიხილავს მის განსჯადობას მიკუთვნებულ საქმეებს, ახორციელებს ზედამხედველობას საერთო სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განხორციელებაზე. აღნიშნული რეგულაციიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც არ გადის საქმის განხილვის სასამართლო სამართალწარმოების ინსტანციურ და პროცესუალურ პროცედურებს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უზენაესი სასამართლოს რომელიმე საკასაციო პალატის ქვემდებარე საქმედ, გარდა სადისციპლინო პალატისა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს საკასაციო პალატას. გარდა ამისა, „ადვოკატთა შესახებ“ და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონები, რომლითაც ხელმძღვანელობას სადისციპლინო პალატა, განსაზღვრავს ადვოკატისთვის და მოსამართლისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის განხილვის და გადაწყვეტის იდენტურად მსგავს წესსა და პროცედურებს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის კომპეტენციას განეკუთვნება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე საჩივრების განხილვა. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებების კანონიერების შემოწმება და საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე

ზე საჩივრების განხილვა თვისობრივად მსგავსი ხასიათის იდენტურ დავებს წარმოადგენს. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, სადისციპლინო პალატას, სსსკ-ის მე-7 მუხლიდან გამომდინარე, წარმოეშობა უფლებამოსილება განიხილოს ადვოკატის სადისციპლინო სამართალწარმოების საქმე.

არსებული განმარტების მიუხედავად, ნორმის უზუსტობა დაინტერესებული მხარეებისთვის მაინც ქმნის გარკვეულ უხერხულობას. ამდენად, მიგვაჩნია, რომ კანონში უნდა მოხდეს კორექცია ნორმის დაზუსტების თვალსაზრისით და „ადვოკატა შესახებ“ და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონებში მიეთითოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანყვეტილებათა სადისციპლინო პალატაში გასაჩივრების თაობაზე.

2. მეორე საკანონმდებლო ხარვეზი ასევე ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისის მერ მიღებული გადანყვეტილებების სადისციპლინო პალატაში განხილვის ვადებს და თავისებურებებს ეხება. აღნიშნულ შემთხვევაში, კანონის ანალოგიით, სადისციპლინო პალატა ხელმძღვანელობს იმ ნორმებით, რომელიც დადგენილია „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მიერ. ვფიქრობთ, აქაც მიზანშეწონილი იქნება, თუ შემოღებული იქნება სპეციალური ნორმები, რომლებშიც კონკრეტულად იქნება რეგულირებული ამ ტიპის საჩივრების წარდგენის და განხილვის სამართლებრივი-პროცესუალური ნორმები. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საჩივრის ავტორებს სწორედ იმგვარი ტიპის გაუგებრობანი წარმოეშობათ, რაც საჩივრის წარდგენის ფორმულართან, შინაარსთან და სხვა რეკვიზიტებთან არის დაკავშირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ვთვლით, რომ ცვლილებები დამატებათა სახით შევიდეს შესაბამის კანონმდებლობაში.

### **სტატისტიკა:**

დასასრულს მოგახსენებთ იმ სტატისტიკას, რომელიც სადისციპლინო პალატის ბოლო ორი წლის საქმიანობას ასახავს: ამ დროის განმავლობაში პალატამ განიხილა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული 2 მოსამართლის საჩივარი. აქედან ერთზე სამართალწარმოება შეწყდა სამსხურიდან პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლების მოტივით, მეორე შემთხვევაში კი ძალაში იქნა დატოვებული იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოყენებული დისციპლინუ-



რი სახდელის უკიდურესი ღონისძიება – თანამდებობიდან გათავისუფლება თანამდებობიდან სამსახურებრივ მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო. ამ პერიოდის განმავლობაში პალატამ განიხილა ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გადანყვეტილებაზე შეტანილი 8 საჩივარი: ძალაში დარჩა ეთიკის კომისიის 7 გადანყვეტილება, რომელიც ითვალისწინებდა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ კანონის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევათა გამო 1 სარეკომანდაციო მიმართვას, 2 გაფრთხილებას, 4 უფლებამოსილების შეჩერებას სხვადასხვა ვადით. ეთიკის კომისიას უკან დაუბრუნდა 1 საქმე არასრულად გამოკვლეულ მტკიცებულებათა საფუძველით. ამჟამად სადისციპლინო პალატის წარმოებაშია ერთი საჩივარი, რომელიც ეხება ეთიკის კომისიის მიერ გაფრთხილების, როგორც სადისციპლინო სახდელის დაკისრებას.

# სამოსამართლო სწავლება და სასწავლო დანესიბუღებები

*ბერტ მანი*

*ზვოლე-ლელომტადის რაიონული სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე*

## 1. ზოგადი აღწერა

როდესაც ვსაუბრობთ სამოსამართლო სწავლებაზე უნდა განვასხვავოთ მოსამართლეთა სანყისი მომზადება (მოსამართლეობის კანდიდატების მომზადება) და მოსამართლეთა გადამზადება (მოქმედი მოსამართლეების მიუძღვი სწავლება და ტრეინინგი).

სწავლების ეს ორი ტიპი უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან, ვინაიდან ამ ორ შემთხვევაში ფუნქციები არის განსხვავებული, როგორც ეს დასახელებიდანაც ჩანს.

## 2. სანყისი მომზადება

იუსტიციის უმაღლეს სკოლას (ან ნებისმიერი სხვა დასახელების შესაბამის ორგანოს) შესაძლებელია ჰქონდეს სანყისი მომზადების ფუნქცია, თუმცა განსხვავება არის ამ ფუნქციის განხორციელების ფარგლებში.

ამ საკითხზე თითოეულ მიდგომას აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები. ჩემი აზრით, პოლიტიკური ორგანოების უფლებამოსილება სასამართლო სისტემასთან მიმართებით არის შეზღუდული, რაც გამომდინარეობს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპიდან და ეხება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, უფრო ზუსტად კი გულისხმობს ხელისუფლების სამ შტოს შორის – აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო – ფრთხილი ბალანსის არსებობას.

ა) ეს ხშირად გულისხმობს რომ მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევა არის აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენცია, თუმცა ასევე შესაძლებელია რომ იუსტიციის უმაღლეს სკოლას ჰქონდეს ეს ფუნქცია.

თუ ეს ასე იქნება, მაშინ საინტერესოა შემდეგი გარემოებები:

- პასუხისმგებლობა შედეგზე; პასუხისმგებლობა ორგანიზებაზე

ეს გულისხმობს რომ ზემდგომ ინსტანციებთან შეთანხმებით სკოლა ახდენს პროცესის ორგანიზებას, რაც მოიცავს მიღების გამოცხადებას, შერჩევას და მისაღები პროცედურების (ხშირ შემთხვევაში გამოცდის) ორგანიზებას.

- კრიტერიუმები გარდა ცოდნისა

გამოცდის უპირატესობა ის არის, რომ იგი ითვლება მიუკერძოებლად და ობიექტურად, სადაც გამოირიცხება ოჯახური კავშირებისა და ნაცნობობის როლი. თუმცა, ხშირად კრიტერიუმებით ფასდება ის თუ რა ცოდნას ფლობს კანდიდატი, რაც თავისთავად არ არის იმის გარანტია, რომ აღნიშნული კანდიდატი კარგი მოსამართლე გახდება. აქედან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთი ტესტების დამატებაზე, რომელიც საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვა უნარ-ჩვევები, მაგალითად პრეზენტაციისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი.

- მოსამართლის პიროვნული თვისებები

მოსამართლე უნდა იყოს პიროვნულად განონასწორებული, რომელსაც ასევე აქვს სხვისი პრობლემების გაგების უნარი. ეს მეტ-ნაკლებად თვალსაჩინო უნდა იყოს, ანუ უნდა გაირკვეს, თუ რა ტიპის პიროვნებად ყალიბდება ესა თუ ის კანდიდატი და იქნება თუ არა იგი შესაფერისი მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად.

- მოსამართლეობისა და პასუხისმგებლობისადმი დამოკიდებულება

მოსამართლეობა არ არის ადვილი პროფესია და აუცილებელია, რომ თითოეულ კანდიდატს საზოგადოებაში მოსამართლის როლის შესახებ ჰქონდეს სწორი შეხედულება: რომ მოსამართლე არის ძლიერი, ობიექტური, მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და მოტივირებული. ეს ასპექტებიც ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნას შერჩევის პროცესში.

ბ) ტრენინგი

- სასამართლოს სისტემის კუთვნილება

აუცილებელია რომ ზოდადად მოსამართლეთა კორპუსს ჩამოუყალიბდეს განცდა იმისა, რომ საწყისი მომზადების განმახორციელებელი ორგანიზაცია სისტემას აწვდის ისეთ კადრებს, რომლებიც არიან კარგი მოსამართლეები და სასამართლო კოლეგები

- დამოუკიდებელი შეფასება

კანდიდატების სამომავლო საქმიანობა გულისხმობს რომ მათი შეფასება (ძირითადად და გადამწყვეტად) უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლების ხელში.

- უნარ-ჩვევები

ტრენინგი უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სამართლებრივი ცოდნის მიცემას, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებასაც, როგორებიცაა წერის, გადანყვეტილებების მომზადების, გამოკითხვის და ა.შ.

- სპეციფიკური საკითხები (Capita Selecta)

ეს გულოსხმობს იმას რომ სწავლების პროცესში ჩვეულებრივ სამართლებრივ საკითხებთან ერთად ასევე შესაძლებელია ისწავლებოდეს სპეციფიკური საკითხები, როგორებიცაა კიბერდანაშაული, ფსიქიატრია, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მედიცინის სფეროს საკითხები.

- სტაჟირება სასამართლოში – პროცესის ზედამხედველობა

როდესაც მოსამართლეობის კანდიდატები იმყოფებიან სტაჟირებაზე, მათთვის შესაბამისი მოსამართლე ან პროკურორი უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რომელიც კანდიდატს აუხსნის სამუშაოს სპეციფიკას; ისინი გარკვეულწილად ასევე უნდა წარმოადგენდნენ კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, იმ შემთხვევაში თუ პრობლემები წარმოიშვა.

– **საბოლოო შედეგები**

- სასამართლო სისტემა უნდა იყოს კმაყოფილი იმით თუ როგორ ხდება კანდიდატების მომზადება.
- შედეგებთან დაკავშირებით შეფასება: სასამართლო სისტემამ ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სკოლას სასწავლო პროცესების შესახებ თავისი მოსაზრებების თაობაზე, რათა განხილულ იქნას გაუმჯობესების საშუალებები.
- შერჩევის პროცესის და/ან ტრენინგის დახვეწა/გაუმჯობესება. თუ შედეგები არადამაკმაყოფილებელია, უკმაყოფილების მიზეზის გათვალისწინებით, განხილულ უნდა იქნას სასწავლო პროგრამის გადახედვის საკითხი ან მეტი ყურადღება უნდა მიექცეს შერჩევის კრიტერიუმებსა და მათი გამოყენების საკითხს.

სასამართლო სისტემისადმი კუთვნილების შესანარჩუნებლად აუცილებელია სასწავლო დაწესებულების მუდმივი კონტაქტი შესაბამის გარემოსთან, რაც უნდა გამოიხატოს სასამართლოებისგან, მოსამართლეებისგან და პროკურორებისგან შეფასების მიღებაში.

### **3. მოსამართლეთა განგრძობადი სწავლება (გადამზადება)**

მოსამართლეებსა და პროკურორებს უნდა ჰქონდეთ განგრძობადი სწავლებისა და განათლების პროგრამა. გარესამყარო სწრაფად იცვლება; იგივე შეიძლება ითქვას კანონმდებლობასა და პრეცედენტულ სამართალზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. სწორედ ამით არის განპირობებული განგრძობადი სწავლების აუცილებლობა, რომლის ფარგლებშიც მოიაზრება:

- სიახლეების შესახებ ინფორმაცია: კანონმდებლობა და პრეცედენტული სამართალი, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ არსებული;
- სამართლის ახალი დარგები – სპეციალიზაცია (კიბერდანაშაული, კომპიუტერული კანონმდებლობა, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თაღლითობა ინტერნეტის მეშვეობით, ბულალტერია, სამენარმეო სამართალი, სასარგებლო წიაღისეულის საკითხების მარეგულირებელი კანონმდებლობა);
- ძირითადი კანონების ახალი ვერსიები – ახალი საპროცესო კანონმდებლობა, ახალი სამოქალაქო, ადმინისტრაციული ან სისხლის სამართლის კოდექსები;
- არასამოსამართლეო საკითხები: ქცევის წესები, კომუნიკაცია, მედიასთან ურთიერთობა, საგარეო ურთიერთობები, სასამართლოს მენეჯმენტი.

### **4. მოსამართლეთა ტრენინგის განმახორციელებელი დაწესებულებები**

ერთ-ერთი მთავარი ასპექტი არის სასამართლო სისტემისადმი კუთვნილება. მხოლოდ ისეთ შემთხვევაში იმუშავებს სათანადოდ ასეთი დაწესებულება და ექნება ავტორიტეტი, რომ იყოს პროფესიული ტრენინგისა და განათლების მთავარი მიმწოდებელი, როდესაც სასამართლო სისტემაში არსებობს ნდობა ამ ორგანიზაციისა და მისი ტრენინგთა კორპუსის მიმართ.

ეს ასევე უნდა აისახებოდეს სტრუქტურაში, მათ შორის იმაშიც თუ როგორ ხდება ამ უწყებაში თანამდებობებზე დანიშვნა (დირექტორი, სასწავლო განყოფილებების უფროსები, საზედამხედველო საბჭო, მენეჯმენტის საბჭო).

ეს ასევე გულისხმობს, რომ სამოსამართლო სწავლება ცალკე დარგია. ეს არ არის ის საქმე რომელსაც უნდა ასრულებდეს უნივერსიტეტი ან რომელიმე სხვა სასწავლო დაწესებულება. ასევე, აღნიშნული ორგანიზაცია არ უნდა ფუნქციონირებდეს განათლების სამინისტროს ქოლგის ქვეშ.

თუმცა შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ფორმით: როგორც იუსტიციის სამინისტროს ცალკე დეპარტამენტი, უზენაესი სასამართლოს ან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში.

ასევე შესაძლებელია არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც დაკომპლექტებულია სასამართლო ხელისუფლების მიერ.

ამ დანესებულებას უნდა შეეძლოს რომ განავითაროს აუცილებელი თანამშრომლობა და კარგი ურთიერთობები შესაბამის წრეებში:

- სამართლის სფეროში – ურთიერთობები უნივერსიტეტებთან; სასწავლო დანესებულებებთან (როგორც კერძო, ისე საჯარო)
- მართლმსაჯულებასთან დაახლოებულ სფეროებში – ურთიერთობები სპეციალიზირებულ დანესებულებებთან, ჟურნალისტიკებთან, ბუღალტრებთან, იურისტებთან, მენეჯერებთან
- მეთოდოლოგია: ურთიერთობები ან ტრენინგის ექსპერტების/ახალი მეთოდოლოგიების გამოყენება
- უახლესი მიღწევები: e-learning, დისტანციური სწავლება, ვიდეო კონფერენციები/სწავლება

## **5. საერთაშორისო თანამშრომლობა**

უახლესი წარსული გვიჩვენებს რომ სასარგებლოა საზღვარგარეთ არსებულ მსგავს ორგანიზაციებთან იდეებისა და გამოცდილების გაზიარება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროპული სამოსამართლო სასწავლო დანესებულებების ქსელი.

ეს ორგანიზაცია თავდაპირველად იყოს ევროპის საბჭოს სტრუქტურაში, მოგვიანებით CEPEJ-ის შემადგონლობაში, ხოლო ახლა იგი არის ევროკავშირის სტრუქტურაში.

მას მყარად უჭერს მხარს ევროპის იუსტიციის საბჭოების ქსელი ([www.enjc.eu](http://www.enjc.eu))

და ბოლოს, გამოცდილება აჩვენებს, რომ ვიზიტები საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სასამართლოებში არის სასარგებლო (სტრასბურგი, ლუქსემბურგი, ჰააგა). გარდა ამისა, ხანდახან ე.წ. ტვინინგი კარგად მუშაობს.

## სექცია 2 A

### თემა: სამოსამართლო სწავლება და სასწავლო დანუსებულებები

*მომხსენებელი: თამარ ზამბახიძე*

*თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე  
იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი*

### **იუსტიციის უმაღლესი სკოლის პრიორიტეტული მიმართულებები (რეალობა და პერსპექტივა)**

ქვეყანაში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი ქვაკუთხედი მოსამართლეთა ახალი კვალიფიციური კადრების აღზრდა, ასევე მოქმედი მოსამართლეების უწყვეტი მომზადება და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა.

როგორც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის №R(94) 12 რეკომენდაციის განმარტებით ბარათშია აღნიშნული, არ არის აუცილებელი, რომ მოსამართლეობის კანდიდატი ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებდეს შერჩევის სტადიაზე, ვინაიდან მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს დატრენინგება როგორც თანამდებობაზე დანიშვნამდე, ასევე ამის შემდეგაც.

სამოსამართლო ქცევის ბანგალორის პრინციპების თანახმად, კომპეტენცენტურობა სასამართლო მოვალეობის ჯეროვანი შესრულების წინაპირობაა (პრინციპი 6).

იუსტიციის უმაღლესი სკოლის პრიორიტეტული მიმართულებები მოკლედ შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- სათანადო შედეგების მისაღწევად მიზანშეწონილია სკოლაში სწავლების ვადის გაზრდა და სწავლების ხანგრძლივობის საკითხზე ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება. იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ კანონის ამჟამინდელი რეგულაციით სკოლაში სწავლების ხანგრძლივობაა 10 თვე. იუსტიციის მსმენელისათვის, რომელსაც აქვს საქარ-

თველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, საერთო სასამართლოს აპარატის ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელად, მოსამართლის თანაშემწედ, სასამართლო სხდომის მდივნად, გამომძიებლად, პროკურორად ან/და ადვოკატად მუშაობის არანაკლებ 10 წლის გამოცდილება, სრული სასწავლო კურსის ვადაა 6 თვე (მუხლი 19, პუნქტები 1, 2). მიგვაჩნია, რომ მითითებული ვადები არ არის გონივრული. მომზადებულია კანონპროექტი, რომლითაც სწავლების ვადების თვალსაზრისით დღეს არსებულ მსმენელთა სხვადასხვა კატეგორიის ნაცვლად იარსებებს იუსტიციის მსმენელთა ერთი კატეგორია და ერთიანი ვადა. 10 თვიანი ვადა შეიცვლება 15 თვიანი პერიოდით. სწავლის გაზრდილი ვადები ძირითადად წარიმართება სტაჟირების კომპონენტის გაძლიერებაზე.

თეორიული სწავლება, სემინარული მუშაობა, შემდეგ კი სამოსამართლო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე იუსტიციის მსმენელთა სათანადო მომზადება ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. წარმოდგენილი ინიციატივა ეყრდნობა ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს და სამოსამართლო სწავლების შესახებ ევროპის ქვეყნების გამოცდილებას, რომელიც ცხადყოფს, რომ კანდიდატთა სწავლების პერიოდი მეტწილად მერყეობს 14 თვიდან 24 თვემდე.

- უნდა დაიხვეწოს სკოლაში მსმენელების მიღების სისტემა. შეფასების კრიტერიუმები, ასევე მათ მიხედვით შეფასება უნდა გახდეს უფრო გასაგები და გამჭვირვალე.
- სრულყოფას საჭიროებს იუსტიციის მსმენელთა საბოლოო შეფასების სისტემა. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ამ კუთხით სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს როლის გაზრდა.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, სკოლაში სწავლების დამამთავრებელი გამოცდის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში სკოლის დირექტორი დამოუკიდებელ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიას (მუხლი 29). მოსამართლეობის კანდიდატის შერჩევისას მხედველობაში მიიღება იუსტიციის მსმენელის რიგითი ნომერი საკვალიფიკაციო სიაში, აგრეთვე დამოუკიდებელი საბჭოს შეფასება (მუხ. 31). ამდენად, დამოუკიდებელი საბჭო მონაწილეობას ღებულობს საკვალიფიკაციო სიის დამტკიცებასა და შეფასებაში,



მაშინ როდესაც უშუალოდ კომპონენტების დაგროვების დროს შეფასების პროცესს ჩამოშორებულია.

მკაფიოდ უნდა განისაზღვროს იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი და სწავლების პროცესში მის მიერ გამოვლენილი უნარების შესახებ ინფორმაციის მიღების სისტემა. უნდა გაიწეროს, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სკოლის დამოუკიდებელი საბჭო როგორ ადგენს იუსტიციის მსმენელის საბოლოო შეფასების ფორმას, ანუ ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს იუსტიციის მსმენელის მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ფაქტიური მონაცემები და სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს საბოლოო შეფასება.

აღნიშნული პრობლემის დასაძლევად აუცილებელია ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც სტაჟირების დროს მოხდება დავალებების მიცემა და შეფასება. უნდა ჩამოყალიბდეს შესასრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი და შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები.

- დეტალურ რეგლამენტაციას საჭიროებს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამამთავრებელი საგამოცდო კომისიის და საპრეტენზიო კომისიების ფორმირების ვადები და საქმიანობის წესი. კერძოდ, უნდა დადგინდეს კომისიის დაკომპლექტების ვადა, ასევე საგამოცდო და საპრეტენზიო კომისიების მუშაობის და ორგანიზაციული უზრუნველყოფის წესები. კიდევ უფრო დაიხვეწოს საპრეტენზიო განცხადებების წარდგენის და მასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების რეგულაცია.
- დასახვეწია მოსამართლეთა გადამზადების პროგრამის შემუშავებასა და გადამზადების პროგრამაში მონაწილეობის პროცედურების საკანონმდებლო რეგულაცია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის შესახებ კანონის ამჟამინდელი რედაქციით, გადამზადების პროგრამის შედგენისას სკოლა რეკომენდაციისათვის მიმართავს პირველი ინსტანციის, სააპელაციო ინსტანციის და საკასაციო ინსტანციის სასამართლოების თავმჯდომარეებს (მუხლი 33, პუნქტი 5). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად კანონის ამგვარი ფორმულირებისა, იუსტიციის სკოლაში დამკვიდრებული იყო პრაქტიკა, რომ გადამზადების პროგრამის ფორმირებისას ხდებოდა მოსამართლეთა წინადადებების გათვალისწინება. შესაბამისად, სწორედ სწორ პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით უნდა დაიხვეწოს ნორმატიული რეგულაცია. მომზადებულია შესაბამისი კანონპროექტი.

ყველა მოქმედ მოსამართლეს შესაძლებლობა მიეცემა სკოლისათვის რეკომენდაციების წარდგენის გზით, უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა გადამზადების პროგრამის შედგენაში. მოსამართლეს შეეძლება ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღოს მონაწილეობა სკოლის მიერ დაგეგმილ გადამზადების ღონისძიებებში და მკაფიოდ განისაზღვრება ის საფუძვლები (შესაბამისი რესურსების არ არსებობა), რომელთა არსებობის შემთხვევაშიც შეიძლება ეთქვას უარი მოსამართლეს გადამზადების ღონისძიებაში მონაწილეობაზე.

ასეთი ნორმატიული რეგლამენტაცია შესაბამისობაში იქნება სამოსამართლო ქცევის ბანგალორის 6.3. პრინციპთან, რომელიც აქცენტს მოსამართლეებისათვის ხელმისაწვდომ და სამოსამართლო კონტროლს დაქვემდებარებულ ტრენინგებზე აკეთებს.

- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა შერჩევის საკითხს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მასწავლებლის მონვევისას ინდივიდუალურად და დეტალურად უნდა შეფასდეს მისი კვალიფიციურობა, გამოცდილება და ისე გადაწყდეს საკითხი.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარეობს იუსტიციის სკოლის სტრუქტურის სრულყოფა, რაც გაზრდის სკოლის საქმიანობის ეფექტურობას. შეიქმნა სკოლის ახალი სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციები მკაფიოდ და ახლებურად გადანაწილდა. სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა დონორ ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტი. თითოეულ თანამშრომელს გააჩნია სამუშაო აღწერილობა (ფუნქციების აღწერა), რაც გაზრდის სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელების ეფექტურობას.
- სასწავლო პროცესის ეფექტურობის გაზრდის მიზნით იგეგმება მსმენელთა, მოსამართლეთა და სასამართლოს თანამშრომელთა პორტალის შექმნა, სკოლის IT ინფრასტრუქტურის განვითარება.
- ასევე იგეგმება სკოლის მომხმარებელთა სეგმენტის გაზრდა, სკოლის სერვისების განვითარება. მაგალითად, ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისათვის.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის ეფექტური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია სკოლის საჭიროებების დეტალური ანალიზი და საქმიანობის

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

ეტაპების სათანადოდ განერა – სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის შემუშავება. აღნიშნული უზრუნველყოფს კონსტრუქციულ ნაბიჯებს და მიზნების მიღწევადობას.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი სკოლის წარმატებული საქმიანობის სა-  
ნინდარი პროცესების გამჭვირვალობა და სკოლის საქმიანობის შესახებ სა-  
ზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდაა.

# სამართალმცოდნეობის კონფერენცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია“

*მომხსენებელი: საქსონიის მხარის მართლმსაჯულების წარმომადგენელი, დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე ქ-ნი ასტრიდ ფლური*

*თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი  
თბილისი, შერატონ მეტეხი პალასი*

სამართლებრივ სახელმწიფოში მართლმსაჯულების უმთავრესი ამოცანა ეფექტიანი უფლების დაცვის უზრუნველყოფაა. აღნიშნული მოიაზრებს და მოიცავს მოსამართლეების მიერ ობიექტურად და მიუკერძოებლად, ასევე ყველანაირი ზეგავლენის გარეშე გადანყვეტილების მიღების შესაძლებლობას. ამისათვის აუცილებელია მოსამართლის დამოუკიდებლობის ისეთი გარანტიების არსებობა, როგორცაა, სამოსამართლო საქმიანობისათვის მხოლოდ სამართლისა და კანონის სავალდებულოების განსაზღვრა, რაც წარმოადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტს, მის ფუნდამენტს. ასეთი გარანტიები, ჩვეულებრივ, კონსტიტუციაში აისახება. მაგალითად, გერმანიის კონსტიტუციაში წერია: *მოსამართლე დამოუკიდებელია და ექვემდებარება მხოლოდ კანონს*. თუმცა, მხოლოდ კონსტიტუციური გარანტია არ არის საკმარისი. რისი მაქნისია კონსტიტუციური ჩანაწერი, თუ ცალკეულ მოსამართლეს რეალობაში, მის ყოველდღიურობაში არ აქვს შესაძლებლობა დაიცვას და განახორციელოს თავისი დამოუკიდებლობა? ამისათვის მას ხელთ უნდა ჰქონდეს მექანიზმები, საშუალებები, რომელთა დახმარებითაც ეფექტურ წინააღმდეგობას გაუწევს და თავიდან აიცილებს თავის სამოსამართლო საქმიანობაზე ნებისმიერი სახის ზეგავლენის მოხდენის მცდელობას.

მოსამართლეს სხვადასხვა მხრიდან შეიძლება ემუქრებოდეს მის საქმიანობაში ჩარევის საფრთხე, რომლისაგან თავის დაცვაში მას ხშირად მაინც უპირველესად თავისი მტკიცე ხასიათი გამოადგება. აქ განსაკუთრებით

ისეთი შემთხვევები მოიაზრება, როგორცაა, მოქრთამვის მცდელობა ან თუნდაც მედიის მიერ შექმნილი საზოგადოებრივი განწყობა და მოლოდინი, რომელიც მოსამართლეს ურთულებს ამ მოლოდინისა თუ შეხედულების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მას აქცევს მძაფრი საზოგადოებრივი კრიტიკის ობიექტად და ა.შ.

ხოლო თუ გავითვალისწინებთ მართლმსაჯულების სფეროშივე მოსამართლის საქმიანობაზე ზემოქმედების საფრთხეს, კერძოდ მისი (უშუალო) ხელმძღვანელის ან კოლეგის მიერ, მიზანშეწონილი იქნება ისეთი მექანიზმების არსებობა, რომლის მეშვეობითაც მოსამართლე კონკრეტულ შემთხვევებში შეძლებს თავისი უფლებების ეფექტურ დაცვა-განხორციელებას. ჩემს მოხსენებაში მინდა სწორედ ასეთი მექანიზმი წარმოგიდგინოთ, რომელიც მოქმედებს გერმანიაში და ჩემი აზრით წარმატებულად უზრუნველყოფს ზეგავლენისა და ჩარევებისაგან მოსამართლის საქმიანობის, მისი დამოუკიდებლობის ეფექტურ დაცვას.

გერმანიის კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლების დაცვის სხვადასხვა წარმოებას მოსამართლისთვის, იმისდა მიხედვით, თუ რა სახის ღონისძიებას უპირისპირდება მოსამართლე. საფუძველს მოსამართლის დაცვისა, წარმოადგენს გერმანიის კანონი მოსამართლეთა შესახებ, რომელიც შეიცავს შემდეგ ჩანაწერს: *იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე აცხადებს (მიუთითებს), რომ სასამართლოს ადმინისტრაციის (სამსახურეობრივი ზედამხედველობის) მიერ მიღებული ღონისძიება ზღუდავს მის დამოუკიდებლობას, მაშინ მისივე განაცხადის საფუძველზე აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო წინამდებარე კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.* ასეთ საქმეებზე განსჯადია სამოსამართლო სასამართლო, რომლებიც იქმნება როგორც თითოეულ მხარეში, ისევე ფედერაციის რგოლშიც. ეს სამოსამართლო სასამართლოები დაკომპლექტებულია სიცოცხლის ვადით (ქართ.: უვადოდ) გამწესებული, სხვადასხვა შტოების სასამართლოების მოსამართლეებით. სასამართლოს განსჯადობაში შემავალი საკითხები გათვალისწინებულია ამომწურავი ჩამონათვალით (კატალოგი), რომელთა შორის ასევე გათვალისწინებულია სასამართლოს ადმინისტრაციის (სამსახურეობრივი ზედამხედველობის) ღონისძიების გასაჩივრებაც, რომლებიც შეიძლება ზღუდავდეს მოსამართლის დამოუკიდებლობას.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ძალზედ ფართოდ განიმარტება სამსახურეობრივი ზედამხედველობის (ორგანოს, ერთეულის) ცნება, რათა მაქსიმალ-

ლურად ეფექტურად მოხდეს უფლების დაცვის უზრუნველყოფა. ამრიგად, საუბარია სამსახურეობრივი ზედამხედველობის ერთეულის მხრიდან ნებისმიერი სახისა თუ ხარისხის ზეგავლენაზე, რომელიც თუნდაც ირიბად მაინც ეხება მოსამართლის საქმიანობას. თუმცა, ამისათვის სახეზე უნდა იყოს სამსახურეობრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი სამსახურის (თუ პირის) ერთი კონკრეტული მოსამართლის ან მოსამართლეთა კონკრეტული (განსაზღვრულ) ჯგუფისადმი მიმართული ღონისძიება ან ქმედება. აღნიშნული (ქმედება) მოიაზრებს როგორც მოქმედებას და უმოქმედობას, ისევე აზრის გამოხატვას, რომელიც საბოლოო ჯამში ემსახურება მოსამართლის სამსახურეობრივი თუ არასამსახურეობრივი ქმედების გაკრიტიკებას და იმავდროულად გამოხატავს მოლოდინს, მომავალში ამ მოსამართლის (მოსამართლეთა) მხრიდან ადგილი აღარ ჰქონდეს ასეთ ქმედებას. ეს შეიძლება მაგალითად იყოს მოსამართლისადმი მიმართული შეფასებითი გამონთქვამები მის საქმიანობასთან დაკავშირებით ან მისი საქმიანობის წერილობითი შეფასება, ასევე სამინისტროს წერილი, რომელშიც გაკრიტიკებულია მოსამართლე, ან უარყოფითად არის შეფასებული მისი საქმიანობა; ეს შეიძლება ასევე იყოს იუსტიციის მინისტრის (როგორც სასამართლო სისტემის ორგანიზაციული ზედამხედველის) მოსაზრება მის ორგანისაციულ დაქვემდებარებაში მყოფი სასამართლოს მოსამართლის კონკრეტულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც გაჟღერდება პრესის ან/და მედიის საშუალებით და ა.შ.

სამოსამართლეო სასამართლოსადმი მიმართვას, როგორც წესი, წინ უსწრებს წარმოება, რომლის ფარგლებშიც სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანო თავად განიხილავს გასაჩივრებულ ქმედებას და ამოწმებს მის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. აღნიშნული ქმნის შესაძლებლობას, პირველ ეტაპზე სასამართლოს გარეშე სცადონ მოსამართლემ და ადმინისტრაციამ ერთობლივად პრობლემის მოგვარება, რაც არა მხოლოდ სასამართლოს განტვირთვას ემსახურება, არამედ კონფლიქტის მესამე უწყების ჩაურევლად მოგვარების შესაძლებლობის გათვალისწინებით ცდილობს, ნაკლებად დაძაბოს და დატვირთოს ურთიერთობა მხარეებს შორის, რომელთაც უწევთ და მომავალშიც მოუწევთ თანამშრომლობა. აღნიშნული წინასწარი წარმოება იხსნება მოსამართლის მიერ სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანოში განცხადების, საჩივრის წარდგენით. სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანო განიხილავს საჩივარს და აკმაყოფილებს მას (ანუ – აუქმებს ღონისძიებას) ან საქმეს გადასცემს თავის ზემდგომ ორგანოს. თუ

არც ზემდგომი ორგანო არ აკმაყოფილებს მოსამართლის საჩივარს, მაშინ მას უკვე შეუძლია მიმართოს ზემოთხსენებულ სამოსამართლეო სასამართლოს.

იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოსამართლის განცხადებას მიიჩნევს დასაშვებად და დასაბუთებულად, მას გამოაქვს აღიარებითი გადაწყვეტილება სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანოს გასაჩივრებული ღონისძიების დაუშვებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, სამოსამართლეო სასამართლოს შემონმების მასშტაბია მხოლოდ იმის განხილვა და შეფასება, აქვს თუ არა შემხებლობა გასაჩივრებულ ღონისძიებას მოსამართლის დამოუკიდებლობასთან. ამრიგად, სასამართლო არ იღებს გადაწყვეტილებას იმაზე, შეესაბამება თუ არა გასაჩივრებული ღონისძიება ზოგადად კანონმდებლობის მოთხოვნებს, ეფუძნება თუ არა იგი გარემოებათა სრულყოფილ გამოკვლევასა და შესწავლას და სწორდად მოხდა თუ არა მათი შეფასება. მაგალითად, თუ სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანო მოსამართლეს მიუთითებს, რომ იგი ხშირად არ იცავს კანონით დადგენილ ვადებს, სამოსამართლეო სასამართლო იმსჯელებს და გადაწყვეტილებას მიიღებს მხოლოდ იმაზე, ირღვევა ან იზღუდება თუ არა ამგვარი მითითებით მოსამართლის დამოუკიდებლობა. სასამართლო არ არის დაკავებული იმის შემონმებით და განხილვით, მართებულია თუ არა მითითება შინაასრობრივად, ანუ მართლაც აცილებს თუ არა მოსამართლე ვადებს.

სამოსამართლეო სასამართლოში მიმდინარე წარმოების აღნიშნული „ხარვეზები“ აღმოფხვრილია ადმინისტრაციული სასამართლოსადმი მიმართვის (და სამოსამართლეო სასამართლოს მიერ განუხილველი საკითხების განხილვის) ზოგადი შესაძლებლობა, რომელიც, ბუნებრივია, ასევე ვრცელდება სამსახურეობრივი ზედამხედველობის ორგანოს ღონისძიებებზეც. ამ გზით მოსამართლეს შეუძლია მოახდინოს ისეთი ღონისძიებების სრული (შინაარსობრივი) შემონმების ინიცირება, რომლებიც ეხება მის სამოსამართლო (პროფესიულ) საქმიანობას და რომლებიც არ შედის ზემოთხსენებული სამოსამართლეო სასამართლოს კომპეტენციებში.

თუმცა, აქაც, როგორც წესი, ჩართულია წინასწარი წარმოება ზემოთ წარმოდგენილი სქემის მსგავსად. ამ წარმოების შემდეგ ადმინისტრაციულ სასამართლოში აღძრული სარჩელი კი შესაძლებელია მიმართული იყოს ღონისძიების გაუქმებაზე ან მის მართლსაწინააღმდეგოდ აღიარებაზე, გამომდინარე იქედან, თუ რა სახის ღონისძიებაზეა საუბარი.

ადმინისტრაციული სასამართლოს საქმიანობას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. კონკურენტთა სარჩელების შემთხვევაში. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ გერმანიაში მოსამართლეები ხელფასის მიხედვით ნაწილდებიან კანონით დადგენილ სახელფასო კალათებში. ის, თუ რომელ კალათაშია მოსამართლე, დამოკიდებულია მის კონკრეტულ საქმიანობასა და ფუნქციებზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალ რგოლში მუშაობს მოსამართლე, მით უფრო მაღალია მისი ხელფასიც. როდესაც მოსამართლეს განაცხადი შეაქვს გამოცხადებულ (უფრო მაღალი შემოსავლის) მოსამართლის ვაკანსიაზე, რომელზეც მოხდება სხვა მოსამართლის აყვანა, მას შეუძლია მიმართოს ადმინისტრაციულ სასამართლოს, რომელიც მისი განცხადების საფუძველზე ამონმებს, კონკურსის ფარგლებში რამდენად იყო დაცული გერმანიაში მოქმედი საუკეთესო კანდიდატის შერჩევის პრინციპი და აქედან გამომდინარე, რამდენად მართლზომიერია კონკურსის შედეგი. ვინაიდან აღნიშნული შესარჩევი პროცედურის ფარგლებში გადანყვეტილებები უმთავრესად მიიღება მოსამართლის შეფასების საფუძველზე, არსებობს იმის მოთხოვნილება და ინტერესი, რომ თვითონ ეს შეფასებაც ექვემდებარებოდეს გასაჩივრებას. აღნიშნული გერმანიაში შესაძლებელია როგორც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების გზით, ისე სამოსამართლეო სასამართლოსადმი მიმართვის გზითაც. ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადობას ასევე ექვემდებარება სასამართლოში საქმეთა განაწილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, რომლებიც გერმანიაში სასამართლოს ე.წ. პრეზიდენტის (კოლეგიური ორგანო) კომპეტენციას განეკუთვნება. თუ მოსამართლე მიიჩნევს, რომ საქმეთა განაწილებისას დარღვეული მისი უფლებები, ვინაიდან მას, მაგალითად, ძალიან ბევრი საქმე აქვს განსახილველი ან საერთოდ არ აწერია არც ერთი საქმე, შეუძლია ადმინისტრაციულ სასამართლოში მოითხოვოს ასეთი განაწილების მართლწინააღმდეგობის აღიარება.

ბოლოს, ასევე მინდა ვახსენო ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო და მისთვის ინდივიდუალური საჩივრით მიმართვის შესაძლებლობა: თუ ცალკეულ შემთხვევაში ივარაუდება კონსტიტუციით გარანტირებული მოსამართლის დამოუკიდებლობის შელახვა, მოსამართლეს შეუძლია შეუძლია ინდივიდუალური კონსტიტუციური საჩივრით მიმართოს ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს. აღნიშნული უფლების დაცვის საშუალება გამოიყენება ნებისმიერი ხელისუფლების, ანუ, საკანონმდებლო ხელისუფ-



ლების წინააღმდეგაც, როდესაც განხილვის საგანია საკანონმდებლო საქმიანობა და მისი შემხებლობა მოსამართლის დამოუკიდებლობასთან. (აულ ეს იყო გერმანიის პრაქტიკასთან დაკავშირებით).

უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის საქმიანობის დაუშვებელი ზეგავლენისაგან დაცვის სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა ეფექტური და წარმატებულია მაშინ, როდესაც აქტიურად ხდება მათი გამოყენება პრაქტიკაში. ანუ, აუცილებელია მათი გაცოცხლება. ამით, ბუნებრივია, არ მსურს იმის თქმა, რომ ნებისმიერ წვრილმანზე უნდა მიემართოს სასამართლოს; აღნიშნული დაამძიმებდა განწყობასა და სიტუაციას სისტემაში და მოითხოვდა დიდ რესურსს, რომელიც სხვა საკითხების მოგვარებასაც არანაკლებ სჭირდება. გარდა ამისა, მუდმივად საკუთარი პრობლემებითა და დავებით დაკავებული მართლმსაჯულების გარშემო შეიქმნებოდა უარყოფითი დამოკიდებულება, რეპუტაცია. მეორე მხრივ კი, თუკი არავინ „გაბედავს“ თავისი დამოუკიდებლობის დაცვას, ეს საბოლოოდ გამოიწვევს რეპრესიული სისტემის ჩამოყალიბებას, სადაც ის ერთი ან ორი მოსამართლე, რომელიც გამოიყენებს უფლების დაცვის ამ გზას, მიჩნეულ იქნება „მეამბოხედ“, „ნორმის დამრღვევად“ („მტრაიკბრეხერად“) და მართლმსაჯულების ხელისშემშლელ ფაქტორად, რომლის მიმართაც დამოკიდებულებაც შესაბამისი იქნება. ასეთ შემთხვევაში, ნორმატიულად უზრუნველყოფილი უფლების დაცვის მექანიზმები დარჩება, როგორც ბლაგვი, გამოუყენებელი იარაღი (მახვილი). ამიტომაც ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეებმა მიიღონ და აითვისონ უფლების დაცვის ზემოთხსენებული ინსტრუმენტები და საჭიროების შემთხვევაში, ანუ, როდესაც საქმე ეხება უზენაესი უფლებისა და პრინციპების დაცვას, აქტიურად გამოიყენონ იგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ ამ საშუალების გამოყენება და განხორციელება უნდა შეფასდეს დიდი პატივისცემითა და მორალური მხარდაჭერით. დამოუკიდებლობის დაცვა და საკუთარი პასუხისმგებლობის ბოლომდე გაცნობიერება თითოეული და ყველა მოსამართლის მოწოდებაა. თუ ეს ასეა, დაცულია არა მხოლოდ ცალკეული მოსამართლის უფლებები, არამედ ძლიერდება ზოგადად მოსამართლეთა კორპუსი, მათი თვითშეგნება და (კოლექტიური) დამოუკიდებლობა. ვინაიდან მხოლოდ ის ფაქტი, რომ არსებობს უფლების დაცვის საშუალება, რომელიც გარდა არსებობისა აქტიურ გამოყენებასაც პოვებს, მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსამართლის საქმიანობაზე ზეგავლენის მცდელობებს. სამსახურეობრივი ზედამხედველობის

ორგანო მომავალში კარგად დაფიქრდება და ანონ-დანონის, კარგად „ჩააბარებს“ მისი ქმედება სამოსამართლო სასამართლოში განხილვის პროცესს, თუ მოუწევს იმის მოსმენა, რომ მან თავისი ქმედებით შეზღუდა მოსამართლის დამოუკიდებლობა (გერმანიაში ასეთი გადაწყვეტილება ფაქტიურად „სასიკვდილო განაჩენს“ უდრის). აღნიშნული კი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ნებისმიერი გამართული სამართლებრივი სახელმწიფოს მიზანს: მინიმუმამდე დაიყვანოს და აღმოფხვრას მოსამართლის საქმიანობაზე ნებისმიერი სახის ზემოქმედება.

# სასამართლო სისტემა და გენდერული საკითხები

## გერმანული გამოცდილება და საერთაშორისო პერსპექტივა

*ულრიკე შულცი*

გერმანიაში ქალი მოსამართლედ პირველად 1926 წელს დაინიშნა, მაგრამ ათწლეულები გავიდა სანამ ქალების რიცხვი ამ პოზიციაზე მნიშვნელოვნად გაიზარდებოდა. 1970 წელს ქალი მოსამართლეები მოსამართლეთა რაოდენობის მხოლოდ 6 % შეადგენდნენ. ქალ მოსამართლეთა რიცხვის ზრდა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო იურიდიულ სფეროში განათლების მიღების მსურველ ქალთა რაოდენობის ზრდის პროპორციულად. ბოლო ათი წლის განმავლობაში იურიდიულ განათლებას უფრო მეტი ქალი იღებს ვიდრე მამაკაცი (54% 2012 წელს), ქალ მოსამართლეთა რაოდენობა 40%-მდე გაიზარდა (8.000 ქალი მოსამართლე 20.500 მოსამართლიდან), ქალ სახელმწიფო ბრალმძებელთა რიცხვი კი 42%-დე (2.200 ქალი 5.200-დან). ყოველიურად მათ კიდევ 50%-ზე მეტი ემატება, რაც ნიშნავს, რომ ამ სფეროში ქალთა რიცხვი ზრდას გააგრძელებს. იურისტი ქალების ძირითადი ნაწილი იურიდიულ სფეროში მუშაობს (51.600 ქალი 158.000-დან), მაგრამ მათი წილი მხოლოდ 33%-ს შეადგენს (2012 და 2011 წლის დამრგვალებული მონაცემები).

ქალებს სასამართლო სისტემაში მუშაობა ურჩევნიათ, მაგრამ ამისათვის საკვალიფიკაციო გამოცდებში მაღალი ნიშნების მიღებაა საჭირო. სასამართლო სისტემაში მუშაობა, მაღალი სტატუსის და პრესტიჟის მომტანია, თუმცა უკვე იყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ სასამართლო სისტემის ფემინიზაციამ შეიძლება მისი პრესტიჟი დააზარალოს. შემოსავლის თვალსაზრისით დისკრიმინაცია არ არსებობს. სასამართლო სისტემა უსაფრთხო პოზიციებს სთავაზობს ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს. გერმანელი მოსამართლეები პროფესიონალი მოსამართლეები არიან, რომლებიც მუშაობას 26-29 წლის ასაკიდან იწყებენ. სასამართლო სისტემა უზრუნველყოფს საჯარო მოხელეების სოციალურ დაცვას, კარგ საპენსიო სქემას, დეკრეტულ და სასწავლო

შვებულებას, ნახევარ განაკვეთზე მუშაობის შესაძლებლობას და ნორმალურ სამუშაო დატვირთვას.

მაგრამ კარიერული პერსპექტივები ქალებისთვის ნაკლებ ხელსაყრელია ვიდრე კაცებისთვის. მიუხედავად ლიდერების მტკიცებისა, რომ იურიდიულ სფეროში მოღვაწე ქალთა რიცხვის მზარდი ტენდენციის შედეგად წამყვან პოზიციებზე ქალთა რაოდენობა კაცების რაოდენობას გაუთანაბრდება, ქალები კარიერულ კიბეზე უფრო ნელა მიიწევენ წინ მათ მამაკაც კოლეგებთან შედარებით. არსებობს ე.წ. „მინის ჭერის“ ეფექტი. ქალების უმეტესი ნაწილი პირველი ინსტანციის ადგილობრივ სასამართლოებშია თავმოყრილი (ჩვეულებრივი სასამართლოების 68%. მათი რიცხვი ყველა იურისდიქციაში, სააპელაციო სასამართლოების პოზიციებზე მათ საერთო რაოდენობასთან, ასაკთან და სამუშაო სტაჟთან შედარებით ძალიან დაბალია. გერმანიის უდიდეს ფედერალურ შტატში ნორთრინე-ვესტფალიაში (Northrhine-Westfalia), სადაც იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით სასამართლო სისტემაში ქალების მხრივ არსებული მდგომარეობა გამოვიკვლიეთ, აღმოჩნდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში პრეზიდენტად მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის ქალები მუშაობენ. ასევე ძალიან მცირედ გაიზარდა იმ ქალბატონთა რიცხვი, რომელთაც ვიცე პრეზიდენტის და დირექტორის პოზიცია უკავიათ (ადგილობრივი პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელმძღვანელი) ბოლო ათი წლის განმავლობაში. მონაცემების ნახვა შესაძლებელია თანაბარი შესაძლებლობების გეგმებში, რომლის რედაქტირება სასამართლოებს რეგულარულად უწევთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სააპელაციო სასამართლოებს მაინც ჰყავთ ქალი პრეზიდენტები: საერთო სასამართლოებში 3-დან 1 და შრომითი დავების განმხილველ სააპელაციო სასამართლოებში 3-დან 2. ადმინისტრაციული სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი ქალია (მანამდე ის სოციალური სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი იყო). მაგრამ ეს პირველი მერცხლები გაზაფხულს ვერ მოიყვანენ. ეს ვირტუალურ ფემინურობას წააგავს. პალატის ხელმძღვანელის თანამდებობზე მომუშავე ქალბატონების რიცხვი შესამჩნევად დაბალია.

პირველი ინსტანციის სასამართლოების პრეზიდენტები სისტემაში წამყვანი მოთამაშეები არიან. ისინი იღებენ გადაწყვეტილებას ვის შეუძლია მიიღოს ადმინისტრაციული გამოცდილება მათ სასამართლოში, რაც კარიერული წინსვლის წინაპირობაა. არსებობს აგრეთვე ქალბატონებისთვის უფრო დაბალი ნიშნების დაწერის მცირე ტენდენცია რეგულარული შეფასების სის-

ტემაში, რომელიც ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. ქალების კარიერული წინსვლის სხვა დამაბრკოლებელი ფაქტორებია:

- ადგილობრივ პირველ ინსტანციის სასამართლოში მუშაობა კარიერის განვითარების მსურველთათვის ჩიხია. არსებოს რალაც ბარიერის მსგავსი პირველი ინსტანციის ადგილობრივ და რეგიონულ სასამართლოებს შორის: მოსამართლეები ნაკლებად შესამჩნევი არიან რეგიონული სასამართლოს პრეზიდენტისთვის, რომელიც მათი ხელმძღვანელია.
- დედობა კარიერის შემაჩერებელი კლასიკური ფაქტორია. დეკრეტული და სასწავლო შვებულების გამო ქალები „ქრებიან“. ნახევარ განაკვეთზე მუშაობა, რაც ძალიან ხშირია გერმანულ ქალ მოსამართლეებს შორის, მიიჩნევა სამუშაოსთვის თავის მხოლოდ ნაწილობრივ მიძღვნად იმ სისტემაში, რომელშიც კარიერული განვითარება უზარმაზარ ძალისხმევას მოითხოვს: დამატებითი სამუშაო სპეციალური მოვალეობების შესრულებისას, მაღალ პოზიციებზე ხანგრძლივი სამუშაო დღე და მობილურობა. ქალები აღნიშნავენ, რომ მათთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია აგრეთვე ოჯახებში მხარდაჭერის არ არსებობა. პრეზიდენტებმა, პატრიარქალური ზრუნვის გამოჩენის შედეგად შეიძლება ისინი ისეთ პოზიციებზე დანიშნონ, სადაც მათ ოჯახის და სამუშაოს ერთმანეთთან შეთავსების საშუალება ექნებათ, მაგრამ ეს კარიერისთვის დამაბრკოლებელი ფაქტორია.
- მართალია ტრადიციული ოჯახის მარჩენალი მამაკაცის და ოჯახზე მზრუნველი ქალის გენდერული როლები თანდათან სუსტდება, გენდერული სტერეოტიპები კვლავ ახდენენ გავლენას ქალების კარიერაზე. როგორც შიდა გამოკვლევებმა აჩვენა ქალებმა შეიძლება კარიერა დათმონ ოჯახის გულისთვის მიუხედავად იმისა, რომ მათი შიდა მოტივაციის დონე მაღალია. იბადება კითხვა აქვთ თუ არა მათ ხელშემწყობი გარემო და აძლევს თუ არა ეს გარემო მათ საკმარის დროს და ძალას კარიერისთვის. ქალებს აგრეთვე ნაკლებად კომპეტენტურად მიაჩნიათ თავი მამაკაცებთან შედარებით (თვითეფექტიანობის სუსტი განცდა) და ნაკლებად სჯერათ საკუთარი წარმატების (ეფექტიანობის სუსტი განცდა).

დემოგრაფიული ფაქტორის გამო რადგან ქალთა წილი სასამართლო სისტემაში მუდმივად იზრდება, სასამართლო სისტემაში უფრო მეტი ქალი უნდა

იკავებდეს მალალ თანამდებობებს. ამის გამო ჩატარდა ჩვენი კვლევა. ფედერალურ დონეზე იურისტ ქალთა ასოციაციის საშუალებით გატარდა ღონისძიებები იმისათვის, რომ გვყავდეს უფრო მეტი „ქალები წითელ მანტიაში“, ე.ი. ფედერალურ სასამართლოებში. არსებობს აგრეთვე პოლიტიკური ზენოლა, რომ მიღებულ იქნას ზომები თანაბარი შესაძლებლობების განვითარების მიზნით, მაგრამ პროგრესი ნელა მიიღწევა.

სხვა საკითხია ცვლის თუ არა სასამართლო სისტემას ქალთა მზარდი რაოდენობა მოსამართლის პოზიციაზე და იძლევა თუ არა ეს რაიმე განსხვავებას. ისტორიულად სასამართლოებში ქალები არ დაიშვებოდნენ, რადგან შიშობდნენ, რომ მათი ემოციურობის გამო ისინი ვერ შეძლებდნენ ობიექტურად მიეღოთ გადაწყვეტილება. მაგრამ ქალ მოსამართლეთა თაობები ამ მოსაზრებას სასტიკად ებრძვიან. ისმის კითხვა შემოაქვთ თუ არა ქალებს ახალი ცხოვრების გამოცდილება და განსხვავებული მსოფლმხედველობა. ამერიკის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მიერ სონია სოტომაიორის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე დასახელებამ გამოიწვია დებატები იმის თაობაზე თუ რამდენად „კარგი“ მოსამართლე იქნებოდა იგი. პასუხად ობამამ განაცხადა: „მე იმედი მაქვს რომ ჭკვიანი და დიდი გამოცდილების მქონე ლათინო-ამერიკელი ქალბატონი უფრო ხშირად მიიღებს უკეთეს გადაწყვეტილებას ვიდრე თეთრი მამაკაცი, რომელსაც ამ ცხოვრებით არ უცხოვრია.“ ამ განსხვავების შესახებ საუბრობდა ბრენდა ჰეილი, პირველი ქალბატონი ბრიტანეთის ლორდთა პალატაში, რომელიც ახლა კონსტიტუციურ სასამართლოს წარმოდგენს: „სასამართლოებში განსხვავების დანერგვა შეუმჩნეველად ცვლის და ბოლოს აუმჯობესებს იურიდიულ პროდუქტს.“

ჩვენს საერთაშორისო შედარებით გამოკვლევაში „გენდერი და მოსამართლეები“ (რედ. ულრიკე შულცი და გიზელა შოუ. ოქსფორდი: ჰარტი 2013) ძირითადად ანგლო-ამერიკული სამართლის ქვეყნებიდან მიღებულ მასალებში, სადაც მოსამართლის პიროვნება უფრო დიდ როლს თამაშობს ვიდრე სამოქალაქო სამართლის მქონე ქვეყნებში, შესაძლებელია ასეთი განცხადებების ნახვა: „მოსამართლე, რომელიც ფერს და სქესს ყურადღებას არ აქცევს მითია.“ „მამაკაცებს და ქალებს განსხვავებული მსოფლმხედველობა აქვთ და მათ საზოგადოებასთან კავშირს განსხვავებულად აღიქვამენ.“

ნიშნავს თუ არა ეს რომ ქალები განსხვავებულ გადაწყვეტილებას იღებენ? ცვლიან ისინი სასამართლოების კულტურას? – ფენომენი, რომელიც საზოგადოების სხვა სამუშაო სფეროებშია აღწერილი. მაგალითად, უკეთესად

უსმენენ, სასამართლოებში მხარეებთან და ბრალდებულთან ურთიერთობისას უფრო თანამშრომლობენ და მეგობრულები არიან? ნაკლებად აქცევენ ყურადღებას კონკურენციას?

იქნებ ქალები უკეთესადაც კი იღებენ გადაწყვეტილებებს?

ჩვენ წიგნში შემდეგ საკითხებზე ვმსჯელობთ

- იყენებენ თუ არა ქალები უფრო მეტად ინტერდისციპლინარულ მიდგომას?
- არიდებენ თუ არა ისინი თავს უნივერსალური წესების და დოქტრინალური გადაწყვეტილებების პირდაპირ, ცვლილების გარეშე გამოყენებას?
- ხელახლა ავლებენ ზღვარს იურიდიულსა და სოციალურს შორის?
- იღებენ უფრო განონასწორებულ გადაწყვეტილებებს?
- თავს არიდებენ სადავო გადაწყვეტილებების მიღებას და ეძებენ ორმხრივად ხელსაყრელ გადაწყვეტილებას)?

არსებობს გარკვეული მტკიცებულება გენდერული გავლენის, მაგრამ ამ კითხვებზე რა თქმა უნდა ერთმნიშვნელოვანი და ნათელი პასუხი არ არის. ინდივიდუალური მოსამართლის პიროვნებაც ხომ თამაშობს როლს. ემპირიულმა კვლევამ ანგლოსაქსურ სამართალში ისევე როგორც სამოქალაქო სამართალში აჩვენა, რომ მოსამართლის სქესმა შეიძლება ითამაშოს როლი გენდერული კოდის შემცველ საქმეებში, მაგალითად, საოჯახო სამართალი, შრომითი სამართალი, ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, მაგრამ ასევე საპენსიო და სოციალურ სამართალში. საოჯახო სამართალში ქალი მოსამართლეები მათ მამაკაც კოლეგებთან შედარებით ნაკლებად მონყალენი არიან ქალბატონი მომჩივანების მიმართ, რომლებიც ალიმენტს ითხოვენ (მაგ.: კვლევის შედეგები ბრაზილიაში, პოლონეთში, საფრანგეთში და გერმანიაში). ამის ახსნა ადვილია: ქალი მოსამართლენი, როგორც მომუშავე ქალები, სხვა ქალებისგანაც მოელიან, რომ საკუთარი საარსებო წყარო თვითონვე მოიპოვონ. საფრანგეთსა და ისრაელში კვლევამ აჩვენა, რომ ქალ მოსამართლეებს უფრო „მზრუნველი“ დამოკიდებულება აქვთ. ქალი მოსამართლეები აგრეთვე საკუთარ გადაწყვეტილებას უფრო ქალურად აყალიბებდნენ ნერილობით (ამას გარდა, ისინი საოჯახო სასამართლოებში სამუშაოს უფრო მაღალ რეიტინგს ანიჭებენ ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები).

შრომის სამართალში, სექსუალური ძალადობის და გენდერული დისკრიმინაციის შესახებ საქმეებში აშშ.-ში აღმოჩენილ იქნა „პანელის“ ეფექტი – რომ

მამაკაცი მოსამართლეები გადაწყვეტილებას იღებდნენ მათ მდედრობითი სქესის კოლეგებთან ერთად, შესაძლებელია იმიტომ, რომ ისინი უფრო კომპეტენტურად მიაჩნდათ ამ საკითხში. ადმინისტრაციულ სამართალში, თავშესაფრის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ქალ მოსამართლეებს უფრო სურდათ თავშესაფრის მიცემა ვიდრე მათ მამაკაც კოლეგებს. ასევე, ქალი მოსამართლეებისთვის სასქესო ბაგეების მოკვეთის საფრთხე შესაბამისი მიზეზი იყო მათ მიერ თავშესაფრის მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად. თავიდან მოელოდნენ, რომ სისხლის სამართალში ქალები უფრო მიმტევებლები და რბილები იქნებოდნენ მამაკაც კოლეგებთან შედარებით. თუმცა, კვლევამ აჩვენა, რომ (სექსუალური) ძალადობის შემცველი შემთხვევების დროს ზოგჯერ ისინი უფრო მკაცრებიც არიან, უფრო მეტი თანაგრძნობისა და ამ დანაშაულების სხვაგვარად აღქმის გამო, თუმცა არსებობს საპირისპირო შედეგებიც. ეს შეიძლება იმით ავსხნათ, რომ ქალები იმის საწინააღმდეგოდ იქცევიან, რასაც მათგან მოელოდნენ. სამხრეთ აფრიკაში აპარტიდის დასასრულს შავკანიანი ქალი მოსამართლეები დანიშნეს კონსტიტუციურ სასამართლოში. მათ მკაფიო კვალი დატოვეს სასამართლოს ისტორიაში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მაგ.: ისეთი საკითხების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა აბორტი და პროსტიტუცია. მათ ასევე გააფართოვეს გაუპატიურების ცნება და ერთმანეთისგან განაცალკევეს ძალადობრივი ვაგინალური და ანალური პენეტრაცია. საპენსიო სამართალში მათ მაგ.: დაუქორწინებელ პარტნიორებს „ქვრივის“ პენსიები დაუნიშნეს.

სოციალურ სასამართლოებში გერმანიაში ქალმა და მამაკაცმა მოსამართლეებმა კენჭისყრის დროს განსხვავებული მოსაზრება გამოთქვეს იმის შესახებ უნდა ფარავდეს თუ არა სოციალური დაზღვევა ვიაგრაზე განუულ ხარჯებს.

კანადაში აღმოაჩინეს, რომ მას შემდეგ რაც პირველად ქალებმა მიიღეს მონაწილეობა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში, ისინი ბევრად ხშირად არ ეთანხმებოდნენ დანარჩენებს ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგები. ეს ეფექტი ბოლო წლების განმავლობაში შემცირდა, შესაძლებელია შემდგომ საქმეებში გენდერული საკითხების შემცირების გამო.

შესაბამისად: რატომ არის მნიშვნელოვანი ქალი მოსამართლეების ყოლა? ეს არის

- გენდერული თანასწორობის პრინციპის მოთხოვნა კონსტიტუციებში



კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

- ევროპაში ევროკავშირის და ეროვნული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის მოთხოვნა

თანაბარი მონაწილეობა დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია, იგი აძლიერებს ლეგიტიმურობას და საზოგადოების ნდობას სასამართლოს სისტემის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ სასამართლო სისტემა უკეთესად ასახავს საზოგადოებას და წამოადგენს სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეთა მრავალფეროვნებას.

ამას გარდა, იგი ამაღლებს ცნობიერებას გენდერულ საკითხებზე სასამართლო სისტემაში და ფართო საზოგადოებაში და უპირისპირდება სასამართლო სისტემის ტრადიციულ აღქმას – რომ სასამართლო სისტემა მამაკაცების სფეროა.

# მართლმსაჯულება და გენდერული ასპექტები

*ნათია ჯორბენაძე*

*თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე*

საქართველო გახლავთ ქალთა ყოველგვარი დიკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ 1979 წლის კონვენციის ხელშემკვრელი წევრი სახელმწიფო, რომელმაც 1994 წელს აიღო პოზიტიური ვალდებულა – მიიღოს ყველა საჭირო ზომა ქვეყნის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, კერძოდ უზრუნველყოს თანაბრ პირობებში ქალთა უფლებების რეალიზება არჩეულ იქნან ორგანოებში, დაიკავონ სახელმწიფო პოსტები და შეასრულონ ყველა ფუნქცია სახელმწიფო მმართველობის ყველა დონეზე. 2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზანი გახლავთ სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი გარანტიების შექმნა, რაც ადასტურებს სახელმწიფოს მზაობას ამ მიზნის მისაღწევად მიიღოს ქმედითი ზომები. თუმცა, მიმაჩნია, რომ მხოლოდ ნორმატიული აქტების არსებობა და გენდერული თანასწორობისაკენ სწრაფვის სურვილის საჯაროდ დეკლარირება არ არის საკმარისი.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს მოსახლეობის 53% ქალია. ისინი ყველაზე დიდ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ და ამ ჯგუფის ქცევაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის წარმატებული განვითარება. შესაბამისად, შეუძლებელია მართლმსაჯულების განხორციელებისას ქალის როლის და მნიშვნელობის უგულვებელყოფა.

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა და სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავს ქალის სტატუსს, სოციალურ მდგომარეობას და მის უფლებებს. მეტიც, ქალის ჩართულობა ქვეყნის პოლიტიკაში და მნიშვნელოვანი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღებაში არის გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების დაცვის შესახებ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის საზომი. დღეის მდგომარეობით, ქალბატონებს, რომლებიც წარმოადგენენ მოსამართლეებს, დიდი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მართლმსა-

ჯულების განვითარებაში და მის განხორციელებაში და მიმაჩნია, რომ სასამართლო სისტემის სრულყოფისა და განვითარებისათვის აუცილებელია ქალბატონ მოსამართლეთა როლის წინ წამოწევა იმ თვალსაზრისით, რომ მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას იყოს რეალური, ქმედითი და არ ატარებდეს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს.

საქსტატის მონაცემებით 2007-2010 წლებში ქალ და მამაკაც მოსამართლეთა რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო, კერძოდ 106 მოსამართლე ქალი გახლდათ, ხოლო 111 მამაკაცი. აღნიშნულმა სხვაობამ შემდეგ წლებში შემცირება განაგრძო და დღეს საქართველოში მოქმედ მოსამართლეთა უმრავლესობა ქალბატონია. მიუხედავად ამისა, საქართველოში დიდი არ არის იმ ქალთა რიცხვი, რომლებსაც მაღალი თანამდებობა აქვთ დაკავებული სასამართლო ხელისუფლებაში. ნიშანდობლივია, რომ ქალბატონები რაიმე გავლენას რეალურად ვერ ახდენენ ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაზე. ამდენად, მითითებული ფაქტობრივი გარემოების არსებობის პირობებში, საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა განვითარებულ თუ განვითარებად ქვეყნებში გენდერული დისბალანსი რეალურად მაინც შესამჩნევია, მათ შორის საერთო სასამართლოების სისტემაში. კერძოდ, უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში არც საქალაქო სასამართლოში და არც ზედა ინსტანციების სასამართლოს კოლეგიისა თუ პალატის თავმჯდომარის თანმდებობა არ დაუკავებია ქალს, ასევე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე არასოდეს ყოფილა ქალბატონი. მეტიც, მიმდინარე წელს საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრად არჩეულ მოსამართლეთა უმრავლესობას კვლავ მამაკაცები წარმოადგენენ. საინტერესოა რა არის ამგავრი გენდერული დისბალანსის მიზეზი, მაშინ როდესაც მამაკაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება მოსამართლე ქალთა რაოდენობას, ხოლო იუსტიციის საბჭოს წევრთა არჩევისას, მოსამართლეებმა ნება გამოავლინეს თავისუფლად, ფარული კენჭისყრის საფუძველზე. ვფიქრობ, რომ მიზეზი საზოგადოების ცნობიერებაშია, რომლის დიდი ნაწილი გახლავთ ქალბატონები, მათ შორის მოსამართლე ქალბატონებიც. ზოგადად ჩამოყალიბებულია სტერეოტიპი იმის შესახებ, რომ ქალი არის სუსტი, ემოციური, მგრძნობიარე არსება, რომელსაც არ ძალუძს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება, არ არის მზად ლიდერობისთვის, არ აქვს პოლიტიკური მანევრირების და მაშტაბურად აზროვნების უნარი, რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმები. მავანთა აზრით, ქალბატონებისათ-

ვის დამახასიათებელი ემოციურობა ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია მათი დაწინაურებისათვის, თუმცა მიმაჩნია, რომ ქალის ეს თვისება რიგ შემთხვევებში, ეხმარება მას გადაწყვეტილების მიღებისას იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი ყოველგვარი პოლიტიკური ზეგავლენისაგან. ამდენად, მიმაჩნია, რომ გენდერული თანასწორობის სრულყოფისათვის ადამიანთა ცნობიერების შეცვლა და ჩემი და ჩემი კოლეგების მხრიდან მეტი სითამამის გამოვლენა აუცილებელი.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა საერთაშორისო ცენტრებისა და ინსტიტუტების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად, ქალების მონაწილეობა მმართველობის ნებისმიერ დონეზე სტაბილურობის ფაქტორია. იქ სადაც ქალები მმართველობით სტრუქტურებში 40 % შეადგენენ, საზოგადოება უფრო სტაბილურად ვითარდება და სოციალურად არის ორიენტირებული.

სტატისტიკის მიხედვით, ქალი მოსამართლეები უფრო ხშირად ასრულებენ დავას მორიგებით, ვიდრე მამაკაცები. ქალი მოსამართლის როლი ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა სპეციფიკის დავებში, მაგალითად საოჯახო დავებში, ოჯახური ძალადობის თაობაზე მიმდინარე სამართალწარმოებისას, არასრულწლოვან მსჯავრდებულებთან ურთიერთობისას.

ამჟამად, საქართველო გენდერული ინდექსის მიხედვით მსოფლიოში 134 ქვეყნიდან 84 ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა, რისი გამომწვევი მიზეზი გახლავთ ჯერ კიდევ ქვეყანაში არსებული გენდერული დისბალანსი, რაც განპირობებულია ქვეყნის მმართველობით პროცესებში ქალბატონთა მინიმალური ჩართულობით.

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, ვფიქრობ უმთავრესი საზოგადოების ცნობიერების შეცვლაა, მასში არსებული მცდარი სტერეოტიპების მსხვრევაა, რომლის მისაღწევად სახელმწიფომ სამოქალაქო შემეცნებითი დონის ამაღლებაზე უნდა იზრუნოს.



G  
E  
N  
D  
E  
R  
  
A  
N  
D  
  
J  
U  
D  
G  
I  
N  
G


## მართლმსაჯულება და გენდერი

### გერმანული გამოცდილება და საერთაშორისო პერსპექტივები

**Ulrike Schultz**

ფერნუნდესიტი, ჰაგენი


თბილისი, 28 სექტემბერი, 2013



G  
E  
N  
D  
E  
R  
  
A  
N  
D  
  
J  
U  
D  
G  
I  
N  
G

## გერმანიის სტატისტიკა

- სამართლის სტუდენტები 55%
- მე-2 სახელმწიფო გამოცდა სამართალში 55%
- მოსამართლეები პირველი 3 წელი (პრობაცია) 54%
- მოსამართლეები 40% (20.400)
- პროკურორები 42% (5.200)
- ადვოკატები 3% (49.872)
  
- პრაქტიკულ ტრენინგზე პირველი ქალი დაუშვეს 1922 წელს /ხოლო როგორც მოსამართლე 1926 წელს



## ქალი მოსამართლეები NRW\_ში ინსტანციები და იურისდიქცია 2009

| სერთო სასამართლოები              |        | ადმინისტრაციული სასამართლოები |        | სოციალური სასამართლოები |        | შრომითი დავების სასამართლოები |        | საგადასახადო სასამართლოები |        |
|----------------------------------|--------|-------------------------------|--------|-------------------------|--------|-------------------------------|--------|----------------------------|--------|
|                                  | ქალი % |                               | ქალი % |                         | ქალი % |                               | ქალი % |                            | ქალი % |
| ადგილობრივი სასამართლო           | 67.84  |                               |        |                         |        |                               |        |                            |        |
| რაიონული სასამართლო, 1 ინსტანცია | 36.36  | VG                            | 34.6   | SG                      | 50.43  | ArbG                          | 41.88  |                            |        |
| სააპელაციო სასამართლო            | 28.72  | OVG                           | 20.51  | LSG                     | 27.4   | LAG                           | 21.95  | FinG                       | 27.85  |

მოსამართლეთა პროპორცია სერთო სასამართლოებში 75%  
 ადმინისტრაციულ სასამართლოებში 10%  
 სოც. სასამართლოებში 6%  
 შრომითი დავების სასამართლოებში 4%



### სასამართლო ქალებისთვის კარგი არჩევანია

- მაღალი სტატუსი
- (ჯერ ისევ) მაღალი პრესტიჟი
- არ ხდება შემოსავლის დისკრიმინაცია
- უსაფრთხო პოზიცია
- არ საჭიროებს სხვადასხვა ნაბიჯებს კარიერული წინსვლისთვის
- სამოქალაქო მომსახურების სოციალური უსაფრთხოება
  - პენსია
  - დეკრეტული შვებულება
- ადეკვატური სამუშაო დატვირთულობა
- მაგრამ: ქალები წამყვან პოზიციებზე?



## მამაკაცი ლიდერები

ბოლო 10 წლის განმავლობაში

- მცირედი ცვლილებები თავმჯდომარის პოზიციებზე
- საერთო სასამართლოები: 19 თავმჯდომარე: 17 მრ. – 2 მდ.
- თავმჯდომარის მოადგილის პოზიციებზე არსებულ ქალთა რაოდენობის მცირედი ზრდა
- დირექტორის პოზიციაზე არსებულ ქალთა რაოდენობის მცირედი ზრდა (საერთო ადგილობრივ სასამართლოებში)
- ქალების როგორც თავმჯდომარე მოსამართლეების დაბალი პროპორციულობა (თანაბარი შესაძლებლობების პირობებში)
- მაგრამ:
  - სააპელაციო სასამართლოს ქალი თავმჯდომარეები
  - ჩვეულებრივი იურისდიქცია: სამიდან ერთი
  - შრომითი დავების სასამართლოებში: სამიდან ორი
  - ადმინისტრაციული სასამართლო: 1

(პოლიტიკური გადაწყვეტილებები ქალებს უფრო შესაძინებს ხდის)



## ხელისშემშლელი ფაქტორები ქალების კარიერაში

- (გენდერი) მთავარი მოთამაშეების არჩევის უპირატესობა (მამაკაცი თავმჯდომარეები)
- 1 ინსტანციის ადგილობრივ სასამართლოებში მუშაობა - ნაკლები ხილვადობა (ქალების მახე) ბარიერი ადგილობრივ და რეგიონალურ სასამართლოებს შორის
- იყო დედა აჩერებს კარიერას
  - დეკრეტული შვებულება
  - მუშაობა ნახევარ განაკვეთზე
    - ნახევარი დღის დათმობა?
    - მთლიანი ვალდებულების შესრულება?
- შეზღუდული დრო
- გრძელი სამუშაო საათები კარიერულ პოზიციებზე
- მობილობა
- პატრიარქალ საზოგადოებაში ოჯახში „პურის შემომტანი“ მამაკაცის მოდელი
- მხარდაჭერთა ნაკლებობა
- როგორ ხდება ქალთა კარიერული მოტივაცია?



მე ზუსტად  
თქვენაირს  
ვეძებდი...



## არიან თუ არა ქალი მოსამართლეები განსხვავებულნი?

- როგორც ლიდერები?
- როგორც გადაწყვეტილების მიმღებნი?
- “შითი იმის შესახებ რომ მოსამართლე ბრმა კანის ფერისა და სქესის მიმართ”
- “მამაკაცებს და ქალებს განსხვავებული მსოფლმხედველობა უვითარდებათ და საზოგადოებასთან მიმართებაში საკუთარ თავებს სხვადასხვანაირად აღიქვამენ”
- “მე იმედი მაქვს, რომ ბრძენი ლათინო ქალი მისი მდიდარი გამოცდილებიდან გამომდინარე უფრო ხშირად უკეთეს გადაწყვეტილებას მიიღებს ვიდრე თეთრი მამაკაცი, რომელსაც იმ ცხოვრებით არ უცხოვრია” (მოსამართლე სონია სოტომაიორი)
- “განსხვავებული მოსამართლეები ცვლიან, და საბოლოოდ აუმჯობესებენ სასამართლო შედეგებს”
- (ზრენდა ჰეილი)





## განსჯიან თუ არა ქალები უკეთესად?

- უსმენენ ქალები უკეთ?
- არის თუ არა მათი საქმის წარმოების და დაკითხვის სტილი უფრო მეგობრული, უკეთესი? (საფრანგეთი)
- წინ წევნ თუ არა ქალი მოსამართლეები არსებით სამართლიანობას?
  - ინტერდისციპლინური მიდგომის გამოყენება,
  - უნივერსალური წესების მკაცრი გამოყენების თავიდან აცილება და დოგმატური გადაწყვეტილებების მიღების შემცირება,
  - სამართლიან და სოციალურს შორის არსებული ზღვარის აღდგენა
  - იღებენ თუ არა დაბალანსებულ გადაწყვეტილებას?
  - იცილებენ თუ არა თავიდან სადაო გადაწყვეტილების მიღებას და ცდილობენ თუ არა ორივე მხარისთვის მისაღები გამოსავლის ძიებას?
- შემოაქვთ თუ არა ქალ მოსამართლეებს ქალის ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე სხვადასხვა მიდგომები და ღირებულებები?



## ფემინიზური კვლევა: გენდერთან დაკავშირებული საკითხები გენდერულ საქმეებში

- **საოჯახო სამართალი**
  - მეურვეობის საქმეები vs ალიმენტის საკითხთან დაკავშირებული საქმეები? (ბრაზილია, პოლონეთი, საფრანგეთი, გერმანია...)
  - უფრო მზრუნველი დამოკიდებულება ქალი მოსამართლეების მხრიდან (საფრანგეთი, ისრაელი)
  - ქალი მოსამართლეების სამუშაო რეიტინგი ოჯახურ დავებზე უფრო მაღალია ვიდრე მათი მამაკაცი კოლეგების (საფრანგეთი)
- **შრომის სამართალი**
  - გენდერული დისკრიმინაცია, შევიწროვება სექსუალური და რასობრივი ნიშნით (გაფართოებული კვლევა აშშ)
    - ინდივიდუალური ეფექტი – პანელის ეფექტი (მამაკაცები წვეტენ ქალებთან ერთად)
    - ქალი მოსამართლეები უფრო ქალური სტილით წერენ
- **ადმინისტრაციული სამართალი**
  - თავშესაფართან დაკავშირებული საქმეების შესახებ (აშშ, გერმანია) – გენიტალიების დასახიჩრება (ბრენდა ჰეილი ინგლისი)



## გენდერი მნიშვნელოვანია გენდერით კოდირებულ საქმეებზე

- **სისხლის სამართალი**
  - ან უფრო მკაცრი ან უფრო მსუბუქი დამოკიდებულება
  - (სექსუალური) ძალადობა,
  - გაუპატიურება ვაგინალური (ანალური) გზით (სამხრეთ აფრიკა)
  - აბორტი
  - პროსტიტუცია როგორც არამართო სხეულით მოვაჭრის არამედ მისი კლიენტის ინკრიმინაცია (S.A.)
- **საპენსიო სამართალი**
  - ქორწინებაში არ მყოფი პარტნიორების დაქვრივების შემთხვევაში მათი პენსიის საკითხი (S.A.)
- **სოციალური სამართალი**
  - ანაზღაურდეს თუ არა ვიაგრა დაზღვევის მიერ? (გერმანია)
  - ქალებისთვის და მამაკაცებისთვის დაზღვევის საერთო ტარიფები (ევროპული სასამართლო- გერმანელი მოსამართლე კოკოთი)



## რატომ არის მნიშვნელოვანი ქალი სასამართლოში?

მრავალფეროვნება სასამართლოში

- არის კონსტიტუციაში მოცემული გენდერული თანასწორობის პრინციპის მოთხოვნა
- არის ევროკავშირის და ეროვნული ანტი-დისკრიმინაციული კანონმდებლობის მოთხოვნა
- იძლევა თანაბარი თანამონაწილეობის შესაძლებლობას რაც დემოკრატიის მთავარი ნიშან-თვისებაა
- ნიშნავს, რომ მართლმსაჯულება უკეთესად ასახავს საზოგადოებას და წარმოადგენს სხვადასხვა მხარეებს
- ზრდის სამართლიანობას და საზოგადოების რწმენას მართლმსაჯულების მიმართ
- ამალეებს საზოგადოების ცნობიერებას მართლმსაჯულებაში და ზოგადად გენდერული საკითხებთან დაკავშირები
- ანეიტრალებს ტრადიციულ მიდგომას, რომ მართლმსაჯულება მამაკაცების ადგილია

საკონტაქტო ინფორმაცია

[Ulrike.Schultz@FernUni-Hagen.de](mailto:Ulrike.Schultz@FernUni-Hagen.de)

**FernUniversität**

Rechtswissenschaftl. Fakultät

Postfach 940

D 58084 Hagen

Tel.: 02331 870811

ინფორმაცია

[www.ulrikeschultz.de](http://www.ulrikeschultz.de)



# სასამართლო გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობა

მარკ ვესტი, Ph.D., J.D

## I. რატომ გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობა?

ხმალი, ჩანთა & საზოგადოების ნდობა

„სასამართლო არ ფლობს ხმალს და არ განკარგავს ხაზინას, საბოლოოდ მისი ძალაუფლება მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ საზოგადოების რწმენას ემყარება – აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერი,

*Baker v. Carr (1962)*

კარგი ამბავი: საზოგადოების ათასობით წევრი დადის სასამართლოებში ყოველ დღიურად, შესაბამისად გავლენის მოხდენის საშუალებები მრავლად გვხვდება

ცუდი ამბავი: დაბრკოლებები მოქალაქეების ნდობის მოპოვებაში:

- 1) სასამართლოს „ტრამვირებული“ მომხმარებლები
- 2) დავებში მონაწილე მხარეთა ნახევარი აგებს პროცესს
- 3) რთული სამართლებრივი ენა

საზოგადოებრივი აზრის შენარჩუნება და გაზრდა ეროვნული სისტემების მუდმივი პროცესია

საქართველოს საზოგადოების აზრი მის სასამართლოებზე დაახლოებით ასე უთანაბრდება ამერიკული საზოგადოების აზრს:

უხეშად 60% – თუმცა ეს არის ბუნდოვანი რიცხვი (მოიცავს „ნდობის ნაწილობრივ“ კატეგორიას

დავების განმხილველი სასამართლოები:

საზოგადოების 80% თანხმობა, მოქალაქეების და სასამართლოს თანამშრომლების მოსაზრება

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

კონკრეტული სოციალური პრობლემის გადაჭრა: ნარკოტიკული დანაშაულების განმხილველი სასამართლო, მეურვეობის საქმეები, მენტალური ჯანმრთელობის საქმეების განმხილველი სასამართლოები

ჩამოყალიბდე როგორც პრობლემის გადამწყვეტი:

არსებული გამჭვირვალობა და საზოგადოების რეგულარული ინფორმირებულობა თუ როგორ ჭრიან სასამართლოები საზოგადოებრივ პრობლემებს

## **II. მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობის განსაზღვრება**

გამჭვირვალობა:

სასამართლოში მარტივად შესვლა, პროცესებზე და სასურველ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საზოგადოების ინფორმირებულობა:

სასამართლოს მიერ კომუნიკაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა:

- სასამართლოს თანამშრომლებთან & მომხმარებლებთან
- ფართო სამართლებრივ საზოგადოებასთან
- მთლიანად საზოგადოებასთან

## **III. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა**

საქართველოს სასამართლოების უმრავლესობის გამჭვირვალების და საზოგადოების ინფორმირებულობის კუთხით საკმაოდ მაღალ დონეზეა. დაგეგმეთ წინასწარ, განავითარეთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭო, მაგ:

- ღია/გამჭვირვალე სხდომები
- დამტკიცებული საზოგადოების ნდობისა და რწმენის სამოქმედო გეგმა
- საზოგადოების ინფორმირებულობა რეგულარულად

### ევროკავშირი

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლო:

- დასრულებული საქმეების შესახებ სრული ინფორმაცია და სამომავლო კალენდარი

ირლანდიის უზენაესი სასამართლო:

- უკანასკნელი გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაცია

იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი:

- საზოგადოების ნდობა, მართლმსაჯულება და მედია

### აშშ

საზოგადოების ნდობის და რწმენის ეროვნული კონფერენცია: 1999

ვაშინგტონის სასამართლოს ადმინისტრირების საბჭო

- 5 მოქმედი კომიტეტი, ერთ-ერთი ეხება საზოგადოების ნდობასა და რწმენას
- კალენდარში მითითებული ღია სხდომები, გამოქვეყნებულია დღის წესრიგები და ოქმები
- კალიფორნიის მართლმსაჯულების საბჭო
- საზოგადოების ინფორმირებულობა, სადაც ყურადღება ექცევა საზოგადოების ნდობისა და რწმენის მნიშვნელობას
- ღია სხდომები აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ჩათვლით

## **IV. საზოგადოების ნდობისა და რწმენის სამოქმედო გეგმა**

კომუნიკაციის ანალიზის მომზადება:

- მიზნები, დაბრკოლებები, გადალახვის სტრატეგიები

აქტივობების დაგეგმვა აუდიტორიის (სამი სახის) მისანვლომობის მიზნით:

- სასამართლო, ვრცელი სამართლებრივი საზოგადოება, ზოგადი საზოგადოება

### სასამართლოში

- საზოგადოების ნდობისა და რწმენის სამოქმედო გეგმის შექმნა და მიღება:
  - აქტიური, ყოველწლიურად განახლებადი

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

- მოსამართლეების და სასამართლო მოხელეების კვარტალური შეხვედრები:
  - კალენდარი, დღის წესრიგი, ოქმები, დოკუმენტები
- სასამართლოს ხელმისაწვდომობა:
  - ფიზიკური & ენობრივი ბარიერები, ბავშვები
- სასამართლო საჯარო ინფორმაცია:
  - საინფორმაციო დაფა, საინფორმაციო ცენტრები, სასამართლოს კალენდარები
- ვებ გვერდები: ვირტუალური სასამართლო დარბაზი

#### სამართლებრივი საზოგადოება

- ყოველწლიური ანგარიში & პრეს კონფერენცია
- რეგულარული ბენჩ-ბარ შეხვედრები
- სხვა სახელმწიფო დანესებულებებთან შეხვედრები:
  - მუნიციპალიტეტი, სოციალური მომსახურების ცენტრები, პოლიცია, ციხეები; სტაჟირებები სამართლის სტუდენტებისთვის

#### საზოგადოება მთლიანად

- ღია კარის დღეები
  - სასამართლოები სკოლებში, სკოლები სასამართლოებში
- მედია: აიღე ყურმილი სანამ ის დარეკავს
  - რეგულარული პრეს რელიზი, კონფერენცია, ყავა
  - ექსკლუზიური ინტერვიუები
  - ერთი დღე ჟურნალისტთან
  - ნათელი „ჟურნალისტის წესები“
  - პრეს ატაშეებისა და სპიკერი მოსამართლეების ტრენინგი
  - მედია მონიტორინგი

#### 21-ე საუკუნის ტექნოლოგიები

ელ. ფორმები და გადასახადები

განახლებული სასამართლო კალენდარი

მოსამართლის ბლოგი: [Hercules and the Umpire](#)

მართლმსაჯულების სისტემის  
გამჭვირვალობა და საზოგადოების  
ინფორმირებულობა

მარკ ვესტი, Ph.D., J.D.

USAID მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა  
და სამართლებრივი გამლიერების პროექტი (JILEP)



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

“სასამართლოს არ ფლობს ხმაღს და არ  
განკარგავს ხაზინას, მისი ძალაუფლება  
საბოლოოდ ეყარება საზოგადოების  
რწმენას მიღებული გადაწყვეტილებების  
მიმართ.”

- აშშ-ს უზენაესი სასამართლოს  
მოსამართლე ფელიქს ფრანკფურტერი,

*Baker v. Carr (1962)*



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*



## მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობის განსაზღვრება

გამჭვირვალობა:

სასამართლოში მარტივად შესვლა, პროცესებზე და  
სასურველ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის  
უზრუნველყოფა

საზოგადოების ინფორმირებულობა:  
კომუნიკაციის გაღრმავების ხელშეწყობა:

- სასამართლოს თანამშრომლებთან &  
მომხმარებლებთან
- ფართო სამართლებრივ საზოგადოებასთან
- მთლიანად საზოგადოებასთან



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

## მართლმსაჯულების გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირებულობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა

ევროკავშირი

დიდი ბრიტანეთის უზენაესი სასამართლო:

- ამომწურავი ინფორმაცია განხილული საქმეების  
შესახებ და მიმდინარე სხდომების კალენდარი

ირლანდიის უზენაესი სასამართლო:

- ბოლო დროინდელი გადაწყვეტილებების შესახებ  
ინფორმაცია

ევროპის იუსტიციის საბჭოების ქსელი:

- საზოგადოების ნდობა; მართლმსაჯულება და მედია



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# გამჭვირვალე მართლმსაჯულებასა და საზოგადოების ინფორმირებულობის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკა

## აშშ

საზოგადოების ნდობის და რწმენის ეროვნული კონფერენცია: 1999

ვამინგტონის სასამართლოს ადმინისტრირების საბჭო

- 5 მოქმედი კომიტეტი, ერთ ერთი ეხება საზოგადოების ნდობასა და რწმენას
- კალენდარში მითითებული ღია სხდომები, გამოქვეყნებულია დღის წესრიგები და ოქმები

კალიფორნიის მართლმსაჯულების საბჭო

- საზოგადოების ინფორმირებულობა სადაც ყურადღება ექცევა საზოგადოების მხრიდან ნდობასა და რწმენის მნიშვნელობას
- ღია სხდომები აუდიო და ვიდეო ჩანაწერების ჩათვლით



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# საზოგადოების ნდობისა და რწმენის ხელშეწყობის დაგეგმვა



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE  
*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# სასამართლო

საზოგადოების ნდობისა და რწმენის სამოქმედო გეგმის დაწერა და მიღება:  
აქტიური, ყოველწლიურად განახლებადი

მოსამართლეების და სასამართლო მოხელეების კვარტალური შეხვედრები:  
კალენდარი, დღის წესრიგი, ოქმები, დოკუმენტები

სასამართლოს ხელმისაწვდომობა:  
ფიზიკური & ენობრივი ბარიერები, ბავშვები

სასამართლო საჯარო ინფორმაცია:  
საინფორმაციო დაფა, საინფორმაციო ცენტრები,  
სასამართლოს კალენდარები

ვებ გვერდები: ვირტუალური სასამართლო დარბაზი



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# სამართლებრივი საზოგადოება

ყოველწლიური ანგარიში & პრეს კონფერენცია

რეგულარული ბენჩ-ბარ შეხვედრები

სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან შეხვედრები:  
*მუნიციპალიტეტი, სოციალური მომსახურების  
ცენტრები, პოლიცია, ციხეები*

სტაჟირებები სამართლის სტუდენტებისთვის



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

# საზოგადოება მთლიანად

ღია კარის დღეები

სასამართლოები სკოლებში, სკოლები სასამართლოებში

მედია: აიღე ყურმილი სანამ ის დარეკავს

- რეგულარული პრეს რელიზი, კონფერენცია, ყავა
- ექსკლუზიური ინტერვიუები
- ერთი დღე ჟურნალისტთან
- ნათელი „ჟურნალისტის წესები“
- პრეს ატაშეებისა და სპიკერი მოსამართლეების ტრენინგი
- მედია მონიტორინგი



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

## 2 | საუკუნის ტექნოლოგიები

ელ. ფორმები და გადასახადები

განახლებური სასამართლო კალენდარი

მოსამართლის ბლოგი: Hercules and the  
Umpire



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

EAST • WEST  
MANAGEMENT  
INSTITUTE

*The Judicial Independence and  
Legal Empowerment Project (JILEP)*

**თემა: მოსამართლეთა თვითმმართველობა სასამართლოში  
და მთლიანად მართლმსაჯულების სისტემაში**

**საერთაშორისო კონფერენცია „მოსამართლეთა  
დამოუკიდებლობა და მოსამართლის  
პროფესია“**

*მომხსენებელი: საქსონიის მხარის მართლმსაჯულების წარმომადგენელი,  
დრეზდენის უმაღლესი სამხარეო სასამართლოს მოსამართლე ქ-ნი  
საბინე შონენგტი (გერმანია, GIZ)*

*თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი  
თბილისი, შერატონ მეტეხი პალასი*

**A. მოსამართლეთა თვითმმართველობა სასამართლოებში**

I. პრეზიდიუმი (საერთო სასამართლოების შესახებ გერმანიის კანონის § 21a და მომდევნო პარაგრაფები)

**1. ამოცანები**

- პრეზიდიუმი შეიმუშავებს სასამართლოში საქმეთა განაწილების გეგმას, ანუ, ადგენს, თუ რომელი მოსამართლე (ერთპიროვნულად თუ კოლეგიურად – ეს უკანასკნელი ძირითადად სამხარეო და უმაღლეს სამხარეო სასამართლოებში) განიხილავს რომელ საქმეს. გეგმა მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე ამ წლისათვის. თავმჯდომარე ადგეს, თუ რა სამოსამართლეო საქმიანობას გასწევს იგი (საერთო სასამართლოების შესახებ გერმანიის კანონის § 21e ნაწილი პირველი)
- გადახვევა/ექსკურსი: საქმეთა გადანაწილება მიმდინარეობს წინასწარ დადგენილი აბსტრაქტული კრიტერიუმების მიხედვით → გერმანია: აღნიშნული პრაქტიკისა და მიდგომის ნორმატიული საფუძველი გახლავთ გერმანიის კონსტიტუციის 101-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2

წინადადებით გარანტირებული კანონისმერი მოსამართლის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის განმხილველი მოსამართლე უნდა იყოს **კანონის** (ფორმალური და მატერიალური გაგებით) საფუძველზე წინასწარ ზოგადი და აბსტრაქტული კრიტერიუმებით დადგენილი. მოსამართლის დამოუკიდებლობა მოგეხსენებათ იცავს ცალკეულ მოსამართლეს სასამართლოს ადმინისტრაციის მხრიდან ნებისმიერი ზეგავლენისაგან. საქმეთა განაწილების ქრილში კი ეს იმას ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების/სასამართლოს ადმინისტრაციას (სასამართლოსა თუ სხვა სასამართლოს ადმინისტრაციული ორგანოს თავმჯდომარე, ხელმძღვანელობა, ადმინისტრაციის თანამშრომლები და ა.შ...) ეკრძალება ნებისმიერი სახითა და ფორმით რაიმე ზეგავლენის მოხდენა მოსამართლეებისთვის საქმეთა განაწილების პროცესსა თუ შედეგზე; ამრიგად, საქმეთა განაწილება დაუშვებელია მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რაც არ უნდა საფუძვლიანი არგუმენტები მეტყველებდეს ასეთი „ჩარევის“ აუცილებლობაზე (მაგალითად, როგორცაა ცალკეული მოსამართლეების მაღალი დატვირთვა და ა.შ.).

- o საქმეთა განაწილების გეგმით შეიძლება (ისე, როგორც ეს მაგალითად უმაღლეს სამხარეო სასამართლოშია მოწესრიგებული) გათვალისწინებული იქნას სპეციალიზაცია კოლეგიების მიხედვით (მაგალითად: სამეწარმეო სამართალი, გაკოტრების სამართალი, საგზაო შემთხვევები, კაპიტალის განთავსება და ა.შ.)
- პრეზიდიუმი გადაწყვეტილებას იღებს თითოეული კოლეგიის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით. კოლეგიური სასამართლოს შემთხვევაში ადგენს, თუ რომელ კოლეგიაში/პალატაში შედის მოსამართლე → სასამართლოს ადმინისტრაციას არ აქვს უფლება ამ კუთხით გადაუხვიოს გეგმას და სხვა კოლეგიაში ან პალატაში გაამწესოს მოსამართლე.

## **2. პრეზიდიუმის არჩევა და დაკომპლექტება**

- პრეზიდიუმი იქმნება თითოეულ სასამართლოში.
- პრეზიდიუმის წევრებს ირჩევენ მოსამართლეები შესაბამისი სასამართლოს მოსამართლეებიდან (თავისუფალი და დახურული კენჭისყრა, საერთო სასამართლოების შესახებ გერმანიის კანონის § 21b მე-3 ნაწილის პირველი წინადადება).
- გადამწყვეტია კანდიდატზე დაგროვილი ხმების რაოდენობა, ანუ ხმათა უმრავლესობის და არა რაიმე კონკრეტული ქვორუმის პრინციპი.

- საერთო სასამართლოების შესახებ გერმანიის კანონის § 21b: პრეზიდიუმის არჩევნებში მონაწილეობს და შეიძლება არჩეულ იქნას სასამართლოს ყველა მოსამართლე (დაუშვებელია კანდიდატურების წინასწარ შერჩევა, ნომინაცია, სიით არჩევა და ა.შ.) (გამონაკლისი: მოსამართლე, რომელიც სამ თვეზე მეტი ხნით არის მივლინებული სხვა სასამართლოში, არჩევნებში მონაწილეობას მიიღებს იმ სასამართლოში, სადაც წარგზავნილია).
- პრეზიდიუმის წევრების რაოდენობა განისაზღვრება სასამართლოში მოქმედი მოსამართლეების რაოდენობის მიხედვით.
- სასამართლოს თავმჯდომარე პრეზიდიუმში თანამდებობრივად არის წარმოდგენილი და თანაბარი ხმის უფლებით თავმჯდომარეობს (საერთო სასამართლოების შესახებ გერმანიის კანონის § 21a ნაწილი მეორე).
- პრეზიდიუმის წევრები აირჩევა ოთხი წლით; ამასთან, ყოველ ორ წელიწადში აირჩევა მოსამართლე წევრების ნახევარი, რაც უზრუნველყოფს პრეზიდიუმის თანმიმდევრულ მუშაობას და იმავდროულად ყველა მოსამართლისმაქსიმალურ პარტიციპაციას.
- პრეზიდიუმის თავმჯდომარეს შეფერხებების შემთხვევაში ცვლის მისი მოადგილე; სხვა წევრების შემთხვევაში შემცვლელი არ არის გათვალისწინებული. რომელიმე წევრის პრეზიდიუმიდან გასვლის შემთხვევაში, მის ადგილს იკავებს ის მოსამართლე, რომელიც შემდეგი იყო არჩევნებისას მოპოვებული ხმების რაოდენობით.

## II. მოსამართლეთა საბჭო (მოსამართლეების შესახებ საქსონიის სამხარეო კანონის §15 და მომდევნო პარაგრაფები)

### 1. ამოცანები

- მოსამართლეთა საბჭო იქმნება სასამართლოს ყველა თანამშრომლისთვის და მონაწილეობს ისეთი სოციალური თუ ზოგადი საკითხების განხილვაში, რომლებიც ეხება მოსამართლეებსა და სასამართლო აპარატის თანამშრომლებს. რიგ შემთხვევებში, საკითხების სპეციფიკიდან გამომდინარე საბჭო ამ პროცესებში მონაწილეობას იღებს კადრების სამსახურთან ერთად. მოსამართლეთა საბჭოს საქმიანობა მოიცავს მუშაობას/ჩართულობას ისეთ საკითხებში, როგორცაა მაგალითად: მოსამართლეების შტატების საჭირო რაოდენობის განსაზღვრა, მონაცემთა დამუშავების დანადგარების/მონეობილობების განთავსება (თუ აღნიშნული რაიმე კავშირშია სამოსამართლეო საქმიანობასთან), სამუშაო ტრამპეების პრევენ-

ცია და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, სასამართლოში წესრიგის დამყარების ღონისძიებები და ა.შ.

- საბჭოს საქმიანობის ორო ფორმაა გათვალისწინებული: მონაწილეობა და თანამონაწილეობა (პარტიციპაცია). მონაწილეობა თუ ფაკულტატიური ბუნებისაა, საბჭოს თანამონაწილეობისას გადაწყვეტილების მისაღებად სავალდებულოა მოსამართლეთა საბჭოს თანხმობა.

## **2. დაკომპლექტება და არჩევა**

- პირდაპირი არჩევა ფარული კენჭისყრის გზით;
- არჩევა ხდება წინასწარ შედგენილი კანდიდატთა სიიდან, რომელშიც შედიან ხკანდიდატები ხმათ უმრავლესობით; ამისათვის მოსამართლე განცხადებით გამოხატავს სურვილს მოსამართლეთა საბჭოს წევრთა არჩევნებში მონაწილეობის თაობაზე.

## **B. მოსამართლეთა თვითმმართველობა მართლმსაჯულების სისტემაში**

გერმანიაში სამხარეო დონეზეა მოწესრიგებული მოსამართლის დანიშვნისა და დანიშნულების საკითხები და ისიც, თუ ვინ იღებს ამის შესახებ გადაწყვეტილებას. ზოგიერთი მხარის კანონმდებლობა ითვალისწინებს მაგალითად მოსამართლეთა ე.წ. საარჩევნო კომიტეტს. საქსონიაში ასეთი კომიტეტი არ არსებობს, არამედ იქმნება პრეზიდენტის საბჭო.

### **I. მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტი ჰესენის მხარის მაგალითზე:**

- ჰესენის სამხარეო კონსტიტუცია (127-ე მუხლი) ითვალისწინებს მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტის შემქნასა და მისი შემდეგი სახით მონაწილეობას: სამხარეო იუსტიციის მინისტრი და მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტი ერთობლივად იღებენ გადაწყვეტილებას მოსამართლეების დანიშვნისა და მათი სიცოცხლის ვადით (ქართ.: უვადოდ) გამწესების თაობაზე (და არა დანიშნულებაზე).
- მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტში შედის სამხარეო პარლამენტის მიერ მონვეული შვიდი წევრი, ხუთი მოსამართლე-წევრი და ყოველ მხარეში არსებული ადვოკატთა ორი პალატიდან ერთ-ერთის თავმჯდომარე წლიური მონაცვლეობით (თანამდებობრივად). ამასთან, სასამართლოს



თითოეული შტო წარმოდგენილია ერთი მოსამართლით.

- პროცედურა/წარმოება: სამხარეო იუსტიციის მინისტრი მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტს წარუდგენს წინადადებას მოსამართლის სიცოცხლის ვადით ან დროებით (იგლისხმება კანონით გათვალისწინებული საგამოცდო ვადა) გამწესების თაობაზე და შესაბამისი მოსამართლეების პირად საქმეებს. თუ მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტი უარს განაცხადებს სამხარეო იუსტიციის მინისტრის მიერ შემოთავაზებულ კანდიდატურაზე, მაშინ იგი ვერ გამწესდება (ან, თუ საგამოცდო ვადის გასვლის შემდეგ უნდა მოხდეს კანდიდატის (გა)დანიშვნა სიცოცხლის ვადით – იგი არ გამწესდება, ანუ, გათავისუფლდება).
- მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსამართლეთა საარჩევნო კომიტეტი არ მონაწილეობს მოსამართლეთა დანიშნულებისას და სხვა სასამართლოში გადაყვანისას. აქ ჩართულია მხოლოდ პრეზიდენტის საბჭო (მოსამართლეების შესახებ ჰესენის სამხარეო კანონის §40 და მომდევნო პარაგრაფები).

## II. საქსონიის კანონმდებლობა: პრეზიდენტის საბჭო

### 1. ამოცანები:

- პრეზიდენტის საბჭო მონაწილეობას იღებს:
  - მოსამართლის დანიშნულებისას,
  - მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე მოსამართლის სხვა სასამართლოში გადაყვანისას (მოსამართლეების შესახებ გერმანიის კანონის § 31) ან სასამართლოს რეორგანიზაციისას (მოსამართლეების შესახებ გერმანიის კანონის § 32),
  - მოსამართლის შრომისუუნარობის შემთხვევაში მისი ვადამდე პენსიაზე გამწესებისას (მოსამართლეების შესახებ გერმანიის კანონის § 34), თუ მოსამართლე ითხოვს საბჭოს ჩართვას,
  - მოსამართლის გათავისუფლებისას, თუ მოსამართლემ არ წარმოადგინა წერილობითი თანხმობა მის გათავისუფლებაზე.
- სამხარეო იუსტიციის სამინისტრო კონკრეტული დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებამდე მიმართავს პრეზიდენტის საბჭოს და სთხოვს ერთი თვის ვადაში თავისი მოსაზრებების წარმოდგენას. თუ პრეზიდენტის საბჭო ამ ვადის გასვლამდე არ წარმოადგენს თავის მოსაზრებებს,

ეს მიიჩნევა, როგორც მისი თანხმობა სამინისტროს მიერ დაგეგმილი ღონისძიების გატარებაზე.

- მოსამართლის დანინაურებისას პრეზიდენტის საბჭოს უნდა მიენდოს ყველა კანდიდატის/განმცხადების განცხადება. ამის შემდეგ საბჭო წერილობით აფასებს სამხარეო იუსტიციის სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს მისი პროფესიული და პიროვნული კვალიფიკაციის კუთხით. საბჭოს ასევე შეუძლია თავისი შეფასება წარმოადგინოს სხვა კანდიდატებზეც (განმცხადებლებზე) და რეკომენდაცია გაუწიოს სხვა კანდიდატურას. თუ სამხარეო იუსტიციის სამინისტრო არ დაუჭერს მხარს პრეზიდენტის საბჭოს მიერ რეკომენდირებულ კანდიდატს, იგი ამის თაობაზე საბჭოს რეკომენდაციის წარდგენიდან ორი კვირის ვადაში აწვდის თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებას. ამის შემდეგ, დამატებითი ორი კვირის ვადაში საბჭოს შეუძლია მოითხოვოს სამინისტროსთან გასაუბრება საკუთარი პოზიციის დაფიქსირების მიზნით, რაც უნდა დააკმაყოფილოს სამხარეო იუსტიციის სამინისტრომ დანინაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე 2 თუმცა, სამინისტროსათვის არ არის სავალდებულო პრეზიდენტის საბჭოს მოსაზრება. მას შეუძლია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება.

## **2. დაკომპლექტება და არჩევა**

- A. პრეზიდენტის საბჭო იქმნება ცალკეული სასამართლო სისტემისათვის<sup>50</sup> (ესენია: საერთო სასამართლოები, ადმინისტრაციული სასამართლო, სოციალური სასამართლო, ფინანსური სასამართლო, შრომის სასამართლო).
- B. პრეზიდენტის საბჭოს ირჩევს შესაბამისი სასამართლოს ყველა მოსამართლე.
- C. საბჭოში შეიძლება არჩეულ იქნას მოსამართლეები, რომლებიც არჩევნების დღეს სიცოცხლის ვადით არიან გამწესებულები და აქვთ მოსამართლე/პროკურორად მუშაობის ხუთ-წლიანი და საქსონიის სასამართლოში სულ მცირე ექვს-თვიანი მუშაობის გამოცდილება.
- D. პრეზიდენტის საბჭოს თავმჯდომარე და მოადგილე აირჩევიან სასამართლოების თავმჯდომარეებიდან, ხოლო სხვა წევრები – მოსამართლეებიდან.

<sup>50</sup> გერმანიაში არსებობს სხვადასხვა მართლმსაჯულება, რომელიც მიიჩნევა ასევე დამოუკიდებელ სასამართლო სისტემად. აქ მოიაზრება საერთო სასამართლოების სისტემა და სპეციალური სასამართლოების სისტემები.

- E. არჩევა ხდება დაგროვილი ხმების უმრავლესობით (ამასთან, არ არის გათვალისწინებული არანაირი ქვორუმი) ორ კანდიდატების შერჩევა ხდება მოსამართლეთა სამხარეო (საქსონიის) ორგანიზაციების მიერ (მაგალითად, საქსონიის მოსამართლეთა კავშირი და მოსამართლეთა ახალი გაერთიანება).

## თემატური სესია 3 D

### საერთაშორისო კონფერენცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია“

## თემა: საერთაშორისო ურთიერთობები მართლმსაჯულების სფეროში

*მომხსენებელი: საქსონიის მხარის მართლმსაჯულების წარმომადგენელი,  
დოქტორ დიტმარ ონუსაიტი, დრეზდენის უმაღლესი სამხარეო  
სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლე (გერმანია) (GIZ)*

*თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი  
თბილისი, შერატონ მეტეხი პალასი*

### მისალმება

#### 1. შესავალი

ჩვენი თემატური სესიის თემა, ერთი შეხედვით, თითქოს უცხო სხეულად შეიძლება მოგვეჩვენოს ასეთი რანგის საერთაშორისო კონფერენციისათვის, რომელიც ეძღვნება ისეთი ფუნდამენტური საკითხების განხილვას, როგორცაა მოსამართლის დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია, თუმცა, ზოგადად ყოველთვის მიზანშეწონილია-ხოლმე შევიხედოთ კულისებს მიღმა და ამ კუთხით დავაკვირდეთ აღნიშნულ თემატიკას.

დასაწყისშივე კატეგორიულად და ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში და ეგიდით განხორციელებული მივლინებები არამც და არამც არ უნდა იქნას გაგებული და განხორციელებული, როგორც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული დამატებული შვებულება, გნებავთ „გასეირნება“ ან ე.წ. „შოპინგ-ტური“. ასეთი ვიზიტები ემსახურება ხედვის, იდეებისა და გამოცდილების ურთიერთგაცვლასა და გაზიარებას. პირი, ორმელიც მონაწილეობას იღებს ასეთ მოგზაურობაში, ვალდებულია უცხო ქვეყანასა და უცხო სისტემაში ვიზიტისას მირებული

ცოდნა და გამოცდილება გაუზიაროს სამშობლოში დარჩენილ კოლეგებს. შესაბამისად, ადამიანი, რომელიც არ არის მზად, იკისროს აღნიშნული მოვალეობა, იმთავითვე არ უნდა იღებდეს მონაწილეობას მსგავს პროგრამებში. რაც შეეხება მეორე მხარეს, სამშობლოში დარჩენილი კოლეგების განწყობაც ვიზიტში მონაწილე პირის მიმართ უნდა იყოს ზემოხსენებული მოვალეობის შესაბამისი და არ უნდა აღიქმებოდეს მის დასასვენებლად გამგზავრებად.

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები **ფართო გაგებით** შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს შემდეგი მიმართულებებით:

- როდესაც ერთი ქვეყნის კანონმდებელი ახალი კანონის გამოცემის მოსამზადებელი პროცედურების ფარგლებში გეგმავს გაეცნოს უცხო ქვეყნის (ქვეყნების) მართლწესრიგსა და კანონმდებლობას, რომელიც სურს რომ გაითვალისწინოს თავის საკანონმდებლო საქმიანობაში და ამ მიზნით თვითონ მიემგზავრება საზღვარგარეთ ან უცხოელი ესპერტები ჩამოყავს თავის ქვეყანაში,
- როდესაც უნივერსიტეტებში ისწავლება საერთაშორისო ან უცხო ქვეყნის სამართალი.

საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობები **ვიწრო გაგებით** შეიძლება ჩამოყალიბდეს და განვითარდეს შემდეგი მიმართულებებით:

- საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ საადვოკატო, საგადასახადო, სააუდიტორო და სხვა ფირმებს შორის,
- საერთაშორისო არბიტრაჟის მიმართულებით,
- პრაქტიკოსი იურისტების საერთაშორისო კონგრესების ფარგლებში,
- სტუდენტებისა და მკვლევარების სასწავლო და სამეცნიერო გაცვლითი სემესტრების/მივლინებების ფარგლებში,
- გაცვლითი ფორმით პედაგოგიური საქმიანობის ფარგლებში.

ბუნებრივია, ეს ჩამონათვალი მხოლოდ მაგალითის ფუნქციის მატარებელია და არ არის ამომწურავი. სინამდვილეში ჩვენი რეალობა ბევრად უფრო მრავალფეროვანია.

ამ განვითარებას სასამართლო ხელისუფლება უკან (გარკვეული ჩამორჩენით) მიჰყვება. თავისი განსაკუთრებული პოზიციისა და დანიშნულების გამო, საუბრის თემიდან თავიდანვე მინდა გამოვყო და განვაცალკევო ჰააგის საერთაშორისო სასამართლო და ადამიანის უფლებათა დაცვის (სტრასბურ-

გის) სასამართლო, რომლებსაც ბუნებრივია ვერ განვიხილავ ნინამდებარე მოხსენების კონტექსტში.

რაც შეეხება სასამართლოების პარტნიორობას, (ყოველ შემთხვევაში) გერმანიაში სასამართლოებსა და მოსამართლეებს შორის საერთაშორისო ურთიერთობებს არ აქვს დიდი და მდიდარი ტრადიცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელ წლებში სახეზეა მკვეთრად მზარდი ტენდენცია. საფუძველი ჩაეყარა სასამართლოთა პარტნიორობის საინტერესო და მრავალრიცხოვან პროექტს. გერმანიის სასამართლოებს დაძმობილებული ურთიერთობა აკავშირებს ჩინეთის სასამართლოებთანაც კი. უნდა მოგახსენოთ, რომ მე პირადად ჯერ კიდევ ოცი წლის წინ ვერ ვხედავდი ასეთი პროექტების საჭიროებასა და სარგებელს.

დღესაც არსებობს მოსაზრებები, რომ ხელისუფლების მესამე შტოსათვის არანაირი სარგებლობა არ მოაქვს საერთაშორისო ურთიერთობებს, ვინაიდან ნებისმიერ სახელმწიფოში მართმსაჯულება კონცენტრირებულია თავის ეროვნულ სამართალსა და თავისი ქვეყნის მართლწესრიგზე და მის საქმიანობაში ნაკლები (თუ არა – არანაირი) დატვირთვა არ აქვს უცხო ქვეყნის თავისებურებებს. აქ რომ შევაჩეროთ დისკუსია და მსჯელობა, უნდა დავეთნხმოდ აღნიშნულ მოსაზრებას. თუმცა, თუ მსჯელობას გავაგრძელებთ, მივალთ იმ დასკვნამდე, რაც საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ჩამომიყალიბდა, კერძოდ: სხვადასხვა ქვეყნის სასამართლოთა პარტნიორობა მნიშვნელოვნად სცდება საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის რეფლექციასა და გამოყენებას და მოიცავს სამოსამართლეო საქმიანობის საყოველთაო და ძირეულ პრინციპებსა და საფუძვლებზე, რომელიც მსგავსი თუ არა მეტ ნაკლებად მსგავსია ყველა დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოში. ეს საკითხებია:

- მოსამართლის მუშაობის მეთოდიკა (იურიდიული მეთოდოლოგიის ჩათვლით) მიუხედავად სხვადასხვა საკანონმდებლო სივრცისა და წყობილებისა,
- მოსამართლის თვითშეგნება და განსაკუთრებით კი – მოსამართლის დამოუკიდებლობა,
- მოსამართლეთა თვითმმართველობა,
- მოსამართლეთა პროფესიული ორგანიზაცია,
- სამართლებრივი დავის მხარეებთან მოსამართლის ურთიერთობა,
- მოსამართლის ურთიერთობა ადვოკატებთან,

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

- დარბაზის მართვა,
- საზოგადოებრივი, ანუ პრეს-საქმიანობა და საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება სასამართლოს საქმიანობაზე,
- მოსამართლის სოციალური სტატუსი და ა.შ.

ზემოთ წარმოდგენილი სამაგალითო და არა ამომწურავი ჩამონათვალი ცხადჰყოფს, თუ რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი ტემატური სესიის ტემა კონფერენციის თემასთან. და ამიტომაც მომდევნო საუბრისას სწორედ ამ ასპექტებზე მინდა კიდევ უფრო გავამახვილო ყურადღება.

## **2. საერთაშორისო ურთიერთობების ფორმატი**

საერთაშორისო ურთიერთობებისათვის შესაძლებელია სხვადასხვაგვარი ფორმატის გათვალისწინება, მაგალითად:

- დელეგაციების დაცვლითი ვიზიტები ზემოთ ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით,
- მივლინებები სასამართლოებში იქ, სადაც მეტნაკლებად მსგავსია საკანონმდებლო პირობები და რეგულირებები (მაგალითად, როგორც საქართველოსა და გერმანიაში, იგულისხმება სამოქალაქო კანონმდებლობა),
- პრაქტიკული განათლების მიღების შესაძლებლობები და შესაბამის ღონისძიებებში მონაწილეობა და ა.შ.

არსებობს ასევე ასეთი ურთიერთობისა და თანამშრომლობის მხოლოდ წერილობითი ფორმატი რომელიც მიუხედევად განვითარებული კომუნიკაციის საშუალებებისა და ინტერნეტისა, მაინც ნაკლებ ეფექტურად მიმაჩნია.

## **3. სასამართლოებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის არსი და მიზანი**

ის, თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს სასამართლოების საერთაშორისო ურთიერთობები, მინდა სამი ციტატით გამოვხატო:

*აურელიუს ავგუსტინუსი:* მსოფლიო არის წიგნი. ის, ვინც არ მოგზაურობს, მხოლოდ ამ წიგნის ერთ გვერდს ხედავს.

*იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე:* ჭკვიანი და მოხერხებული ადამიანი საუკეთესო განათლებას სწორედ მოგზაურობისას იღებს.

*სოკრატე*: რატომ გიკვირს, რომ შენთვის არაფერი მოაქვს ამდენ მოგზაურობას – შენ ხომ საკუთარ თავს დაატარებ ყველგან.

*აურელიუს ავგუსტინუსი* თავისი გამონათქვამით აღნიშნავს და ხაზს უსვამს, რომ ჩვენ ვერც კი ვხედავთ, რა ხდება ჩვენს გარშემო და რა შესაძლებლობები არსებობს, თუ არ ვართ მზად, გავიხედოთ საკუთარი ნაჭუჭის მიღმა და აღვიქვათ მსოფლიო. ის, ვინც წიგნის პირველივე გვერდზე ამთავრებს კითხვას, აკლდება შემდეგი ასი გვერდის გაცნობის სიამოვნებას.

*იოჰან ვოლფგანგ ფონ გოეთე* კი გვეუბნება, რომ მართალია ჩვენ უცხოური კონტაქტების გარეშეც, საკუთარი ძალებითა და მონდომებითაც შეგვიძლია შევიძინოთ სასურველი ცოდნა, მაგრამ ეს ყველაფერი უფრო მარტივი იქნებოდა, თუ ჩვენ ვისარგებლებდით ჩვენს გარშემო დაგროვილი როგორც გამოცდილებითა და ცოდნით, ისევე შეცდომებით და გავითვალისწინებდით მათ ჩვენი სწავლისა და განვითარების პროცესში, ანუ ყოველ შემთხვევაში თავიდან არ გამოვიგონებდით „ველოსიპედს“.

*სოკრატე* თავისი გამონათქვამით აღნიშნავს, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს და საჭიროების შემთხვევაში გადავაფასოთ ისინი, თუ გვსურს ყოველი მოგზაურობიდან რაიმე ახალი შევიძინოთ და ვისწავლოთ. ხოლო თუ ჩვენ ჩვენი მკაცრად ჩამოყალიბებული და წინასწარ განსაზღვრული იდეაფიქსებით დავმოგზაურობთ სხვადასხვა ქვეყანაში და მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ჩვენი საკუთარი შეხედულებაა უტყუარი, შეუვალი და ასეც ვიქცევით, მაშინ ჩვენ მართლაც მხოლოდ „საკუთარ თავს დავატარებთ“ აქეთ-იქით სოკრატეს გაგებით და ასეთ შემთხვევაში ნამდვილად უმჯობესია დავრჩეთ სახლში, რადგან იმ სარგებელს, რაც ორგანული და განმსაზღვრელია ასეთი ურთიერთობების მაინც ვერ ვხედავთ და ვერ ვითვისებთ.

სასამართლოების საერთაშორისო თანამშრომლობისთვის კი აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ ვინაიდან ჩვენ საკანონმდებლო თავისებურებებისა და განსხვავებული ნორმატიული დებულებების გამო „შეზღუდულები“ ვართ კონკრეტულ მატერიალურ თუ საპროცესო-სამართლებრივ პრობლემებზე დისკუსიების კუთხით (თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევებიც, რომ სახეზეა მსგავსება ამ კუთხითაც), ჩვენი თანამშრომლობა უმთავრესად მიმართული უნდა იყოს ისეთ ზოგად და იმავდროულად ფუნდამენტურ ასპექტებზე, როგორცაა მაგალითად მოსამართლის დამოუკიდებლობა, მოსამართლისა და მოქალაქეების ურთიერთობა, მისი დამოკიდებულება მხარეებთან და ასევე ადვოკატებთან. განსაკუთრებით ახალი დემოკრატიის სამართლებრივ სა-



ხელმწიფოებს აკლიათ ამ კუთხით გამოცდილება, რაშიც მათ დახმარებას გაუწევს უფრო ხანგრძლივი დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნები და მათი სასამართლოები. ეს მნიშვნელოვნად წაადგება თითოეული მოსამართლის საქმიანობას. და პირიქით, ხანგრძლივი და მყარი დემოკრატიული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მოსამართლეები თავიანთი კოლეგებისაგან იგებენ, თუ როგორია განვითარების ცოცხალი და დინამიური პროცესი და მათი როლი ამ პროცესში. როგორია სწრაფ ტემპში რეფორმირებადი და ცვლადი კანონმდებლობის ფარგლებში მუშაობა და მასთან დაკავშირებული გამოწვევებისათვის თავის გართმევა, როგორია გადრატეხების პერიოდის მოსამართლეობა.

სხვა ქვეყნის გამოცდილების გაცნობა შესაძლებელია არა მხოლოდ პირადი კონტაქტებით, არამედ შესაბამისი წერილობითი წყაროების გაცნობითა და ანალიზით. ხოლო ისეთ საკითხებში, სადაც საუბარი ნაკლებად არის ფაქტებზე და მონაცემებზე, არამედ თვითსეგნებაზე, მუშაობის მეთოდზე, დამოკიდებულებაზე და მოსამართლის პროფესიის სხვა მსგავს თავისებურებებზე, მაინც არსებითი და შეუცვლელია პირადი, ადამიანური ურთიერთობები და საკუთარი თვალთ დახეული პროფესიული სინამდვილე. დარწმუნებული ვარ, ამ მხრივ ვერანაირი ლიტერატურა ვერ ჩაანაცვლებს პირად ადამიანთაშორის თანამშრომლობას. გარკვეული საუბრები, ურთიერთობები ითვალისწინებს ასევე ნდობის მაღალ ხარისხს მომანილეთა, მოსაუბრეთა შორის, განსაკუთრებით კი, როცა საქმე ეხება გარკვეულ პრობლემებს, დაძაბულობას ხელმძღვანელობასთან ან ხელისუფლების სხვა შტოსთან, მაგალითად, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. ამიტომ მაინც არსებითი და მნიშვნელოვანია პერსონალური და არა მხოლოდ ელექტრონულ-ვირტუალური ურთიერთობა კოლეგებს შორის.

საერთაშორისო ურთიერთობები სასამართლო სისტემაში გამართლებული და მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ნება იმისა, რომ გავიცნოთ უცხო ქვეყნის სიახლეები, მათი მიდგომები, ახალი კოლეგები და მათ გარშემო არსებული ვითარება. გავაანალიზოთ ეს ყველაფერი და მიღებული შედეგები წარვმართოთ და გამოვიყენოთ კიდევ უფრო წარმატებული სამომავლო თანამშრომლობისთვის. თუ ეს ნება და ინტერესი სახეზეა, მაშინ საერთაშორისო ურთიერთობები სასამართლო სისტემაში თავის მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს და გაამდიდრებს ისეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებს, როგორიცაა ჩვენი მიმდინარე კონფერენცია.

## **2013 წლის 27-28 სექტემბრის მოსამართლეთა კონფერენციის რეკომენდაციები**

შენიშვნა: (აღნიშნული რეკომენდაციები არ გამოხატავს დამსწრე მოსამართლეთა ერთიან შეხედულებას და ამდენად მას არ აქვს რაიმე ოფიციალური სახე)

### **სსდომა 1 A – სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა (JILEP)**

დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ჩამოყალიბება ეთიკური და დისციპლინური წესების დაცვის საფუძველზე, რისთვისაც არსებითია მოსამართლეთა კანდიდატებისა თუ მოსამართლეების სათანადოდ შერჩევა და გადამზადება. ამ საკითხებს ყურადღება უნდა დაეთმოს როგორც მომზადების საწყის ეტაპზე, ასევე განგრძობითი განათლების პროცესში. მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ სამართლიანი და გამჭვირვალე სასამართლოს ფუნდამენტური უფლება, რომელიც ხორციელდება პროფესიონალი მოსამართლეებისაგან შემდგარი დამოუკიდებელი ორგანოს წინაშე.

### **სსდომა 1 B – მოსამართლეთა დაცვირთვა და საქმეთა განაწილება UNDP**

კანონით განისაზღვროს გამონაკლისები საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემიდან (ჯგუფის წევრების აზრია, რომ შეიძლება გადანყვეტილება ასეთ გამონაკლისებზე იყოს დასაბუთებული და გახდეს საჯარო)

### **სსდომა 1 C – მოსამართლეთა კარიერა (JILEP)**

მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის სისტემის გაუმჯობესება: კანონით გათვალისწინებული კრიტერიუმების საფუძველზე, შეფასების ქულათა სისტემაზე დაფუძნებით

## **სსდომა 1 D – მოსამართლეთა შეფასება (EUCJR)**

მოსამართლეთა შეფასება უნდა ემყარებოდეს მაქსიმალურად გამჭვირვალე და ობიექტურ კრიტერიუმებს და მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს, გააუმჯობესოს მართლმსაჯულების ხარისხი და შექმნას მოსამართლეთა დანინაურებისთვის სამართლიანი საფუძველი. სასურველია საქართველოში მოქმედ სისტემას დაემატოს მოსამართლეთა დარბაზში კომუნიკაციის შეფასება და კვლავაც გაგრძელდეს ერთობლივი მუშაობა მისი შემდგომი სრულყოფის მიზნით. მოსამართლეს უნდა გააჩნდეს უფლება არგუმენტირებულად გადასაჩივროს შეფასების შედეგი თუ არ ეთანხმება მას.

## **სსდომა 2 A – სამოსამართლო სწავლება და სსსწავლო დანახვებები (CoE)**

მოსამართლეთა კანდიდატების სწავლების ვადის 15 თვემდე გახანგრძლივება და სკოლის როლის გაზრდა მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

## **სსდომა 2 B – მოსამართლის ანაზღაურება და სოციალური გარანტიები (NORLAG)**

პრემირებისა და მოსამართლეთა სხვა წახალისების სისტემის გაუქმება.

## **სსდომა 2 C – ჯიბავლენისგან მოსამართლის დაცვის სამართლებრივი მექანიზმები (IRZ)**

სასამართლოს თავმჯდომარეთა ინსტიტუტის რეფორმირება, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე-წევრების არჩევის რეფორმირება, მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის რეფორმირება, მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევისა და დანიშვნის ინსტიტუტის რეფორმირება, საქმეთა განაწილების ინსტიტუტის რეფორმირება, მოსამართლეთა განტვირთვა.

## **სსდომა 2 D – მართლმსაჯულება და გენდერული ასპექტები (JIIEP)**

სასამართლო თავმჯდომარეებად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრებად და ზოგადად სასამართლო სისტემაში ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ქალთა რიცხვის გაზრდა.

### **სხდომა 3 A – სასამართლო გამჭვირვალობა და საზოგადოებასთან ურთიერთობა (JILEP)**

სასამართლოებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლების გეგმა

### **სხდომა 3 B – მოსამართლეთა თვითმმართველობა (GIZ)**

მოსამართლეთა თვითმმართველობაში ინდივიდუალური მოსამართლის როლის გაზრდა, როგორც სასამართლოს სისტემის თვითმმართველობაში, ასევე სასამართლოში თვითმმართველი რგოლის ე.წ. სასამართლო პრეზიდენტის შემოღების გზით, ასევე სხვა თვითმმართველ ერთეულებში, სადაც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საქმიანობის გამჭვირვალება. ასევე საქმეთა განაწილების წესის განსაზღვრისას, სასურველია მოსამართლეთა აზრის მოსმენა და გათვალისწინება პირდაპირ ან ირიბად.

### **სხდომა 3 C – მოსამართლეთა გაერთიანებები (UNDP)**

მოსამართლეთა ასოციაციებს შეექმნას ნორმატიული საფუძველი და ქმედითი მექანიზმი სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებში ჩასართავად.

მოსამართლეთა ასოციაციებმა გააღრმავონ და გააძლიერონ კომუნიკაცია და ურთიერთობა თვითოეულ მოსამართლესთან, ინდივიდუალური ან სისტემური პრობლემების გადაჭრის მიზნით.

საერთაშორისო საზოგადოება მხარში დაუდგეს მოსამართლეთა ასოციაციებს მრავალმხრივი ფორუმების, შეხვედრების, სემინარების ორგანიზებაში.

### **სხდომა 3 D – მოსამართლეთა საერთაშორისო ურთიერთობები (GIZ)**

საერთაშორისო ურთიერთობები უნდა გაგრძელდეს და გაღრმავდეს, ამისათვის კი აუცილებელია ერთი მხრივ გარკვეულწილად უწყვეტობის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნულ ურთიერთობებში უნდა მოხდეს მოსამართლეთა წრის გაფართოება

## სარჩევი

|   |     |
|---|-----|
| <i>აგნიეშკა კლონოვიეცკა-მილარტი</i><br>სასამართლო დამოუკიდებლობა და სიტყვის თავისუფლება . . .                       | 13  |
| <i>ვიქტორია ჰენლი</i><br>მოსამართლის მოვალეობების შესრულებისადმი<br>გულგრილობა და მისი შედეგები . . . . .           | 29  |
| <i>ულრიჰ ჰაგენლოჰი</i><br>გადატვირთული სამართალწარმოება და სასამართლოში საქმეთა<br>გადანაწილება . . . . .           | 40  |
| <i>დავით ლიბრაძე</i><br>„მოსამართლეთა დატვირთვა და საქმეთა განაწილება“ . . . . .                                    | 48  |
| <i>ზობადი მონახაზი</i> . . . . .  | 62  |
| <i>ტიმ ბალანდი</i> . . . . .  | 75  |
| <i>ფრანჩესკო კონტინი</i> . . . . .  | 80  |
| <i>მაია ბაქრაძე</i><br>მოსამართლის ინდივიდუალური შეფასება და დანინაშრობა . . .                                      | 87  |
| <i>ნათია ქუთათელაძე</i><br>მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი<br>შედეგები. . . . .                        | 94  |
| <i>მაია ვაჩაძე</i><br>მოსამართლის მიერ მოვალეობის დარღვევა და მისი<br>შედეგები. . . . .                             | 97  |
| <i>ბერტ მანი</i><br>სამოსამართლო სწავლება და სასწავლო დაწესებულებები . . .  | 105 |
| <i>თამარ ზამბახიძე</i><br>იუსტიციის უმაღლესი სკოლის პრიორიტეტული<br>მიმართულებები (რეალობა და პერსპექტივა). . . . . | 110 |

*ასტრიდ ფლური*

საერთაშორისო კონფერენცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია“ . . . . . 115

*ულრიკე შულცი*

სასამართლო სისტემა და გენდერული საკითხები. გერმანული გამოცდილება და საერთაშორისო პერსპექტივა . . . . . 122

*ნათია ჯორბენაძე*

მართლმსაჯულება და გენდერული ასპექტები . . . . . 129

*ულრიკე შულცი*

. . . . . 132

*მარკ ვესტი*

სასამართლო გამჭვირვალობა და საზოგადოების ინფორმირება . . . . . 139

*მარკ ვესტი*

. . . . . 143

*საბინე შონკნეხტი*

საერთაშორისო კონფერენცია „მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია“ . . . . . 148

*დიტმარ ონუსაიტი*

საერთაშორისო ურთიერთობები მართლმსაჯულების სფეროში . . . . . 155

2013 წლის 27-28 სექტემბრის მოსამართლეთა კონფერენციის

რეკომენდაციები . . . . . 161

კონფერენცია თემაზე სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლის პროფესია

მოსამართლეთა კონფერენციის მასალები



